619
1973
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 1 იანვარი 1973

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ჩაის პლანტაციაში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (484) იანვარი, 1973 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა უხარია და რა სწყინს სოფელს

## რა იძლევა ამ რეაქციას

ეს მოხდა პოლონეთის პატარა ქალაქში, რომელსაც ტორუნი ეწოდება. ორმოცდახუთი წლის აპრილის დასაწყისში, აქაურ ჰოსპიტალში ბალტიის ზღვის სანაპიროებიდან, სხვა დაჭრილებთან ერთად, ოცდაერთი წლის ქართველი ოფიცერი ჩამოიყვანეს. ასეულის მეთაური იყო; ნატანებელ ჭაბუკს ბრძოლით გამოევლო მთელი ბელორუსია, პოლონეთი, ბოლოს, მისი ასეული გერმანიის ტერიტორიაზე შეიჭრა, მაგრამ ასეულის მეთაური როსტოკის აღებისათვის ბრძოლის დროს ორივე ფეხში დაიჭრა. ომი კი ეს-ეს არის თავდება, ახლოვდება უკანასკნელი იერიში მტრის დედაქალაქზე — ბერლინზე...

ჭრილობა მძიმეა, მაგრამ არც ისეთი, რომ ახალგაზრდა ოფიცერი მწყობრში ველარ დაბრუნდეს. ერთი ეს არის, სანამ ეს ფეხზე წამოდგება, ბერლინს აიღებენ ჩვენები... მას კი როგორ უნდოდა თვითონაც შესწრებოდა ამ დიდ დღეს. დაჭრილი საოპერაციო მაგიდაზე წევს, თვალები დახუჭული აქვს, ქირურგი უკვე ხელებს იბანს, მერე სპირტში დასველებული ბამბით ისუფთავებს, საოპერაციო დას თეთრი ხალათი და ჩაჩი მოაქვს, ქირურგს აცმევს.. და აი, მან გადახადა ზეწარი დაჭრილს — ვეება ვაჟკაცი ძლივს ეტევა მაგიდაზე.

იწყება ოპერაცია...

დამშვიდებულია ქირურგი, ოდნავ ეჭვიც არ ეპარება, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება... ამისთანებს გაუვლიათ მის ხელში?! ყოფილა შემთხვევა, ხელახლა შეუდგენია და მოტორივით აუწყვია კაცი. მიუდგამს ძვლის ერთი ნამსხვრევი მეორეზე, ზუსტად ისე, როგორც დამბადებელმა დააწესა. ფეხი რა არის, გულთან, ფილტვებთან გაჩხირული ტყვია, თუ მის მიერ შეფლეთილი მაზარის ნაგლეჯები გამოუღია, კაცი უიმედო რომ ეგონათ, ფეხზე დაუყენებია...

ეს კი, არც ისე ძნელი ჭრილობაა.

ოპერაცია რომ დამთავრდა, დაჭრილი პალატაში გაიყვანეს.

მაგრამ მოულოდნელად გართულდა დაჭრილის მდგომარეობა. ჭრილობის შეხორცება და გრანულაცია კარგად მიდის, მაგრამ ხდება უცნაური რამ: ყოველ მეორე დღეს დაჭრილს ცახცახი აუტყდება ხოლმე, თანაც ტუჩებზე გამოაყრის.

— რატომ ხდება ეს? იქნებ ჭრილობის გარდა, კონტუზიაც მიიღო?

— არა, კონტუზიას არა ჰგავს, ნამდვილად კონტუზიის ბრალი არ არის. მაშ რაშია საქმე? — მკითხაობენ ქირურგები, — რა იწვევს ამ უცნაურ ცახცახს? იქნებ ვიშნევსკის მალამო? წარმოუდგენელია? ასეთი შედეგი მას ჯერ არასოდეს მოუცია! მაშ იქნებ რაიმე მოწამლული ტყვიაა. ეშმაკმა უწყის რა მუხანათობას არ მიმართეს ესესელებმა თავის ამ აღსასრულის ჟამს!

ვინ ახსნის ამ საიდუმლოს? როგორ არ გაახსენდათ, თვითონ დაჭრილისათვის ეკითხათ. ვის ეცალა? სად იყო ამისათვის დრო დიდი ომის ამ კვირაძალში?

ახლა კი უნდა მოიცალონ.

ექიმი და საოპერაციო დაი დაჭრილს ისეთ დროს წაადგნენ თავს, როცა მას, რომ იტყვიან ბაბანი გაჰქონდა.

— რას იტყვით, რა იძლევა ამ რეაქციას? — ჩაჰკითხა ქირურგმა.

— ნატანები იძლევა, — ძლივს უპასუხა დაჭრილმა და ისევ მოკუმა გამშრალი ტუჩები.

ქირურგმა და საოპერაციო დამ ერთიმეორეს გადახედეს. ნატანები? ნეტა რას ნიშნავს ეს სიტყვა?!

— რა არის ნატანები? — ჰკითხა ქირურგმა.

— სოფელია საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე.

— მერე?

— მერე არაფერი. ეს იქაური ციებაა. მთელი ომი ისე გავატარე, მიხაროდა, სულ დამანება-თქვა თავი... თურმე, სძინებია. ტყვიამ გააღვიძა წყეული, ჭრილობამ...

ტყვიამ გააღვიძაო?! ექიმმა შუბლში შემოიკრა ხელი, ასეთ უბრალო რამეს როგორ ვერ მივხვდით... დაჭრილმა კი შეხედა და ვედრებით უთხრა:

— რა მაქვს სანატრელი, იცი ექიმო? ღმერთმა ისე არ მომკლას, ნატანებში არ ჩამიყვანოს... იქაური მალარიის სახსენებელი უნდა გავაქრო. ხედავ საიდან სად, რა შორს წამომყვა ის ტიალი!

ომი რომ დამთავრდა, ოფიცერი უცებ ვერ წამოვიდა შინ. პოლონეთიდან ისევ გერმანიაში გაგზავნეს. ორმოცდაშვიდში დაბრუნდა გურიაში...

დაბრუნდა და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ნატანებლებმა.

მას შემდეგ ოცდახუთმა წელმა გაიარა.

ვუსმენთ გივი წითლიძეს, ტორუნის ამბებს რომ იხსენებს, სოფლის შუაგულში ვდგავართ და მის გრძელ ქუჩებს გავცქერით. ყველა მხრიდან მოემართება ხალხი კულტურის სასახლისაკენ. სასოფლო ყრილობაზე მოდიან. ვუცდით, ვიდრე ყველა თავს მოიყრიდეს.

— ახლა რაღა გინდა, რა გაქვს სანატრელი? — ეკითხება ალექსანდრე თოიძე ნატანებელთა თავმჯდომარეს. თან ისე შესცქერის, მგონი იცის, რასაც წითლიძე იტყვის და უნდა, რომ გამოიწვიოს.

— რა მინდა იცი,. ჩემო ალექსანდრე, — გივი გამოწვევას იღებს და სოფლის შუაგულში, ვეება ფართობისაკენ გაურბის თვალი, — ღმერთმა ისე არ მომკლას, აგერ ეს სტადიონი და სპორტის სასახლე საზეიმო ვითარებაში არ გამახსნევიოს!

სტადიონი კი ჯერ სად არის! ჩანს მარტო ბულდოზერებით გადათხრილი მიწა, რომელშიც ორიოდე ბოძია ჩარჭობილი. თავმჯდომარის თვალები კი ალბათ უკვე ხედავენ აურიამულებულ ტრიბუნებს და მწვანე მინდორს, სადაც ნატანებელი ფეხბურთელები ხვდებიან ბრაზილიის „ბოტაფოგოს“.

— კაი ეშმაკი ხარ, შენ! — ჩაესმის ფიქრში წასულ თავმჯდომარეს, — დაამთავრებ ამასაც, რაღაც ახალს დაიწყებ და ისევ ასეთ პირობას დაუდებ ღმერთს. ერთი რაიკომის მდივანი მარტო შენ და მიხაკოს გინდათ, რომ ხანდახან დაგქაჩოთ, თორემ ნამეტანი წინ გარბიხართ.

და მართლაც, გადახედეთ ნატანებს — ეს ხომ ხვალინდელი სოფელია. ხვალინდელი? ეს ასე ვთქვათ, პირობითად, თეორიულად, თორემ რა ხვალინდელია, როცა ყველაფერს ფიქრით კი არა სწვდები, შენი თვალით ხედავ და ხელით ეხები.

ხვალინდელიც არის და დღევანდელიც, ე. ი. ხვალინდელი დღე აქ ცოტა ადრე გათენებულა.



ჩაის პლანტაციაში.

აი, ეს თუ მიანიშნა ალექსანდრემ ნატანებელთა თავმჯდომარეს! და უნდა იმას განმარტება, რომ მისი სიტყვები საყვედური კი არ იყო, ქება იყო, შესახელება! და შუქჩამდგარ თვალებზე ეტყობოდა რაიკომის მდივანს, ყველაზე ძალიან მას უხარიან, რომ ასე წინ გარბიან ნატანებლებიც და მათი მეზობლებიც — შრომელებიც.

## მეც თან წამიყვანე

ამ მხარეში რომელ სოფელზე იტყვი ლამაზი არ არისო — ხიდისთავი იქნება ის თუ სურები, ლიხაური თუ შემოქმედი, მაგრამ ნატანებს მაინც არაფერი შეედრება. თვალს ვერ მოსწყვეტ... რა ვქნა, როგორ აგიწერო — უნდა მიხვიდე და თვითონ ნახო! როგორ აგიწერო, როცა ჯადოქარი ოსტატის ფუნჯი სჭირდება შემოდგომის ფერთა ამ თამაშისა და ციალის გადმოცემას. მე კი არც ჯადოქარი ვარ და არც მისანი, სპეციალური კორესპონდენტი ვარ, პოეტ ნოდარ გურეშიძესთან ერთად ჩამოსული ამ სოფელში. ყრილობაზე დასასწრებად ჩამოვედი. თბილისიდან წამოსვლის წინ ნოდარმა მახარაძეში ნაცნობს დაურეკა — „ამინდი როგორია, დიდი წვიმები ხომ არ არისო“. „რას ამბობ, ნოდარ, ბრწყინავს გურია.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ბრწყინავს“! — უპასუხა ნაცნობმა. და მართლაც, სიზმარივით გაგყვება კაცს ეს მზეში გახვეული წამოქოჩრილი გორაკები, სამკაულებივით რომ იმშვენებენ თავს მწვანეში ჩაძირული სახლებით, ზოგნი რომ ფერდობებს შეჰფენიან, ზოგნი კი მწვერვალზე დგანან და ერთ მხარეს შავ ზღვას გადასცქერიან, მეორე მხარეს — აჭარა-გურიის ჩამოთოვლილ ქედებს. სხვაგან ქარი წაიღებდა ასეთ კორტოხზე აგებულ სახლს, აქ კი ამშენებელს არ ეშინია, მშვიდად სძინავს, რადგან იცის — ქარიც ეფერება და უფრთხილდება აქაურობას...

შევცქერი ნარინჯის ატეხილ ჰალებს, ხშირფოთლოვან ტოტებს ქვეშ დღისით, მზისით რომ ჩაუბნელებიათ მიწა... და იმ მწვანე სიბნელეში ნარგიზისფერი ცეცხლებივით ღვივიან ფორთოხლები...

აქ სჯობია პოეტს დავუთმოთ სიტყვა (მოვიყვან „მინიონას“ პირველი სტროფის პროზაულ თარგმანს):

„იცნობ იმ მხარეს, სადაც ლიმონები ჰყვავიან, სადაც ფოთლების სიბნელეში ოქროსფრად გიზგიზებენ ფორთოხლები, სადაც ლურჯი ციდან მობერს ნელი ნიავი, სადაც ჩაწყნარებული თვლემენ მირტისა და დაფნის ბუჩქები... ყოფილხარ იქ? გაეხწიოთ იქით, იმ მხარეს, წავიდეთ, ჩემო კარგო, ძვირფასო, წავიდეთ!“

წავიდეთ, წავიდეთ სამუდამოდ, — რეფრენად მისდევს ეს ძახილი მეორე და მესამე სტროფებსაც. ამოვწერე ეს სიტყვები, ჩავიკითხე და ვგრძნობ, ნატამალიც აღარ დარჩა ორიგინალის ჯადო მუსიკიდან! იქ კი, თითქოს კი არ კითხულობდი, გრძნობდი როგორ მოდიოდა ნიავი მთებიდან კი არა, უზარმაზარი ლურჯი ციდან და ხედავდი როგორ ღუოდნენ ნარინჯები დღისით ჩამოწოლილ მწვანე სიბნელეში! და კიდევ იგრძნობოდა ის დაუძლეველი, მოურევნელი სევდა სწრაფვისა, საითლაც ლტოლვისა, რომელიც უცებ იგრძნო გოეთეს რომანის გმირმა, როცა პატარა მინიონა მღეროდა ამ ლექსს.

ლიტერატურის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ მინიონას სახეში გოეთემ ალბეჭდა რომანტიკული ლტოლვა სულისა მშვენიერისაკენ, მინიონა ეძახოდა სადღაც შორეთში, ოცნებისა და სილამაზის სამყაროში.

მთის ფერდობებში ჩაფენილ ბაღნარს რომ შეხედავ, უფრო ადვილი გასაგები ხდება როგორ დაიბადა მინიონას სიმღერა.

ხომ არაფერი სჯობია შირაქის ჯეჯილების ნახვას იმ წუთებში, მზეკაბანი რომ გადაეფინება და ყანა ტალღა-ტალღა წამოვა შენსკენ... ან წინანდლისა თუ ქუმბათის ზვრებს, გომბორის მთიდან რომ გადმოხედავ. ხოლო ამ მანდარინის ბაღებს, დამრეც ფერდობებში შეფენილს, თავისი სილამაზე ჰქონია, თავისებური, სხვაგან რომ ვერსად დაინახავ. რომელი სჯობია, ამის განსჯა შეუძლებელია. ყველა ლამაზია და განუმეორებელი... და რაც მთავარია, ყველა მტკაველი ამ მიწისა ქართველი გლეხკაცის ოფლით არის მორწყული და ამიტომ ასე დამშვენებული, თორემ მართლა ღმერთს კი არ უჩუქებია ჩვენთვის ეს მიწიური ედემი!

## „ᲗᲣ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ — ᲛᲔᲪ ᲩᲐᲛᲬᲔᲠᲔᲗ“

კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა — ძალზე რთული თანამდებობაა, უძნელესი საქმეა. სამთვიან გადასამზადებელ კურსებზე მას ვერ შეისწავლი. მგონია, შორს არ ვიქნები ჭეშმარიტებისაგან, თუ ვიტყვი, რომ თავმჯდომარეებად იბადებიან, ე. ი. ამ თანამდებობის კაცს უნდა გამოყოლილი ჰქონდეს რაღაც მიწისეული, ძველ ხალხურ ფესვებიდან, სიღრმიდან, წიაღიდან წამოსული, მიუმატეთ ყოველივე ამას ის, რასაც მეურნეობის მართვის შესახებ ამბობს თანამედროვე ყველაზე მოწინავე მეცნიერება. და საჭიროა კიდევ რაღაც თვისება ხასიათში, რომელიც შენს სიტყვას ძალას აძლევს. უბრალო ძალას კი არა, იმ ძალას, რომელიც აქვს რწმენას, მინდობას, დაჯერებას და თანგაყოლას. ამიტომ არის, რომ ბევრი დიდხანს ვერ შერჩება ხოლმე ამ პოსტს; ხოლო, თუ ხალხი ვეღარ შეელევა თავის რჩეულს, აღარსაით გაუშვებს, მაშასადამე, მან ჩააბარა დიდი გამოცდა. საქართველოში ყველაზე სახელგანთქმული კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ათი, თხუთმეტი, ოცი და მეტი წლები არიან თავიანთ პოსტებზე; გამონაკლისები აქაც არის, მაგრამ ისინი ჩვენს აზრს კი არ უარყოფენ, პირიქით, ადასტურებენ... ახლებს ჯერ დააცადეთ, ათეული წლების მერე მიაკითხეთ და თქვენ დაინახავთ, რომ ხალხს, თავის სოფელს, თავის მეზობლებს არც ისინი გამოუხსნიათ გუთნის თავიდან...

რთულია-მეთქი ეს საქმე, სიტყვა იმით დავიწყე. ბევრი კუთხე აქვს, ბევრი წახნაგი. ჯერ შინაგანი სფერო — სოფელი, კოლმეურნეობა, მერე — რაიონი, რესპუბლიკა, სახელმწიფო. ერთსაც თვალი პირნათლად უნდა გაუსწორო, მეორესაც, მესამესაც.

ნატანებელთა თავმჯდომარემ ეს შესძლო.

დიახ, ყველა უნდა გახსოვდეს — ისიც, ვინც ამ მიწას დღეს თავს დასტრიალებს, და ისიც, ვინც ხვალ უნდა დაიბადოს; ის რომ მოვა, ხვალინდელი ნატანებელი — აქ ყველაფერი მზად უნდა დახვდეს — საბავშვო ბაგაც და ბაღიც; უნდა გახსოვდეს ისიც, ვინც აღარ არის, ვინც თავი დასდო სამშობლოსათვის ომის ფრონტებზე. საქართველოში ბევრგან გააშენეს შინმოუსვლელთა ბაღები და პარკები, მაგრამ ნატანებში მას ის თავისებურება აქვს, რომ საწარმოო მნიშვნელობა მიანიჭეს; მათ სახელზე მანდარინების ბაღი გააშენეს და მისი შემოსავალი მთლიანად ხმარდება ომში დაღუპულთა ოჯახებს.

ახლა ამ მძლავრ კოლმეურნეობას იცნობენ არა მარტო მთელ საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აქაურები გვიამბობენ, თუ როგორ ესტუმრა შვეციის ელჩი ნატანებს, გულდასმით დაათვალიერა ყველაფერი — კოლმეურნეთა ოჯახების შეძლებაც. ეზოების და ბინების უჩვეულო სიფაქიზე, გაიარა სოფლის ქუჩებში, ნახა სკოლის მშვენიერი შენობა, რომელშიც ერთი დიდი ინსტიტუტი დაეტევა, ათი საბავშვო ბაგა და ბაღი, მუსიკალური სკოლა, კულტურის საუცხოო სასახლე, ხუთი ბიბლიოთეკა, ამბულატორია, აფთიაქი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, უნივერმაღი, იკითხა როგორია კოლმეურნის შემოსავალი, გაეცნო სოფლის ცხოვრებისა და კულტურის დონეს, ტექნიკას, მექანიზაციას, განცვიფრებულმა ჩაიწერა უბის წიგნაკში, რომ სოფელს ახლა უფრო მეტი ტრაქტორი აქვს, ვიდრე ორმოცი წლის წინ ცხენები ჰყავდა, რომ ასორმოცდაათ კოლმეურნეს საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა ჰყავს, სოფელს აქვს ავტომატური სატელეფონო სადგური, თავისი ნაბეჭდი გაზეთი, რომ სოფელი ყოველდღიურად ღებულობს თხუთმეტი ათას ცალ ჟურნალსა და გაზეთს, და რომ ეს ყველაფერი დაფუძნებულია კოლმეურნეობის ეკონომიურ სიმძლავრეზე, აქ ხომ ბოლო წლებში, კოლმეურნეთა ანაზღაურება სამჯერ გაიზარდა წინანდელთან შედარებით, ამასთან, ციტრუსებისა და ხილის შესასყიდი ფასების გადიდების შედეგად მოსახლეობის შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთებიდან ამავე პერიოდში გადიდდა 8-4-ჯერ. შვეციიდან ჩამოსულმა სტუმარმა ყველაფერი ეს თავისი თვალით რომ ნახა, აღტაცებულმა წამოიძახა:

— თუ კოლმეურნეობა ამას ჰქვია, რაც მე დღეს ვნახე, გაუმარჯოს მას! მე ვეწერები მასში.

ბევრი რამ აქვთ საამაყო ნატანებლებს, სოფელი მძლავრი ნაბიჯებით მიდის წინ, ყოველწლიურად ახალ წარმატებებს აღწევენ ნატანებლები...

მაგრამ არის ცალკეული ხარვეზები და მათ არ შეიძლება თვალი ავარიდოთ.

## ᲠᲐᲢᲝᲛ ᲡᲯᲝᲑᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲛᲘᲬᲐ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲡ

აგერ უკვე თხუთმეტი წელია, რაც ნატანებში დასახლდნენ ალექსანდრე, მიხეილ და ვალოდი მაკასარაშვილები. ეს არც ისე მცირე დროა იმისათვის, რომ კაცმა ფეხი მოიკიდოს მიწაზე და ოჯახმაც ღრმად გაიდგას ფესვები. ასეც მოხდა. მათ — ახალ მოსახლეებს ვეღარ დაუძახებ, ვერ იტყვი, ამ სოფლის წესი და ადათი არ იციანო, ნატანებელთა შრომითს ტრადიციას არ იცნობენო. მაკასარაშვილები ახლა ჩვეულებრივი ნატანებლები არიან, ისე, როგორც ვთქვათ, ცენტერაძეები თუ მიმინოშვილები. მაგრამ ერთი უცნაურობა დასჩემდათ მაკასარაშვილებს: მანდარინის ხე მათს საკარმიდამო ნაკვეთებზე უფრო მეტს ისხამს, ვიდრე იმ საკოლმეურნეო ფართობზე, რომელსაც თვითვე უვლიან. ასე, მაგალითად, ალექსანდრე მაკასარაშვილმა წელს საკარმიდამო ნაკვეთზე რვა ტონა მანდარინი მოკრიფა, საკოლმეურნეოზე კი გაცილებით ნაკლები.

ეს ამბავი ადვილი ასახსნელია, უკეთ რომ ვთქვათ, გამჭვირვალე საიდუმლოა — ყველამ რომ იცის. საქმე ისაა, რომ საკარმიდამო ნაკვეთებს ისინი სანიმუშოდ უვლიან, თავს დასტრიალებენ, რომ იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებენ, საკოლმეურნეოს კი მარტო შებარვას აკმარებენ ხოლმე. მეტი არაფერი. ხოლო მოუვლელად ხეები მაღალ მოსავალს არ იძლევიან, „ასეთი ჯიშები სელექციონერებს ჯერ არ გამოუყვანიათო“, იხუმრა ყრილობაზე თავმჯდომარემ.

მაგრამ კიდევ არაფერს იტყოდა კაცი, ეს ამბავი მარტო მაკასარაშვილების ნაკვეთებში რომ ხდებოდეს. ბევრი სხვა კოლმეურნეც ასე იქცევა.

განა მარტო მანდარინის ბაღებში ხდება ეს? ასეა ჩაიშიც. ჩაის პლანტაცია საკარმიდამო ნაკვეთზე ჰექტარზე 6.686 მანეთის შემოსავალს იძლევა, ხოლო საკოლმეურნეო ფართობებზე — 5.815 მანეთს. ჰექტარზე 871 მანეთი — საკმაოდ საგრძნობი განსხვავებაა. მით უფრო, რომ ნატანები ეკუთვნის იმ სოფელთა რიცხვს, სადაც საკარმიდამო ნაკვეთებზე დიდი რაოდენობითაა თავმოყრილი ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები. მოსავლიანობის ეს არათანაფარდობა განსაკუთრებით იგრძნობა ნატანების კოლმეურნეობის პირველ, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე, მეჩვიდმეტე და მეცხრამეტე ბრიგადებში, რომლებსაც სათავეში უდგანან ვ. ცერცვაძე, მ. ცენტერაძე, კ. მიმინოშვილი, გ. ქინქლაძე, კ. პატარავა და ალ. ვაჩეიშვილი.

სადმე სხვაგან, ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში ეს გასაგები იქნებოდა; რა თქმა უნდა, მოუთმენელი და დაუშვებელი, მაგრამ გასაგები. ეს გასაგები იქნებოდა იქ, სადაც ცუდი ხელმძღვანელი დააკარგვინებს ხოლმე კოლმეურნეს რწმენას მისავე საწარმოო შრომისადმი, რის ანაზღაურების სახითაც ის წლიდან წლამდე ძალიან ცოტას ღებულობს; იქ კაცი თუ ქალი საკოლმეურნეო მიწაზე მუშაობს უგულოდ, ფორმალურად, მუშაობს მხოლოდ იმისათვის, რომ არ დაკარგოს უფლება საკარმიდამო ნაკვეთზე. ასე, ცუდად ორგანიზებული და ასევე წარმართული საქმიანობის ატმოსფეროში შრომითს აქტივობას ვერ აამაღლებ; ასეთ კოლმეურნეობაში აღარ გაგიკვირდება, რომ კაცი საკარმიდამო ნაკვეთს უფრო გულმოდგინედ ეჭიდებოდეს. მაგრამ ეს გაუგებარია ნატანებში, იმ კოლმეურნეობაში, რომელმაც თავისი ორგანიზებულობით, შრომის მაღალი კულტურით, სიმდიდრით, ეკონომიური სიმძლავრით სახელი გაითქვა მარტო საქართველოში კი არა, მთელ საბჭოთა კავშირში. კოლმეურნის შრომითი ანაზღაურება აქ უაღრესად მაღალია. მაგალითისათვის აქ შეიძლება მედეა სოსელიას ოჯახი დავასახელოთ. გაუძლებს თუ არა კოლმეურნეობის ეკონომიკა ყოველ შრომისუნარიან კოლმეურნეს მისცეს ისეთი მაღალი ანაზღაურება, როგორსაც მედეა სოსელია ღებულობს. რა თქმა უნდა, გაუძლებს, მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველა ისე იშრომებს, როგორც ეს ქალი შრომობს.



იაკობ ბოლქვაძე—სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

მოკრეფს იმდენ ჩაის ფოთოლს, მოიყვანს ციტრუსოვანთა იმდენსავე ნაყოფს. ამ პრობლემაზე რომ ლაპარაკობდა, გივი წითლიძემ ყრილობაზე თქვა:

— ძმებო და ამხანაგებო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჯერ ისევ ძალაშია სოციალიზმის პრინციპი: თითოეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თითოეულს—მისი შრომის მიხედვით. სრულ კომუნიზმში რომ გადავალთ, ეს პრინციპი ასე შეიცვლება: თითოეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თითოეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით. ისე რომ ზარმაცისა და უსაქმურის საშველი არც მაშინ იქნება.

გასაგებად არის ნათქვამი და აქ ალარაფრის დამატება არ არის საჭირო; ოღონდ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ზემოაღნიშნული არათანაფარდობის აღკვეთა მეტი მონდომებისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა შემდგომი გაუმჯობესების გზით — ერთ-ერთი ის რეზერვია, რომელიც, როგორც ნატანების ხელმძღვანელებმა იანგარიშეს, საკოლმეურნეო ფართობებზე ჰექტარზე ერთი ტონით მაინც გაზრდის მოსავალს და მაშინ საერთო შემოსავალიც 300 ათასი მანეთით გადიდდება.

კიდევ ერთი რამ: ჩაის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის მიხედვით, ნატანების კოლმეურნეობა ყველაზე უფრო მოწინავეთა რიგებშია. მაგრამ აქვე თავს იჩენს მეორე არათანაფარდობა: კოლმეურნეობის პირველი, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მერვე, მეცხრე, მეჩვიდმეტე და მეცხრამეტე ბრიგადები ჯერ კიდევ უფრო დაბალ მოსავალს ღებულობენ, ვიდრე ამავე კოლმეურნეობის საშუალო მოსავლიანობაა. ზემოთ ჩამოთვლილმა ბრიგადებმა რომ მოიწადინონ და თავიანთი მოსავალი კოლმეურნეობის საშუალოს გაუთანაბრონ, მაშინ ნატანები, ფაქტიურთან შედარებით, 116 ტონით მეტ ჩაის ფოთოლს დაამზადებს.

ნატანების კოლმეურნეობის გამგეობა გულმოდგინედ იბრძვის ამ ხარვეზების შესავსებად.

და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, როგორც მუდამ, ისინი ახლაც წარმატებით გაართმევენ თავს ამ საქმეს.

და ეს ამოცანა დღეს დგას არა მარტო ნატანებელთა წინაშე. ბევრი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და გამგეობა უნდა დაუფიქრდნენ ამას მთელ რესპუბლიკაში. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, ნოემბრის ბოლოს რომ გაიმართა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობა ზოგჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობა; იქვე აღნიშნული იყო, რომ ეს არის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ნეგატიური ტენდენცია, რასაც ბევრი სერიოზული შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

რატომ უნდა სჯობნიდეს საკარმიდამო მიწა საკოლმეურნეოს — იქვე, სულ ორ-სამ ნაბიჯზე? ეს ტენდენცია აუცილებლად უნდა დაძლეულ იქნას.

## კიდევ ერთი საფიქრალი და სადარდელი

ნატანების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იაკობ ბოლქვაძე — ახალგაზრდა კაცია, ძალზე ენერგიული, საქმიანი, დაუღალავი. ის, რასაც იაკობი აკეთებს ციტრუსოვანთა ნაყოფებით სპეკულაციის აღსაკვეთად, უფრო პროფილაქტიკაა და ძალიან გონივრულიც. საბჭოს თავმჯდომარეს ყველა თვალქვეშა ჰყავს, ვისზეც ეჭვი აქვს, რომ შეიძლება შორეულ ქალაქებში სავასტროლოდ გაემგზავროს, ყველას საქმე გამოუჩინა, ზოგს რა გამოუძებნა, ზოგს რა... ბევრს ისეთი საზოგადოებრივი დატვირთვა მისცა, ვერსადაც ვერ წავა, ვეღარაფერს ცუდს ვეღარ ჩაიდენს.

საბჭოს თავმჯდომარის, მთელი აქტივის, სოფლის მოწინავე ადამიანების ამ პროფილაქტიკურმა



აკაკი მოქია — მასწავლებელი.

საქმიანობამ კარგი შედეგი მოიტანა: წელს ამ სოფლიდან ციტრუსოვანთა ნაყოფი ბაზარზე სასპეკულაციოდ არავის გაუტანია. ფაქტი აღნუსხული არ არის. ერთი უცნაური ამბავი კი მოხდა: სოფლის ბოლოს, ზღვის სანაპიროზე იპოვეს ოთხი ტონა მანდარინი, საგანგებოდ შეფუთული, ყუთებში ჩაწყობილი და გამზადებული შორეულ ბაზრებზე გასაგზავნად. მაგრამ ეს მანდარინი ნატანების ბაღებში არ არის მოკრეფილი. როგორც ამბობენ, იგი მეზობელი რაიონიდან არის შემოზიდული... მის აქ შემომტანს ეძებენ და, ალბათ, იპოვნიან კიდეც.

შუადღის ხანი იქნებოდა, როცა ნატანების ბოლოს, შეკვეთილში გადავწყვიტეთ წასვლა. საჭეს თვითონ იაკობი მიუჯდა; მანქანა გაჰყვა გზას ლიმონისა და მანდარინის სანერგეებისაკენ. აქ მართლაც მშვენიერი ადგილებია, ნაყოფიერი მიწები. ერთ ქუჩაზე ყოფილი სექტანტები ცხოვრობენ. სექტის მავნე ტრადიციები მათ კარგა ხანია დასძლიეს, ბევრი მათგანი კარგად შრომობს, წარმატებით მუშაობს კოლმეურნეობაში, მაგრამ ბევრი სვამს და სვამს უზომოდ. რას იზამ, ესეც იაკობის სადარდელია. ყოფილი სექტანტების უბანზე რომ მივდიოდით, წინ გზაზე, მთვრალი ქალი გამოჩნდა. ძლივს მობანცალებდა, მანქანამ გვერდი აუარა და ჩვენს გზას გავყევით. ბევრი ვიარეთ, ზღვამდე გავედით; აქეთობისას ის ქალი ისევ გზაში იყო. მანქანა რომ წამოეწია, ქალმა ახლა კი იცნო თავმჯდომარე და დაუძახა:

— იაკობ, მიშველე, შინამდე მიმიყვანე...

იაკობმა კაბინის კარი გაუღო, მთვრალი გვერდით მოისვა და მკაცრად უთხრა:

— თუ კიდევ ერთხელ დაგინახე ასე მთვრალი, იცოდე, აღარ გაპატიებ... წაგიყვან და თხუთმეტი დღით გამოგამწყვდევ...

— ახლა არ შეიძლება? ახლავე წამიყვანე!

— ახლა შენთვის არ მცალია, აგერ სტუმრები მყავს (იაკობმა ჩვენზე აჩვენა, უკანა სავარძელზე მე და ფოტოკორესპონდენტი თარხან არჩვაძე ვისხედით).

— შენი ჭირიმე, იაკობ, დამაპატიმრე... წესრიგის დამრღვევი ვარ...

— ახლა მიპატიებია-თქვა, გესმის...

— მაშინ ჩემი ქმარი და ძმა დააპატიმრე... მასმევენ წყეულები... ძალათი მასმევენ... აი, ხომ ხედავ, სახლამდე მიმიყვანეს!

ქალი საცოდავი სანახავი იყო. შინამდე მიაცილა თავმჯდომარემ.

შეკვეთილს მეტი ყურადღება სჭირდება. სწორედ აქაური მცხოვრები იყო გაბრიელ კანტანიზოვი, თოფის ორი გასროლით რომ მოჰკლა თავისი ცოლი. მკვლელი ახლა სასჯელს იხდის. თვითონ ნატანებშიც და ამ უბანშიც — შეკვეთილში იყო სხვა შემთხვევებიც — საშიბოვმა და ვიქტოროვმა ჩაის ფაბრიკიდან გაიტაცეს ქალი გაუპატიურებისა და გაძარცვის მიზნით. დამნაშავეებს დახვრეტის მუხლი აქვთ წაყენებული. სერგო შარაშენიძე აგერ უკვე მესამეჯერ დააპატიმრეს ქურდობისათვის, სამჯერ იყვნენ დაპატიმრებულნი ზაურ ჩავლეიშვილი და მარია პრონინა, ოთხჯერ — ნიკოლოზ ლომაკინი და შვიდჯერ ანატოლი საველიევი. სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაებნენ ვლადიმერ ზამბახიძე, კოტე მესხია, ზაურ შარაშენიძე და სხვები. ვერ ვიტყვით, რომ აქ არ მიდიოდეს აქტიური აღმზრდელობითი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მას თავისი კარგი ნაყოფიც მოაქვს... ადრე აქაც და სხვაგანაც სოფლისათვის ერთ უბედურებად იყო გადაქცეული ხალხმრავალი ქორწილები და ქელეხები — ოთხას-ხუთას კაცსა ჰპატიჟებდნენ და იყო ხოლმე ერთი აურ-

ივანე გორგილაძე — ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.





მარცხნიდან მარჯვნივ: რომან ზოიძე—ციტრუსების სანერგის მერგოლური; თამარ ცენტერაძე — სოციალისტური შრომის გმირი, მართა გოგუაძე — კოლმეურნე.

ზაური და გაწევ-გამოწევა. ნატანებში ახლა ამ საქმესაც კარგად მოუარეს, თვითონ სოფლის მოთავეებმა მისცეს ხალხს კარგი მაგალითი, თავიანთ შვილებსა თუ ახლობლებს რომ აქორწინებდნენ. უკვე რამდენიმე ქორწილი მოეწყო ნატანების კეთილმოწყობილ რესტორანში — იყო ნამდვილი ქართული ლხინი და დროსტარება, არავის უჩხუბნია, უგონოდ არავინ დამთვრალა, საყელო არავისთვის ჩამოუგლეჯიათ. ასე რომ, კიდევ ერთ კარგ ტრადიციას ჩაეყარა აქ მკვიდრი საფუძველი. ნატანებში უკვე დამთავრებულია ქორწინების სახლის მშენებლობა. ახლა ინტერიერის გაწყობა მიმდინარეობს. ჩვენ ვნახეთ ეს ხასახლე. მართლაც მშვენიერი რამ არის. ნატანების მოთავეები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. ეს ყოფითი კულტურის ახალი და მძლავრი კერა იქნება...

ქორწილი ქორწილს მისდევს ნატანებში, და ამ ამბავმა კიდევ ერთი საზრუნავი გაუჩინა სოფლის საბჭოსა და მის თავმჯდომარეს. როგორმე ხომ უნდა დაასახლოს ახალი ოჯახები. ნატანებში კი მიწის სივიწროვე სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდება. ხალხი მრავლდება, ერთი ოჯახის ფუძეზე ორი და სამი ოჯახი ჩნდება. ორად გაჰყოფ საკარმიდამო ფართობს, მაგრამ ოთხად და რვად ხომ ველარ გაჰყოფ! რაღაც უნდა იღონოს სოფელმაც, რაიონმაც, რესპუბლიკამაც, თორემ წავა ეს ახალგაზრდობა აქედან. ეს კი მეტად ცუდი ამბავი იქნება.

ჩვენს ხელთ არის ცნობები, თუ როგორ დაცარიელდა მთის რაჭის სოფლები. „ხდება ხოლმე, რომ მიცვალებულისათვის ხაფლავის გამთხრელი და კუბოს გამკეთებელი კაცი ვეღარ გვიშოვიაო“, მითხრა ერთმა იქაურმა კაცმა, რომელსაც რაიონში საკმაოდ მაღალი პოსტი უჭირავს. დაახლოებით ასეთი ვითარებაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცალკეულ სოფლებშიც. აუარებელი ხალხი მიილტვის ქალაქისაკენ საქართველოს ბარიდანაც. ნუ ავხსნით ამას მარტო ინდუსტრიის ზრდით. ეს ერთი მხარეა და დადებითი ტენდენციაა, მაგრამ არავითარი ინდუსტრია — არც მძიმე და არც მსუბუქი არ მოითხოვს ახალგაზრდობას იდეალად ვუსახავდეთ მარტოოდენ ჰუმანიტარულ პროფესიებს, როგორც ზოგიერთები სჩადიან. ამან ერთ დღეს შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ მონტიორი, დურგალი ან ზეინკალი სანთლით საძებარი გახდეს. გვჭირდება, ვთქვათ, ათი მასწავლებელი; ჩვენ ვუშვებთ ორმოცდაათს, ყოველგვარი გეგმის გარეშე. ის ათი მიდის სამუშაოზე. დანარჩენი 40 კაცი? სად მიდიან? იწყება ერთი ადგილის გაყოფა ორად, სამად! დანარჩენები? დანარჩენები მიდიან მზის ქვეშ თავისი ადგილის საძებნელად. ერთი უქმად დადის, მეორე — სადღაც ექსპედიტორად ან მომმარაგებლად დაიწყებს მუშაობას და ა. შ. მასწავლებელი სიტყვას მოჰყვა, თორემ განა სხვა მსგავს პროფესიებში ასეთივე მდგომარეობა არ არის? ერთ დაწესებულებაში შევესწარი — ახალგაზრდა ქალიშვილი მოვიდა, გავიგე, პირადი მდივნის ადგილი გქონიათო. ჰკითხეს თუ რა განათლება ჰქონდა. ეკონომიური ფაკულტეტი დაემთავრებინა; ნუთუ ამისათვის ისწავლა ექვსი წელი? ყოველ ჩვენგანს შეუძლია დაასახელოს აუარებელი მსგავსი მაგალითი. რატომ უნდა ხდებოდეს ეს ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი გეგმაზე და გეგმიანობაზეა აგებული და დაფუძნებული?

## „მინდა ქართველი იყოს იმფერი, სხვაი არ სჯობდეს“

ვალერიან ხომერიკი უკვე შუახანს გადაცილებული, კარგი, ხალისიანი ხასიათის კაცი ჩანს, — გონებამახვილი, საუბარში გამყოლი, ქვეყნის ავკარგის მცოდნე. ერთი შვილი ჰყავს, ინჟინერია, ძალიან უყვარს მამას, მაგრამ ეტყობა, ცოტა არ იყოს, გულნატკენია... ცოლს არ ირთავსო.

— მე ნათხუარი კოსტუმით მევიყვანე ქალი... მაგას კი ტანსაცმელის მეტი რაი აქვს! მაინც არ შობა. მაცალეო.

თვითონ ვალერიანი ყირიმის ბრძოლების მონაწილეა, კოლმეურნეობაშიც ბეჯითად მუშაობს, ოჯახიც კარგად გამართული აქვს; გამრჯე კაცია და არ უყვარს უსაქმური, დაღლარა ხალხი.

ვალერიანი და მე საბჭოს თავმჯდომარის იაკობ ბოლქვაძის კაბინეტში ვსხედვართ. იაკობი სასწრაფოდ სადღაც გამოიძახეს და გაიქცა, ახლა ჩვენ მარტონი ვართ და მინდა ვალერიანს მოვაყოლინო, თუ როგორ შეაცდინა ეშმაკმა და სევასტოპოლში მანდარინი წაალებინა გასაყიდად.

ვატყობ, ამჯერად უჭირს ლაპარაკი ენაწყლიან ვალერიანს, სცხვენია. კაცი ერთხელ საომრად იყო ყირიმში, სამშობლოს დასაცავად, მეორედ კი... ვაი, ამ მეორედ წასვლას!

— ახლა მშენებლობაზე, მოგეხსენებათ, კოშკური ამწეებია, ათასნაირი ტექნიკაა. გაადვილებულია შრომა, წინათ ხელით აგვქონდა აგურიც და კრამიტიც. გოდრით უნდა გეზიდა ქვაი და ხრეში ზღვიდან. ჯოჯოხეთური ჯაფა უნდოდა. მაგრამ, პირდაპირ გეტყვი, ის წვალება მირჩევნია ბაზარში წასლას და იქ დაჯდომას.

ვალერიანმა ეს შესავალი რომ გაუკეთა, ოდნავი პაუზა მოაყოლა და მერე განაგრძო:

— ჩემი დღეი და მოსწრება ყანაში გამიტარებია. იმხელად კი გაწყრა ღმერთი და ავყევი სხვის ფეხის ხმას. მე და ერთმა ჩემმა მეზობელმა მანდარინი წევიღეთ სევასტოპოლში. გაყიდვა მოვათავეთ და ფული ჯიბეში გვაქვს — რვაი ათასი მანეთი. ოთხი ათას ხუთასი — მე, სამი ათას ხუთასი — მეზობელს. ახლა გვინდა ხვალ ერთი გავიარ-გამოვიაროთ ქალაქში, მაღაზიებში, და მერე შინისკენ წამოვიდეთ.

სასტუმროში ნომერი გვიჭირავს, შუა დღის ხანია. დაბლა, რესტორანში ჩავედით სასადილოდ. ჩვენს ახლოს, მაგიდას ჯეელი ბიჭები — უსხედან, ლაპარაკზე შევატყეთ — ჩვენებურები არიან. საქართველოს ახსენებენ, წინაპრების სადღეგრძელოს სვამენ. კაი შეხედული ბიჭებია. მალე ერთი მათგანი ჭიქით ხელში მოგვიახლოვდა, თქვენი სადღეგრძელო იყოსო, დალია და მეუბნება: — თქვენ ხომერიკი ხართ?

— საიდან მიცნობ-თქვა, ვკითხე. არსაიდან, ისე შემთხვევით მოვკარი ყურიო... ახლა, ბიძია, ერთი სათხოვარი გვაქვს. სასტუმროში კაი ოთახი ვერ ვიშოვეთ და თქვენ რომ წახვალთ — თქვენს ნომერში გადმოვალთო.

— კი, შენი ჭირიმე-თქვა, ვუთხარი... თუ ჩვენ დაგვეკითხებიან... თქვენზე უკეთესს ვის ჩაასახლებენ იქ!

— სადილს რომ მორჩებით, ბარემ ახლავე ვნახავთ ოთახს, — მეუბნება ის ერთი, ყველაზე პირველად რომ გამოგვეცნაურა.

ავედით ზემოთ, ოთახში... მოიწონეს — უეჭველად გადმოვალთ აქაო; მერე ლაპარაკს შევყევით, მონატრებოდათ თავიანთი სახლები და გაიხსენეს (ერთი თერჯოლელი იყო, ერთი ფოთელი და ერთიც ქ. ცხაკაიადან ჩამოსულიყო), გაჰყვა სიტყვა სიტყვას და გაიბა მუსაიფი. მარტო ერთი მათგანი, ფოთელი ყმაწვილი იყო ჩუმათ, ხმას არ იღებდა, იჯდა და ოხრავდა. ის ორნი კი კას ხასიათზე იყვნენ. ბიჭო, შენ რაღა დაგემართა, ასე მოწყენილი და დარდიანი რათა ხარ-თქვა ვეკითხები.

მისმა ამხანაგმა, თერჯოლელმა მიპასუხა:

— დღეს მაგის დაბადების დღეა, ოცდაორი წლისა გახდა... კარგი ბიჭია, მხიარულება უყვარს, ნათესავები უყვარს, ახლობლები... ისინი კი შორს არიან... არავინ არ ულოცავს, მარტოა, მოწყენილია... წელან პატარა წაუტირა კიდეც...

მეორეც მიემოწმა — აგრეაო.

— რას ამბობთ, კაცო, რავა დაგიტანჯავთ აი ბალანა... აგერ არ ვართ, ჩვენ მივულოცოთო, — დაიძახა ჩემმა მეზობელმა, — აბა, ერთი სახელდახელო სუფრა გავშალოთო.

— ღვინისა და საჭმლის მოსატანად მე წავალ! — წამოხტა გახარებული მედღეობე, სიტყვის თქმაი არ გვაცალა, ისე გავარდა ოთახიდან და კიბეებზე დაეშვა.

სულ მალე დაბრუნდა, მოიტანა ხუთი ბოთლი ღვინო, ძეხვი, ყველი, სოსისი... და თანაც სიცილკისკისით ოთხი ქაჯურად თმააწეწილი და წარბწამწამ შეღებილი გოგო შემოჰყვა.

ვიფიქრე — ერიჰაა, ეგეც შენი დასევდიანებული და ნენაის ალერსს მონატრებული ბალანა-თქვა. მისმა ამხანაგებმა შეამჩნიეს, რომ მეწყინა ამ ბიჭის საქციელი, და თავიანთი ავტორიტეტის მოსახვეჭად, გაუწყრნენ — არა გრცხვენიან, ეს რა ჩაიდინე, მამის ტოლ ხალხთან ეს ცუდი ყოფაქცევის ქალები რამ მოგაყვანინაო!

ის გოგოები მაშინვე გაყარეს ოთახიდან.

შემოვუსხედით სუფრას, მაგრამ გუნება უკვე წამხდარია; ის ბიჭები ცდილობენ ყველაფერი თავიანთი ამხანაგის ქარაფშუტობითა და უჭკუობით ახსნან, ჩვენც მალე დავუვიწყეთ უსაქციელობა, მივულოცეთ დაბადების დღეობა, მშობლები ვუდღეგრძელეთ, ახლობლები... გავიხედოთ და ამასობაში შუაღამეც წამოსულა... ბარემ აქ დავიძინებთო. ვუთხარით, დაიძინეთ, ამ ღამეში კარში რავა დაგტიებთ-თქვა. (დამავიწყდა მეთქვა, რომ ოთახში ორი საწოლი თავისუფალი იყო და ერთიც სავარძელი იდგა) აი, დაწექით მაქ და დეიძინეთ...

ფხიზელი ძილი ვიცი, და არც ისე თრალი ვარ, ერთი ბოთლი ღვინო რას მიზამდა... მაინც, კოსტუმი, ჯიბეში რომ ფული მიძევს, ბალიშს ქვეშ კი არა, ლეიბის ქვეშ ამოვდე... ასე რომ, ის კოსტუმი რომ გამოიღო, ხელში უნდა ამიყვანო. ჩემი მეზობელიც ასე მოიქცა.

დილის ხუთ საათზე, ტანმა მიაზრა თუ რა იყო, გამეღვიძა. შევხედე, ჩემი კოსტუმი, ზედ რომ ვიწექი, გდია იატაკზე, კართან, ცოტა აქეთ, მეზობლის კოსტუმი გდია. ბიჭები აღარსად ჩანან. გავაღვიძე მეზობელი, ჩვენი ჯიბეები ცარიელია. გზის ფულიც არ დაუტოვებიათ იმ გათახსირებულებს. რაფერ მოახერხეს და გამოაძვრინეს კოსტუმები ლეიბს ქვეშიდან, ვერ მივხვდით. ვეცით კარს, ჩაკეტილები ვართ და გასაღები არსად ჩანს. ისიც წაუღიათ. ძლივს-ძლიობით ფანჯრიდან კარნიზებზე გავედით და სასტუმროს წინ, მილიციელი რომ მიმოდიოდა, იმას შევევედრეთ — გვიშველეო!

მოვიდა მილიცია, გააღეს კარი, ვუამბეთ ყველაფერი. შეუყარა მილიციამ ცაი და ქვეყანა. გაგიგონია, სადღა მიეწევი. ის-და გამოარკვიეს, რომ იმ გათახსირებულებს ტაქსის მანქანა დაუქირავთ და სიმფეროპოლში წასულიყვნენ.

იქ კი დაიკარგა იმათი კვალი.

როდემდის ივლიან, როიცხა იქნება დაიჭერენ.



ვალერიან ხომერიკი — კოლმეურნე.

— მე ჩემი დამემართა, დავიწვი ხელი და დამსაჯა განგებამ. ასეთ ხათაბალაში რავა გავყობ აწი კისერს, ჩემს მეზობელსაც მას მერე ბაზარში გზათაც არ გუუარია, მაგრამ ფულის დაკარგვაზე უფრო რა მწყინს იცი? რატომ არ მოსტყდებათ ენა ასეთ არამზადებს, წინაპრების სადღეგრძელოს რომ ამბობენ. სად გეიზარდენ, ბალნობიდან ასე რავა შეიძულეს მუშაობა, რომ ვერაფრის გულიზა ვერ გააქანებიეს ხელი... სულ მშობლების ბრალია: შეაჩვიეს ალამცარიობას და კაცს სახლი რომ ეწვოდეს, ერთ ნიგუზალს არ ჩაუქრობენ. ვინ ასწავლათ, ვინ ჩააგონათ, გადევი ფეხი ფეხზე და იყავი ისეო! მე რაი, ფულს კი არ ვჩივი, ფული რაია... მისდა რომ წახდენ, იმას ვჩივი! რას დაწანწალობენ ქვეყანაზე და ჩვენებური კაცის სახელს არცხვენენ... რას დაეთრევიან... რას დაეძებენ? მწყინს, ძალიან მწყინს. ოცდაორი-ოცდასამი წლის ბიჭები იყვნენ, ასე საავკაცოდ წასულები შორ ქალაქებში. ნეტა, ჩემს ყურს აწი მაინც აღარ გააგონა. ასეთი ამბავი, მარტო კარგი და სასახელო რამ მსმენოდეს... მინდა ყველა ქართველი იყოს იმფერი, სხვაი არ სჯობდეს.

ამ სიტყვებით დაამთავრა ვალერიანმა თავისი ამბავი.

## ეს გაუმარჯოს.

ხუცუბნელი და ტყვიაველი კოლმეურნეების, თბილისელი ავიამშენებლებისა და ელმავალმშენებლების სახელოვანმა თაოსნობამ, რომელიც მიმართული იყო საზოგადოებრივი წესრიგის, შრომისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებისაკენ — ფართო გამოძახილი ჰპოვა მთელ საქართველოში. ამავე საკითხებს მიეძღვნა ნატანებელ კოლმეურნეთა ყრილობაც.

სასოფლო ყრილობა ნატანების კოლმეურნეობის კულტურის სახახლის დარბაზში მიმდინარეობს. მას ათასზე მეტი კაცი ესწრება. დარბაზში ერთი თავისუფალი ადგილიც არ არის... ბრწყინავენ პროჟექტორები, წალშა-უკულმა ტრიალებენ ფოტორეპორტიორები და ტელეოპერატორები; გამოდიან ორატორები და ლაპარაკობენ მტკივნეულ საკითხებზე, რომელიც აწუხებს და აინტერესებს მარტო ერთ სოფელს კი არა, მთელ რესპუბლიკას. ტრიბუნაზეა მართა გოგუაძე, უბრალო კოლმეურნე. ის ლაპარაკობს, რომ ცალკეული მშობლები მეტად ცუდ მაგალითს უჩვენებენ შვილებს — სვამენ უზომოდ, ეტანებიან აზარტულ სათამაშოს — მთელ ღამეს კარტის თამაშში ათენებენ, შვილებს უნერგავენ ფულის იოლად შოვნის მავნე ჩვევებს... მართას თავისი სიტყვა წინასწარ არ დაუწერია. ან რაში სჭირდებოდა — ის კარგი მშრომელი რომ არის, მთელმა სოფელმა იცის. მაგრამ, იმავე დროს, ის ბუნებით ნამდვილი ორატორი ყოფილა, ისე ლაღად, უშუალოდ მოსდევს სიტყვა სიტყვას, არ შეიძლება გატაცებით არ უსმინო... ლაპარაკობს დიდი გულისტკივილით.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სვეტლანა ნიკოლაიშვილი, ბრიგადირი კუკური პატარავა, მასწავლებელი აკაკი მოქია, ჩაის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ალექსანდრე ცენტერაძე, პოეტი ნოდარ გურეშიძე, მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე თოიძე. ყველა ისინი აღნიშნავენ, რომ არცერთი ნატანებელი არ უნდა დასჯერდეს იმას, რაც მოპოებულია. გივი წითლიძის მოხსენების დედააზრიც ეს იყო. მან ფრიად დროული და მოსაწონი დევიზი აარჩია თავისი სოფლის ყრილობისათვის — მიღწეულით დაკმაყოფილება — ჩამორჩენაა! მიღწეული კი მათ ბევრი აქვთ, საამაყოც ბევრი აქვთ... მაგრამ არ შეიძლება დაკმაყოფილება, თვითდამშვიდება, საჭიროა მუდამ წინ მიდიოდე, ახალ ბილიკებსა სჭრიდე, ახალ გზასა ჰკაფავდე.

გივი წითლიძე თავის მოხსენებას ამთავრებს ნოდარ გურეშიძის შემდეგი ლექსით:

ეს გაუმარჯოს
ჩვენს მხიარულ განწყობილებას,
ეს გაუმარჯოს
კაცის კაცთან დაძმობილებას!
ეს გაუმარჯოს
შეუბღალავ სინდისს და ნამუსს,
ჩვენს დასაფიცარს,
ჩვენს სიცოცხლეს, ოცნებას — მამულს!
ეს გაუმარჯოს
ჩვენს ძალას და ჩვენს გამძაფრებას,
ჩვენი აზრის და
ნაფიქრალის მზისკენ გაფრენას!
ეს გაუმარჯოს
გლეხის გარჯას, მუშის მარჯვენას,
შექმნას, შენებას
და ყოველი ახლის გაჩენას!
ხალხო ძლიერო,
ბრძენო ხალხო,
შენ რა გეძნელოს?!
დაძლევ ყველაფერს,
შენი იყოს ეს სადღეგრძელო!

კარგად არის ნათქვამი, გულით, ქართული სილალითა და გზნებით. ამას ველარაფერს დაუმატებს კაცი და მეც ამით დავამთავრებ ჩემს სათქმელს.

**გიორგი ნატროშვილი**

ნატანები—თბილისი.



სვეტლანა ნიკოლაიშვილი — რგოლის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



ალექსანდრე ცენტერაძე — ჩაის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.



კუკური პატარავა — ბრიგადირი.



სარწყავი სისტემის მოწინავე მშენებლები.



ავტომატური მართვის პულტთან.



იმ წელს პანკისში ჩვეულებრივი ზაფხული იდგა. ყანების მკა უკვე დამთავრებული იყო.

ერთ დილას დაღესტნის მხრიდან წამოსული ღრუბლები ხორეჯის თავზე გადმოჩნდნენ და ჩამოაბნელეს ალაზნის სათავე. მალე პანკისში ისე ჩამობნელდა, კაცს ეგონებოდა ღამდებაო. დაიწყო წვიმა და ახლა როგორი!

განრისხებული ელია ცეცხლის მათრახით შოლტავდა კავკასიონს.

გაგიჟებული ალაზანი ზათქით, ღრიალით დაეშვა პანკისზე. მოდიოდა და მოჰქონდა ძირფესვიანად მოგლეჯილი წიფლები, მუხები, მურყნები... მოაბურთავებდა სახლისოდენა ლოდებს. თავის ძველსა და ახალ კალაპოტში რომ ვერ ეტეოდა, სოფლებისკენ მიიწევდა.

ხალხი გაავებული მდინარის სანახავად გარბოდა.

მთიდან პანკისამდე დიდი მანძილი არ არის და მალე ჩამოილია ღვართქაფი.

მეორე დღეს შორი სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ რიყეზე იმის დასანახად, გადარეულ ალაზანს როგორ მიელეწ-მოელეწა იქაურობა, რამოდენა ლოდები ჩამოეტანა ხადორისა და ბაწარის კიწროებიდან.

— აი, ასეთი ბიჭია ალაზანიო, — თქვა ვიღაცამ და შეგროვილ ხალხს გადახედა.

ერთი წლის შემდეგ სოფელ ყვარელწყლის ბოლოში მშენებლები გამოჩნდნენ, დაჰკრეს ბარი და დაიწყეს დიდი, მაღალი სახლების შენება. სოფელში ხმა გავარდა, ალაზნის სარწყავი არხის სათავის მშენებლობას იწყებენო.

მალე ალაზნის პირასაც გამოჩნდნენ მშენებლები. მოიტანეს ბულდოზერები, ექსკავატორები, ამწეები.

დროული ქისტები, ფშავლები, ოსები მოდიოდნენ, მშენებლობას უყურებდნენ და გუნებაში ელიმებოდათ, ერთხელაც იქნება ბორბალოს ძუძუნაწოვი თავისებურად გაგიჟდება, მოვარდება და ამ ნაჩხირკედელავებს ბახტრიონის ბოლოს გარიყავსო. ბევრი თავის ვარაუდს პირშიც ეუბნებოდა ტრესტ „ალაზანმშენის“ მეორე ხამშენებლო სამმართველოს მშენებლობის ოსტატს გიორგი მათიაშვილს.

— ამ საწისქვილე წყალზე ამბობთ? — გიორგი სულ არაფრად აგდებდა მათ საქადნელ ალაზანს, — ამას თუ გინდათ შევატრიალებთ და საიდანაც მოდის, იქით გავგზავნით შხუილ-შხუილით!

— კარგით, ვნახოთ, — ამბობდნენ პანკისელები.

შვიდი წელი გავიდა ამ მოლოდინში. შვიდი წლის განმავლობაში მშენებლებმა ალაზანი ხან კლდის ძირას მიკეცეს, აქეთ ხელს გვიშლიო, ხან — აქეთ, კლდესთან სამუშაოები გვაქვსო. მდინარემ კი ერთხელაც ვერ აიმაღლა ხმა.

გასულ წელს დამთავრდა სათავე-ნაგებობის მშენებლობა. ერევნიდან ჩამოტანილი რკინის ასაწევ-დასაწევი ფარებიც დაამონტაჟეს, შეღებეს და გაალამაზეს ფასადი, ააშენეს პატარა ოთახი, სადაც გამრჯე ბიჭებმა — ელისე ლომინაძემ, თეიმურაზ ჩიკაშვილმა და ვლადიმერ კახიძემ თავიანთივე ხელით დაამონტაჟეს ავტომატური მართვის აპარატურა. ამ აპარატურას აქვს წყლის გამშვები პულტი (რვა ფარის აწევ-დაწევა ხდება), ორი — წყლის დონის მაჩვენებელი (ერთი ეკრანზე, მეორე ციფრებზე), ორი — ავარიული შემთხვევების ასაცილებელი სიგნალიზაცია (ნათურა და ზარი). ახლა ერთი თითის დაჭერალაა საჭირო, რომ ფარები დაეშვას და ალაზანმა თავისი საუკუნოვანი გზიდან პანკისის მინდვრებისაკენ გადაუხვიოს, ბეტონის არხს ბაღ-ვენახებისკენ გაჰყვეს.

— აკი ჩვენმა ალაზანმა ასეთი და ისეთი ადიდება იცისო, სად არის, რატომ ერთხელ მაინც არ გვაჩვენებს თავის ძალას, — უთხრა ერთხელ მშენებლობის უფროსმა ქისტ ბერიკაცს, რომელიც აქ ყარაულად მუშაობს.

— ჩემმა მზემ, ადიდება კი ძალიან იცის, მაგრამ აბა ახლა რაღა გამოუვა, თუ გინდა კიდეც გაგიჟდეს! თქვენ ისეთი უღელი დაადგით, ამას ვერც მოიხსნის და ვერც გატეხავს! თუ რამე ეწადა, ადრევე უნდა ეცადა!

როგორც მოგახსენეთ, სათავე ნაგებობის მშენებლობა უკვე დამთავრდა. დასრულებული საქმე თვალს ახარებს. მე თვითონ გახლდით ამ დიდი საქმის კეთილად დაგვირგვინების მოწმე: ივლისის შუა რიცხვები იყო, თვის ბოლომდე ყველაფერი უნდა მომთავრებულიყო, წვრილმანი გასაკეთებელი კი ჯერ ისევ ბევრი იყრიდა თავს; ფარების შეღებვა, ხარაჩოების ჩამოხსნა, ფასადის მოლამაზება, მშენებლობის ნარჩენების გატანა, გარემოს მოსწორება, მოტკეპნა, მოასფალტება... და კიდევ ათასი რამ, რომელიც აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო. უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ვერ ესწრებოდა. იმ დღეებში სამმართველოს უფროსს და ამ უბნის უფროსებს „სათავეზე“ უთენდებოდათ და ულამდებოდათ.

იყო სიძნელეები, ხან რომელიმე მექანიზმი გამოვიდოდა მწყობრიდან, ხანაც სამშენებლო მასალის შემოტანა ფერხდებოდა, მაგრამ იყო ენთუზიაზმი, საქმის სიყვარული.

ოცდარვა ივლისს მარტო პანკისელი მშრომელები კი არა, რაიონიდანაც ამოვიდნენ იმის სანახავად, როგორ დაეშვებოდა რკინის ფარები, როგორ შეგუბდებოდა ალაზანი და წყალი როგორ წავიდოდა ბეტონის არხში.

იმ დღეს ახდა ხალხური მთქმელის ლექსად თქმული მუქარა:

**ნანა ღვინეფაძე**

## ჩემი მგზავრული

მივდივარ და თითქოს
        რაღაც მრჩება,
თითქოს რაღაც მტკივა —
ალბათ ოშკის სიმარტოვე...
მივდივარ და მცივა...
ბოსფორ-ბოსფორ მემატება
ფიქრზე ფიქრი, მზეზე მზე,
მაინც, რაღაც მავიწყდება,
        ალბათ ჩვენი ოპიზა...
მგონი ვიღაც მომესალმა,
მგონი უკვე ვთბები,
თურმე შავი ზღვაა,
და გურიის მთები...
        გამარჯობა თქვენი!..

სტამბოლი — თბილისი.

## არტემიდე—დიანა

რამდენი ხანია,
        რამდენი ხანია,
დამეწვა ტაძარი,
        დამექცა ოცნება...
რამდენი ხანია
        ასე მოთმინებით,
ვდგევარ და გელი,
გელი იმ რაინდს,
ვინც ამხსნი სევდის,
ლოდინის ტვირთს...
მე მარმარილოს ქალი ვარ, მაგრამ
გული არ გაქვავდა დღემდე...
ჩემი ლომ-ჯიხვის იმედით გავძელ,
მათი მოდრეკა არ იყო ძნელი:
ჩვილივით ორივ მკლავზე დავისვი
და ვუზიარებ შერჩენილ სითბოს...
მე ისევ კაცის ხელით მორთული
და მოოჭვილი კაბა მაცვია...
ღმერთი ვიყავი,
        ღმერთად დამსახე
და ადამიანს მით უფრო
        გიხმობ...
ძნელია, ასე ღმერთობა მხოლოდ,
ძნელია, ასე ლოდინი მარად,
მე არტემიდე ვიყავი წინათ
და მქონდა დიდი, უცხო ტაძარი...
მე არტემიდე — დიანა ვიყავ
და მერე სევდამ ქალად მაქცია...

ეფესო — იზმირი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მე და დიონისო

მე შენზე ბევრი მიფიქრია,
მაგრამ შორს ვიყავი მაინც
და ამ სიშორეში შენგან
არას მოველოდი...
მე შენზე ბევრი მიფიქრია,
მაგრამ თუ ჩემი ფეხით,
მაგრამ თუ ჩემი ნებით
        მოვიდოდი, ღმერთმანი,
        არ ვიცოდი...
ახლა, როცა ასე მაღელვებს
ჩამონგრეული თეთრი ტაძარი,
შენი ნაბოძარი დიდთეატრონი,
რომელშიც შევრჩით დღეს
        მე და შენ,
მინდა გისმინო,
        დიდხანს გიმზირო;
შენ კი მიამბო —
რაც განიცადე, რაც დაგიკარგავს...
(თუმც ყველა ვიცი, ვიცი და ვღელავ,
თან მინდა შენით, შენით მიამბო)...
მე შენზე ბევრი მიფიქრია,
მაგრამ შორს ვიყავი ძლიერ,
და იმ სიშორეში შენგან
        არას მოველოდი...
აქ პერგამონის მზიან სიჩუმეში
ის მოჩვენება თუ
        ერთად ყოფნა,
ის დუმილი და საუბარი,
ის სიზმარი თუ სინამდვილე,
        იყო მათრობელი
        და ლამაზი,
ვით შენ,
ვით შენი ვაზის გვირგვინი,
ვით შენი სახელი —
        დიონისო...

პერგამონი.

---

შენ ალაზანო სად მიხვალ,
შენს ჭკვაზე აღარ გატარებთ,
პანკისის თავში ჩაგკეტავთ,
მატანზე გადაგატარებთ.

იმ დღეს ალაზანი მართლაც მივიდა მატნამდე და მერე კურტანაძეულის კალაპოტით ბახტრიონთანღა დაუბრუნდა თავის ძველ გზას.

საცდელმა გაშვებამ მშენებელთა გული გაახარა.

პანკისის ხეობაში სარწყავი სისტემა მზად არის! მაგრამ ამ არხმა მარტო პანკისში ხომ არ უნდა მორწყას ბაღ-ვენახები, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა შიდა და გარე კახეთის რაიონებში 110 ათას ჰექტარ ურწყავს მიაწვდის მაცოცხლებელ ძალას.

პანკისის ხეობაში მინელდა ბულდოზერების, ექსკავატორების, სკრეპერების გუგუნი. მშენებლობის ფრონტმა თანდათან ქვევით გადაინაცვლა. მთელ კახეთზეა გადაჭიმული არხის მშენებლობა. სპეციალისტების აზრით, ეს საირიგაციო სისტემა ერთ-ერთი რთული საშენებელია უსწორმასწორო გეოგრაფიული რელიეფის გამო. სატრეფოსთან პირველი და მეორე გვირაბი უკვე დამთავრდა. ახლა მესამე და მეოთხე გვირაბი გაჰყავთ მატნის მთის ძირში. ამ უბანს სამთო ინჟინერი კოტე მოურავიძე უძღვება. აქვეა მეორე უბანი, რომელსაც ანზორ იუკურიძე ხელმძღვანელობს. ანზორს ამბავი რომ ჰკითხოთ, თავის უბნის მშენებელი ბიჭების ქებას დაგიწყებთ; დაასახელებს მშენებლობის ოსტატს ხვთისო ბასილაურს, ბრიგადირს ჯუმბერ კუპატაძეს, მებეტონეებს: ვახტანგ ყაველაშვილს, ზაურ ჭეიშვილს, ჯიბო ყაველაშვილს, ჭერის გამმაგრებლებს: მელსი კუპატაძეს, ბადრი ნოზაძეს, გიო ყაველაშვილს.

— ეს რამდენი ყაველაშვილი გყოლიათ? — ვკითხე ერთხელ.

— ჰო, დამავიწყდა, ჩაწერეთ კიდევ ერთი ყაველაშვილი, ვალერი, საუკეთესო ბრიგადის ხელმძღვანელია.

— ვალერის ბედი არა აქვს ჟურნალისტებთან, — გაიცინა ხვთისო ბასილაურმა.

— ვალერი, აბა ერთი იმისა მოყევი, ტელევიზიიდან ჩამოსულები თქვენს საქმიანობას ფირზე რომ იღებდნენ, — სიცილის ხასიათზე დადგნენ ბიჭები.

ვალერი არა, მაგრამ სხვა მოყვა: ტელევიზიიდან ჩამოსულებს განუზრახავთ კარგი ბრიგადის საქმიანობა გადაეღოთ ფირზე, ვალერის ბრიგადაზე შეჩერებულა არჩევანი. ოპერატორს მრავალნაირი კადრი გადაუღია, ბოლოს მოუნდომებია გადაეღო ის მომენტი, როცა ბიჭები დაღლილები გამოდიან გვირაბიდან. უნიშნებია, დაძრულან, გამოსულან, მაგრამ ისეთი გაღიმებულები, თითქოს ნამუშევრები კი არა, ქორწილიდან მოდენილიყვნენ. ოპერატორს დაუწუნებია, ასე კი არა, ისე უნდა გამოხვიდეთ, მაყურებელმაც იგრძნოს თქვენი დაღლილობაო. ისევ გვირაბში შეუბრუნებია ბიჭები. ხელახლა მიუცია ნიშანი და ახლა ისეთი დაღვრემილები გამოჩენილან, თითქოს ქელეხიდან მოდენილიყვნენ. ოპერატორს დაუწყია გადაღება, მაგრამ გვირაბიდან გამოსულან თუ არა, რელსებიდან გადავარდნიათ ვაგონი და კინაღამ დაშავებულან.

გადარეულა ოპერატორი.

გაცხარებულან ბიჭები, — ჩვენ მართლა დაღლილები ვართ და კინომსახიობობა არ შეგვიძლიაო.

გვირაბებში სამ ცვლად მუშაობენ ბიჭები, აქ ისეა მუშაობის გრაფიკი შედგენილი, უწყვეტი კვირაა და უწყვეტი თვე. ეს თავისთავად მშენებლობის ჩქარ ტემპზე მიგვანიშნებს.

საირიგაციო სისტემის მშენებლობას თან ახლავს თანამგზავრი მშენებლობანი; ტრასა რომელ სოფელზედაც კი გაივლის, ყველგან თავის კეთილ კვალს სტოვებს. ზოგან ხიდები შენდება, ზოგან გზები... პანკისის ხეობაში, მაგალითად, საუკეთესო სასმელი წყალი გამოიყვანეს მშენებლებმა. იქვე გაღმა სოფლებისათვის: ომალოსთვის, დუმასტურისთვის, ხალაწნებისა და წინუბნისათვის ააშენეს დიდი, კაპიტალური ხიდი ალაზანზე, გაიყვანეს გზები.

აქ ძნელია ჩამოთვლა ყველა იმ მშენებლობისა, რომელსაც „ალაზანმშენი“ მაგისტრალური სარწყავი არხის მშენებლობის პარალელურად აწარმოებს. ტრესტის მთავარი ინჟინერი შალვა დობორჯგინიძე ამბობს: ეს მშენებლობა რა სიკეთეს მოუტანს ქვეყანას, გასაგები გახდება მაშინ, როცა სარწყავი არხის მშენებლობა დამთავრდება, როცა შიდა და გარე კახეთის მადლიანი მიწა ხელოვნურად მიიღებს წყალს — სიცოცხლისა და სიუხვის დედას, როდესაც ზვრებში, ბაღ-ვენახებში, ბოსტნებსა თუ სიმინდის ყანებში უკვდავების წყაროდ იჩუხჩუხებს ალაზნის წყალი. მაშინდელი შემოდგომა სულ სხვა იქნება კახელი მშრომელებისათვის, ერთ ჰექტარზე ორმოცდაათიდან ას ცენტნერამდე გაიზრდება ყურძნის მოსავლიანობა, ოცდაათიდან ასოცდახუთ ცენტნერამდე — ხილისა, ასევე მკვეთრად გაიზრდება ბოსტნეულის, შემოდგომის ხორბლის, სიმინდის, მზესუმზირის და სხვა კულტურების მოსავლიანობა.

და ეს ხვავ-ბარაქა ნაყოფი იქნება ამ დიადი მშენებლობისა, რომლის პირველი რიგის სამუშაოები ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება.

**ვალერიან ჩეკურიშვილი**

# ევგენი ონეგინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძემ ქართულ ენაზე თარგმნა დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის „ევგენი ონეგინი“. თარგმანი მთლიანად დაიბეჭდება ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ცალკე ადგილებს პოემის მეორე თავიდან. პოემის ეს თავი იწყება იმის აღწერით, თუ როგორ მოწყენით ატარებს დღეებს პეტერბურგიდან სოფლად, თავის მამულში ჩამოსული ევგენი ონეგინი. სწორედ ამ ხანებში გაეცნობა იგი ახალგაზრდა პოეტს — ვლადიმერ ლენსკის.

## ალექსანდრე პუშკინი

### ადგილები მეორე თავიდან

VI

სწორედ იმ ხანად თავის სოფელში
ეტლით მოჰენდა სხვა მებატონეც
და მისი ქცევაც სამეზობლოში
განსჯის გარეშე არ მიატოვეს.
ვლადიმირ ლენსკი მათთან სახლდება,
გეტინგენელის სრული სახება —
ლამაზი, თითქმის დაკაცებული,
პოეტი, კანტით გატაცებული.
მან გერმანეთით, ნისლით ნაბურით,
წამოიმძლვარა სიბრძნედ რუსეთში,
ლაღად ოცნება, რწმენა, ნუგეში,
სული ფიცხი და თან უცნაური,
სიტყვა — მგზნებარე გულის ძახილი
და შავი თმები მხრებზე დაყრილი.

VII

საწუთროს ცივი, ბილწი შხამგესლით
ჯერ არ მოესწრო ყრმაკაცს დაზრობა,
მოძმის სალამით, ასულთ ალერსით
გაეთბო სულის ახალგაზრდობა.
იყო სათუთი და გაუწვრთნელი,
ასულდგმულებდა რწმენა გულწრფელი;
ქვეყნის ბრჭყვიალს და ხმაურს მონებდა
ჯერ კიდევ მრწემი მისი გონება
და დაეჭვებას, გულის მომცარავს
იქრობდა იგი ტკბილი ოცნებით,
მისთვის მიზანი ჩვენი ცხოვრების
ჰგავდა მიმზიდველ რთულ ამოცანას,
მისთვის იტეხდა თავს განსწავლული,
და მით იეჭვა მან სასწაული.

VIII

მტკიცედ სჯეროდა, სულით ნათესავს
შეიერთებდა კეთილ სულივით,
სწამდა, იწვოდა წმინდა არსება
მისი ყოველდღე ნახვის სურვილით.
მისი ღირსების გამო ბორკილთა
დებას ირჩევდა გული ძმობილთა,
არ შეკრთებოდა მათი მარჯვენა
ცილისმწამებლის მძიმე სასჯელად.
სწამდა, რომ დგანან ხვედრით რჩეულნი
ადამიანთა წმინდა თავდებად,
რომ მათი კერა, ვით უკვდავება,
თვალისმომჭრელად გაჩაღებული
სხივებს ოდესმე ჩვენც მოგვაშუქებს
და მთელ სამყაროს შვებას აჩუქებს.

IX

მას აღშფოთებამ და სიბრალულმა
სიკეთისადმი წმინდა ტრფიალმა
და განდიდების ტანჯვამ სალბუნმა
სისხლი ადრევე აუჩქრიალა.
ჩანგით მოხეტეს მაშინ ეღირსა
ცა გოეთესი და შილერისა
თავს დახურვოდა მათთან საერთო,
სული პოეტურ ცეცხლით აენთო
და ხელოვნება სვებედნიერმა
არ შეარცხვინა დიად მუზათა:
შემოუნახავს ზვიადს უზლვავად
მარად მაღალი განცდის სიმღერა.
ძალა სპეტაკი ნატვრით ქროლების
და ბრწყინვა ზვიად უბრალოების.

X

ტრფიალს უმღერდა ყმა სიყვარულის
და მისი ლექსი იყო ნათელი,.
როგორც ფიქრები სათნო ქალწულის,
როგორც სიზმრების გზა ყრმობამდელი,
როგორც მშვიდ ცაზე მთვარე ფერმკრთალი
ხვაშიადის და ოხვრის ღმერთქალი.
უმღერდა იგი გაყრას ნაღვლიანს.
რაღაც ბუნდოვანს, სივრცეს ჯანღიანს.
რომანტიკული ვარდის ტრფიალი,
უმღერდა იგი ქვეყნებს შორეულს,
სადაც ხანგრძლივად ცრემლებს მორეულს
ყრუ სიჩუმეში ღვრიდა მტირალი;
სიცოცხლე მჭკნარად ესახებოდა,
ოდეს თვრამეტი წლისა ხდებოდა.

XI

იმ უდაბნოში მარტო ონეგინს
შეეძლო მისი ყადრი სცოდნოდა,
ლენსკის ბუნება ახლო სოფლების
ბატონთა სუფრებს ვერ ეწყობოდა.
არ დარჩენილა მათთან საუბრად,
ბრძნული ბაასი როცა გაუბამთ
თიბვაზე, მწევართ სადგომ-ბაგებზე,
ღვინოზე, ახლო ნათესავებზე.
და, რა თქმა უნდა, მათი მსჯელობა
არც პოეტური აზრით ცხოველით,
არც ხელოვნებით ერთად ცხოვრების
არც სიმახვილით განირჩეოდა,
მაგრამ ბაასში მათი ცოლები
იყვნენ მით უფრო საბრალოები.

XII

მდიდარ და ლამაზ ლენსკის იწვევდა,
როგორც სასიძოს, ყველა ხალისით;
სოფელი ადათს არ ივიწყებდა;
ყველას ასული სწამდა თავისი
ნახევრად რუს კაცს რომ გაჰყვებოდა;
მისი შესვლისას ეხერხებოდათ
სიტყვის წარმართვა სულ სხვა რამეზე,
ცალად ცხოვრების სივალალეზე:
სუფრა უხმობდა მათ სამოვარით
დუნია როცა სასმისს უვსებდა,
„მიჰხედე“ — ვიღაც ჩასჩურჩულებდა.
ბოლოს გიტარას გასათხოვარი
ზედ დაჰკნავლებდა (ჰოი გამჩენო!):
„წამოდი ოქროს კოშკი გაჩვენო!..“

XIII

მაგრამ არ სურდა, ცხადზე ცხადია,
ლენსკის ცოლქმრული ლაგმის მორგება,
გულწრფელი გრძნობით მოიწადინა
მან ონეგინთან დამეგობრება.
შეხვდნენ ერთმანეთს. ტალღა ტინისგან,
ლექსი პროზისგან, ცეცხლი ყინვისგან
არ იყო მათებრ განსხვავებული
და ჯერ სხვაობის ზღვარგავლებულნი
ერთურთისათვის მოსაწყენები,
ძლივს შეეთვისნენ, მერე ურყევად,
განუშორებლად და განუყრელად,
დასეირნობდნენ ერთად ცხენებით:
და ესე (ცოდვა ახლაც მანაღვლებს)
ხალხს უსაქმობა აამხანაგებს.

XIV

ის მეგობრობა, რაც მათ გააჩნდათ,
დავგმეთ ცრურწმენად, ძველ ჩვეულებად,
ნულებად ვნათლავთ ყველას აშკარად,
და მარტო ჩვენს თავს — ერთეულებად.
თვალს ნაპოლეონს ყველა ვუსწორებთ,
მილიონობით ორფეხს ვუწოდებთ
პირუტყვებს და ვთვლით ერთ იარაღად,
დავცინით ნამდვილ გრძნობას ამაყად.
ევგენი იყო ბევრზე ფაქიზი,
თუმცა იცნობდა კაცთა სიავეს,
ზიზღით უმზერდა ადამიანებს,
მაგრამ (კანონს აქვს გამონაკლისი)
იცოდა ზოგის ყადრი, ღირსება
და სხვისი გრძნობის პატივისცემა.

XV

ლენსკის უსმენდა იგი მღიმარი.
მგოსნის მსჯელობა ალმოდებული,
გონება ჯერ აზრდაულვინარი,
და მზერა მუდამ შთაგონებული —
ონეგინისთვის იყო სიახლე;
და არ უნდოდა მისი სილაღე
პირსმომდგარ ცივი სატყვით ჩაექრო.
ფიქრობდა: ფუჭად რად ვეპაექრო,
არ გავუმწარებ წუთს დალხინების;
ჟამი მოუვა მას უჩემოდაც,
ვიდრე ცოცხალ არს, დაე სჯეროდეს
ქვეყნიერების სრულყოფილების;
შერჩეს, ყრმა ვიდრე დავაჟკაცდება,
ყრმული ბოდვები და აღტაცება.

თარგმნა ოთარ ჭელიძემ.



# პოეტი მეგობრებთან

კარპე მუმლაძე

გავა დრო და ბედნიერად ჩათვლის თავს ყველა, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონია მასთან.

იგი ქართული მხატვრული სიტყვის ნამდვილი ჯადოქარია, რომლის ცხოვრებაც არაერთ კონტრასტს შეიცავს.

ძნელია ამ დიდ პოეტზე წერა, ძალიან ძნელი, მაგრამ არის ზოგი მომენტი, რომელთა დავიწყებაც დასანანი იქნება.

ამიტომ პირდაპირ ვიწყებ.

1950 წლის ზამთარი იყო. მწერალთა კავშირში რაღაც კრება, თუ პლენუმი ტარდებოდა.

გვიან ღამით დამთავრდა. პალტოების ასაღებად გამოვედით.

ახალგაზრდა ვიყავი და ხომ არ გავასწრებდი უფროსებს! უკან ვიდექი და ვუცდიდი, როდის აიღებდა პალტოს ყველა.

აი იქ, შესასვლელში რომ გარდერობია.

ყველა რომ გაიკრიფა, ჩემს პალტოს მივადექი... მივადექი, მაგრამ... სადღაა იგი!

უნომროდ ვკიდებდით. არც პასუხს აგებდა ვინმე.

იმ წელს პირველი წიგნი გამოვეცი და პირველად შევიკერე პალტო — საუკეთესო ხარისხის დრაფის პალტო. მანამდე სულ ფრონტიდან ჩამოყოლილი მაზარა და სამხედრო კიტელი მეცვა — ომის შემდეგ მთელი ხუთი წლის მანძილზე.

ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი, როცა გარდერობში მხოლოდ ერთი, საკმაოდ მოძველებული პალტოღა დარჩა! აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ვის მოსთხოვ პასუხს? ხელახლა ვსინჯავ პალტოს: სჯობია, არ ჩავიცვა და ისე გავუყვე ზამთრის გზას...

რა ვქნა?

თუ მწერალმა წაიღო, ცხადია, უკან მოაბრუნებს, მაგრამ თუ გარედან შემოსულმა უცხომ გამოცვალა, მაშინ რაღას შვრები?

ასეთ შავ ფიქრებსა და წუხილებში რომ ვარ, კარი გაიღო და ნელა ამოუყვა კიბეს გალაკტიონი.

— კაცო, ვიღაცას პალტო ჩამიცვია... გაზეთები მქონდა ჯიბეში და, რომ აღარ იყო, იმით მივხვდი...

ფერწასული და გამშრალი, უცებ მოვედი გონს და აღტაცებით მივეგებე დიდებულ მგოსანს. ახლა ამაზე საყვარელი კაცი არ იყო დედამიწაზე.

ჩემი პალტო გავხადე, მისი ჩავაცვი და ერთად გამოვედით სასახლიდან.

— რა იფიქრე, ბიძიკო, მომპარეს პალტოო? — ჩაიცინა მან.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ! ვიფიქრე, ვინმეს შეეცვლებოდა და მოიტანს-მეთქი.

— ასეც ხდება, ბიძიკო, ასეც... რას იზამ...

კიროვის ქუჩაზე დავემშვიდობე. ძალიან მსურდა გამეცილებინა, მაგრამ ვერ შევბედე: არც ისე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან და არ მინდოდა ხელი შემეშალა: იქნებ თავისი ფიქრები ჰქონდა და მარტო სიარული ერჩია.

რამდენადაც დიდი იყო წეღან დარდი, პალტოს დაკარგვის შიშით გამოწვეული, მით უფრო მეტი იყო ახლა სიხარული: ჩემი პალტო ეცვა გალაკტიონს! მის ძველ პალტოზე კი გიორგი ჩიქობავა ამბობს წიგნში „გალაკტიონის ახლო“:

„ერთი ძველი პალტო უყვარდა. ახლის ყიდვაზე კატეგორიულად უარს აცხადებდა. ვაჟას ნათქვამს გაიმეორებდა ხოლმე:

ოღონდ ვაჟკაცი ვარგოდეს,
რა უშავს ჩოხის ძველსა!“

ეს იყო, ასე ვთქვათ, ჩემი პირველი შინაური შეხვედრა გალაკტიონთან. მის შემდეგ კარგ ნაცნობად, თუ უმცროს ამხანაგად მთვლიდა და ყოველთვის ალერსიანად მხვდებოდა.

1958 წელს, როცა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე მოახლოვდა, დიდი შეხვედრა მოვუწყვეთ რუსთავში.

თაოსნობა მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებულ ლიტერატურულ წრეს ეკუთვნოდა და, როგორც მის ხელმძღვანელს, მე მიხდებოდა ყველაფერზე ზრუნვა.

დავადგინეთ თარიღი, განვსაზღვრეთ პროგრამა და ასე შევხვდი გალაკტიონს მწერალთა სახლის სალონში.

მან დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი. მეც გავაცანი საღამოს პროგრამა: შესავალი სიტყვა, მოხსენება, მისალმებანი, კონცერტი...

— ვინ გახსნის? — დაინტერესდა იგი.

— მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

— მოხსენება?

— მე ვამზადებ, ბატონო.

— ხალხი იქნება...

— დიახ, ბატონო, ახალგაზრდობა ბლომად გვყავს, დარბაზიც დიდია.

— ალბათ ინტელიგენციაც დაესწრება.

— როგორ არა, განსაკუთრებით, პედაგოგები.

— შევთანხმდით, — მითხრა მან.

— დიახ, ბატონო... კიდევ ჩამოვალ და მოგახსენებთ ყოველივეს.

— კეთილი, — თქვა და ყველაფერი ბლოკნოტში ჩაინიშნა.

ეს იყო აპრილში.

როცა ყოველივე დაზუსტდა, ახლა უკვე შინ მივაკითხე — მარჯანიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა.

ზარი დავრეკე. ქ-მა ნინომ გამიღო კარი და გალაკტიონის კაბინეტში შემიყვანა, თან მითხრა, ახლავე მოვაო.

რაღაც ერთი-ორი წუთის შემდეგ შემოვიდა პოეტი. მაგიდასთან დამსვა და თავიდან მომაყოლა ყველაფერს. თან ბლოკნოტი გადაშალა და ძველი ჩანაწერი შეამოწმა.

— ათი მაისი? რა დღეა?

— შაბათი, ბატონო.

— შაბათი? — ადგა, კედლის კალენდართან მივიდა, რამდენიმე გვერდი გადაფურცლა და მტკიცედ თქვა: — შაბათი კი არა, პარასკევია!

— არა, ბატონო, შაბათია...

— ა, ძამიკო, ნახე, პარასკევია!..

— რუსთავში შაბათია და... — ვცადე გახუმრება, მაგრამ უმალვე შევჩერდი: ვაითუ ცუდად გამომივიდა-მეთქი.

მივედი და კალენდარს დავხედე: 10 იანვარი იყო!

— ბატონო, ეს ხომ იანვარია!

— უჰ!.. — ერთი ამოიქშინა და გულმოსულად დაიწყო ფურცლების ჩამოხევა. მივიდა ათ მაისამდე და კიდეც გამოჩნდა „შაბათი“.

წინადღით, 9 მაისს, ისევ მივაკითხე. გასაგები უნდა იყოს ჩემი მოუსვენრობა: გაზეთში გამოვაცხადეთ, მოსაწვევები დავბეჭდეთ, აფიშები გამოვაკარით... ყველა ღონე ვიხმარეთ, რომ ხალხისათვის შეგვეტყობინებინა. ყველა გულისფანცქალით ელოდა გალაკტიონს.

— მაშასადამე, ხვალ, არა?

— დიახ, ბატონო, ხვალ. თქვენ შინ ბრძანდებოდეთ. მანქანით ჩამოვალთ და წაგიყვანთ. რუსთავი დიდ მოლოდინშია. ვფიქრობ, კმაყოფილი დარჩებით.

— უმთავრესად იქ მუშა ხალხია, არა?

— დიახ, ბატონო, კარგი პოეზია უყვართ.

— კარგი პოეზია... — რაღაც გაურკვევლად თქვა მან, მაგიდაზე დახვავებული წიგნები მისწი-მოსწია და ირიბად გამომხედა: კარპე, თქვენ სადაური მუმლაძე ხართ?

— ჭიათურელი, ბატონო!

— ოო, კარგია... — და ერთხანს ფიქრებში ჩაიძირა.

მეც დუმილი ვარჩიე. უცებ გამახსენდა „შავი ოქროს ქალაქი“, სადაც ასეთი სტრიქონებიცაა:

გახსოვს ჩვენი სიყმაწვილე,
ჩვენი მთა და ველი?
ჭიათურა, ჭიათურა,
ჭიათურა ძველი!

უცებ თავი აიღო:

— იცი, რა? აგერ წიგნები... წაიღეთ, მკითხველებს დაურიგეთ... — და თავისი მერვე ტომის



რუსთავი. ლენინის მოედანი.

რამდენიმე ეგზემპლარი გადმოიღო. ერთს იქვე წააწერა: „კარპე მუმლაძეს. ნიშნად ულრმესი პატივისცემისა. გ. ტაბიძე. 1958. 9 მაისი“. მეორე ცალი ჩვენს ლიტერატურულ წრეს უძღვნა. დიდი მადლობა მოვახსენე და დავემშვიდობე.

მეორე დღეს, დათქმულ საათზე, მანქანა მივაყენეთ. გამზადებული დაგვხვდა. აქვე იყო მისი ლიტერატურული მდივანიც, გიორგი ჩიქობავა.

ცოტახანს ვისაუბრეთ. მერე ჩავსხედით და რუსთავისაკენ გავსწიეთ.

პირდაპირ მარტენს მივადექით. საამქროს უფროსი კაბინეტში დაგვხვდა.

— ბატონო გალაკტიონ, ეს არის კარლო ლეუავა — მარტენის საამქროს ყველაზე ახალგაზრდა უფროსი მთელ საბჭოთა კავშირში, — გავაცანი მე.

— ყოჩაღ!.. ყოჩაღ!.. — მერე შეათვალიერა, ეტყობოდა მოეწონა და განაგრძო: — სიმაღლე არ აკლია და სიგანე, იმუშაოს... როგორ ხართ? როგორ ასრულებთ გეგმებს?

— ვცდილობთ, ბატონო, არ ჩამოვრჩეთ საერთო ტემპებს: ათასი ტონა ზეგეგმითი ფოლადი გვაქვს, — მიუგო ლეუავამ.

გონებაში გალაკტიონის სტრიქონები მიტრიალებს:

არა გადაზვირთება,
არა სიტყვა ლიტონი —
ჩვენს ქვეყანას სჭირდება
უამრავი ლითონი...
შრომა არ შეანელო —
ტემპები დაახშირე...

— როგორია მუშათა და წარმოების მეთაურთა შემადგენლობა? რა ენაზე ატარებთ თათბირებს? ადგენენ თუ არა ქართულ მეტალურგიულ ტერმინოლოგიას? — ყველაფერი აინტერესებდა გალაკტიონს.

მერე სალუმელე მალში გავედით.

როგორც ყოველთვის, ღუმელების გუგუნ-გრიალს ყურთასმენა აქვს წალებული. ჩამტვირთავი მანქანა გლიჯინით მოაგორებს ჯართით სავსე როფებს. საკაზმე ეზოდან სტვენით მოგრიალებს ორთქლმავალი. მესამე ღუმელში მიქსერიდან მოტანილ თუჯს ასხამენ: მის სარკმელზე თითქოს ბრდღვიალა მზე დგას და ირგვლივ ათასობით ვარსკვლავს აბნევს... ღუმელის 200-ტონიანი აბაზანა ქშინავს, ბრდღვინავს, ბობოქრობს... თითქოს მთელი დედამიწა ზანზარებს, ფეხქვეშ იატაკი ირყევა...

„ეპოქისა“ და „რევოლუციური საქართველოს“ ავტორი რაღაც უზერხულად დააბიჯებს აღვართქაფებული ცეცხლის წინ...

ამ ინდუსტრიულ ალს გაუმარჯოს
და პროლეტარულ აბობოქრებას!

ბოლოს დავემშვიდობეთ მუშებსა და ინჟინრებს, ლეუავას მადლობა ვუთხარით, მანქანაში ჩავსხედით და ბლუმინგისაკენ გავეშურეთ.

გარეთ რომ გამოვედით, ხალხი უკვე ელოდა: სკვერშიც, მეტალურგთა სასახლის წინაც ზღვასავით ირეოდა. ყველას სურდა ახლოდან შეევლო თვალი პოეტისათვის. ფოტოგრაფი დიმიტრი ცხოვრებაძე წუთით არ გვშორდებოდა და სურათებს გვიღებდა. ამ სურათებზე აღბეჭდილი არიან გიორგი ჩიქობავა, ახალგაზრდა პოეტი იპოლიტე შავლოხაშვილი, სასახლის დირექტორი გიორგი ტაბიძე, ამ სტრიქონების ავტორი და ზოგიც სხვა. ცენტრში, რა თქმა უნდა, ყოველთვის გალაკტიონია.

სასახლეში შევდივართ. ვათვალიერებთ გამოფენას გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე. იგრძნობა, რომ პოეტი კმაყოფილია.

ახალგაზრდა პროზაიკოსი ოთარ ღვამბერია წერდა ამ შეხვედრის შესახებ საქალაქო გაზეთში:

„მეტალურგთა კულტურის სასახლეში ამდენი მაყურებელი არასოდეს შეკრებილა. ტევა არ იყო დარბაზში. მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცემენტეები, მშენებლები, მემონტაჟეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რუსთავის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი საღამოს დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მოვიდნენ, რათა საქართველოს სასიქადულო მგოსნისთვის თვალი შეევლოთ“.

პრეზიდიუმის ოთახი, აქაც ფოტოების გადაღება: ერთ სურათზე ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე გიორგი თხელიძე ჭადრაკს ეთამაშება გალაკტიონს, მეორეზე მე ვუკითხავ რუსთაველ ავტორთა ლექსებს, მესამეზე გალაკტიონი ახალგაზრდა პოეტთა ჯგუფში დგას...

ზუსტად საღამოს რვა საათზე გავდივართ სცენაზე. იხსნება ფარდა. ტაშისაგან ზანზარებს სასახლე. მთელმა დარბაზმა მქუხარე ოვაცია გაუმართა საყვარელ მგოსანს. ცქრიალით ამორბიან პიონერები: სცენა ყვავილებში იძირება...

იწყება საღამო. მას შესავალი სიტყვით ხსნის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ფარნაოზ კავთიაშვილი და სიტყვას მაძლევს მოხსენებისათვის.

ცოტა კი ვღელავ. რუსთაველი მშრომელები პირველად უწყობენ ასეთ დიდებულ შეხვედრას პოეტს და ისიც — გალაკტიონს. მოხსენებაზე კი ბევრი რამაა დამოკიდებული. დინჯად, გარკვევით უნდა წაიკითხო, შთამბეჭდავად. მსმენელი არ უნდა დაღალო; უფროსებსაც უნდა მოეწონოს, უმცროსებსაც... მაგრამ განა შეიძლება გალაკტიონზე მოსაწყენი მოხსენების კითხვა?! იგი ხომ მისივე ლექსებზე უნდა აიგოს!.. მგონი, ცუდად არ გამომსვლია. საღამოს შემდეგ (არ ვიცი, ზრდილობისათვის თუ ნამდვილად მოეწონა) გალაკტიონმა შემაქო და მთხოვა, მომეცით მოხსენება. მეც დავპირდი, გადავბეჭდავ და მოგართმევთ-მეთქი, მაგრამ დაპირება ვერ შევასრულე და ის მოხსენება დღესაც ჩემს არქივშია.

ტრიბუნაზე ადის მეფოლადე სერგო საყვარელიძე. იგი ულოცავს პოეტს შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს და უსურვებს ახალ წარმატებებს. ტრიბუნიდან ჩამოსვლისას მეფოლადე პოეტს მიუახლოვდა, რომ ხელის ჩამორთმევით დაედასტურებინა თავისი პატივისცემა. გალაკტიონს ჭაუკაცი მოეწონა, მკერდზე ხელი მოუთათუნა და ღიმილით უთხრა:

— ბიჭო, მეფოლადე ყოფილხარ და მართლა ფოლადისაგან ხომ არა ხარ?!

მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლეილა ლორთქიფანიძე, მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი ნიკოლოზ გველესიანი.

მხატვარმა ალექსანდრე გიორგაძემ მეტალურგთა ლიტერატურული წრის სახელით მგოსანს გადასცა სამახსოვრო ალბომი, რომელშიც წარმოდგენილი იყო რუსთავის ღირსშესანიშნავი ადგილები.

გალაკტიონისადმი მიძღვნილი თავიანთი ლექსები წაიკითხეს სილოვან ახვლედიანმა, იპოლიტე შავლოხაშვილმა, ნანა ჩიგოგიძემ, იური ჯინჭარაძემ, გივი ჯახუამ, უშანგი მენაფირემ, ვლადიმერ დევრისაშვილმა, სიმონ კელოშვილმა.*

სიტყვა ეძლევა გალაკტიონ ტაბიძეს. იგი ტრიბუნასთან მიდის და კარგახანს ვერ იწყებს ლაპარაკს: სასახლე ისევ ზანზარებს ტაშისაგან. მერე მხურვალე მადლობას იხდის გულთბილი შეხვედრისათვის და კითხულობს ლექსებს.

მთელ დარბაზს ეფინება ჯადოსნური ჰანგები:

წინ, წინ, სამშობლო მხარევ,
ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც
შესძრა მსოფლიო მთელი!
გამოქანება მძლავრი
ცხრაასჩვიდმეტის ტალღის —
ეს არის ძალა, ნება
და მისწრაფება ხალხის!
ეს არის სული ხალხის,
ეს არის გული ხალხის.
ეს არის ნება ხალხის,
ხალხის და მხოლოდ ხალხის!

ისევ მქუხარე ოვაცია. ხალხს დაშლა აღარ უნდა. ისევ ყვავილები.

პიონერები სცენაზე ამოცვივდნენ, გარს შემოეხვივნენ და სურათის გადაღება სთხოვეს...

შემდეგ ადგილობრივი და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.

გალაკტიონი ლოჟაში დავსვით და მხოლოდ პირველი განყოფილება მოვასმენინეთ. შეგვეშინდა მეტისმეტად არ დავღალოთო.

მერე ბანკეტზე წავედით. გვერდით ვუჯექი გალაკტიონს და შეძლებისდაგვარად ვემსახურებოდი. საჭმელს ყველაფერს მიირთმევდა ცოტ-ცოტას, ღვინოს კი არა სვამდა, ლიმონათს ეძალებოდა.

სიყვარულით დაგვემშვიდობა. მანქანაში ჩავსვით, ბიჭებიც გავაყოლეთ და გზა დავულოცეთ.

---

* გიორგი ჩიქობავას წიგნში „გალაკტიონის ახლო“ არის ადგილი, რომელიც ფაქტიურ შეუსაბამობას შეიცავს. ავტორი წერს: „ტრიბუნაზე ასულმა მოქალაქეებმა საკმაოდ კარგი მოხსენებები წაიკითხეს. ერთმა მათგანმა კი გალაკტიონის სიჭაბუკის დროინდელ ლექსებზე კრიტიკაში აწ მოძველებული შეხედულებანი გადმოაფინა და პოეტის ადრინდელი შემოქმედება ახსნა როგორც დეკადენტურ-სიმბოლისტური და რეალისტურ ნიადაგს მოწყვეტილი ხელოვნება.

გალაკტიონს ჩვეულებისამებრ მსხვილი ფანქარი ეკავა ხელში და ნიკაპთან იტრიალებდა. კარგახანს ნაწყენად, მაგრამ დამცინავად იქნევდა თავს“.

ეს ამბავი ყურით მოთრეულია. იმ საღამოზე არავის აზრადაც არ მოსვლია დეკადენტად მოენათლა პოეტი. ან კი როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო საზეიმო შეხვედრის დროს.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



ვახტანგ გორგასალი

ქალის პორტრეტი.



არდადეგებზე.

# ირაკლი ოქროპირიძე





ნატანები. საშუალო სკოლის შენობა.

ფოტო თ. არჩვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნატანები. კულტურის სახლი.



ციტრუსების ბაღნარში (ნატანები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი ოქროპირიძე



იოანე პეტრიწი.



ბიძინა ავალიშვილი.

ფრიდონ ხალვაში

## ფერებო, მაპატიეთ

ძალუმად მოწოლილი
თქვენი სიკამკამე,
მწიფდება თვალებში,
თითებში კანკალებს,
დღე რომ მიილევა
და თქვენც იწრიტებით
და თქვენს თქორს ჟივჟივით
სვამენ ტყის ჩიტები,
როცა გული, გული
ცოტა მიმშვიდდება,
საყვარელო ფერებო,
ძლიერ მომინდება
თქვენით გადავლებო
შავი შებინდება.
მაგრამ მაპატიეთ,
ფერებო, მაპატიეთ,
რომ ვერ აგატირეთ
ჩემი ფუნჯის წვერზე, —
ვფიქრობ, ვწვალობ, ვწერ მეც...

სულში ბობოქრობენ დღეთა განგაშები,
ერთურთს ვეხეთქებით გაშვებ-არგაშვებით.

ციცქნა სიხარული თუ კი იგდე ხელში,
უმალ გადაგისვამს ხაოს სიუხეშე.

თქვენ კი, ცის და მიწის ნაწმენდი ფერები,
მთა-ბართა სინდისით ავსილი ფერები,
მიმდევთ, მიმინათებთ, მათბობთ, მეფერებით.

ფერებო, მაპატიეთ,
რომ ვერ აგამღვრიეთ,
რომ ვერ გადაგრიეთ,
რათა დამეწმინდა,
თქვენით დამეწმინდა,
რისი თქმა მეც მინდა.

მჯერა, ფერებო,
თქვენი დაბერება დაუჯერალია.
მე კი ხატვას ერთი ფერი შევალიე, —
ჩემთვის ერთადერთი ფერი მელანია.

სიტყვა — საყვედური,
სიტყვა — მუდარა,
სიტყვა — წამიერი,
სიტყვა — მუდამ.
სიტყვა — სურვილი,
სიტყვა — წყურვილი,
სიტყვა — კი, სიტყვა — არა
ჩემს მშფოთვარ კალამს ჩამოსდის ღვარად...

ფერებო, მაპატიეთ, —
ღამე გავათიე
და ჰა, ვხედავ ირგვლივ ფერთა ხანძარია,
ვიცი, მომედებით, ვიცი, გადამბუგავთ,
დამწვით!
ჩასაქრობად რა ვქნა, არ მცალია.

## ს უ ლ ი კ ო

სადა ხარ ჩემო სულიკო...
ა კ ა კ ი

ისევ დაგეძებ, სულიკო და ჰა, ქოჩორიც თეთრდება,
სარკმელთან ხე რომ შუშუნებს, ეგ არის ჩემი ვედრება.
ვიწვი და რასაც ვპოულობ, შენ გემსგავსება ბევრი რამ.
თვალი ცისფერი კი არა, ცა შენი თვალის ფერია.

დავალ, დავფრინავ, თუ მღვრიე ოკეანეთა მგზავრი ვარ,
ქარიშხლებს ვეალერსები, ვითომ ის შენი ჯავრია.

ყველგან, ყოველთვის გეძებდი და გულიც მარად გელოდა,
მიყვარს აპრილის კაბაში შენი დამტკბარი რთველობა.

მართმევდნენ, ახლო იყავი,
მატყუეს, მაინც მჯეროდი,
სიყვარული ხომ ყოველთვის სულში თავისით შემოდის.

შენა ხარ ყველა კოკორში, ვარდ-გვირილაში, იაში,
ხარ მელოდია მდუღარე, ჩაფლული სიტყვის წიაღში.

მე შენთვის უწილადები თვით სიხარულიც მწყენია,
საითაც გავიხედავდი, მე შენთვის სულ მიცქერია
და ჩემი წუთისოფელი, რიგიანი თუ ურიგო,
სულ იყო ნატვრა — ლოდინი,
დაუვიწყარო სულიკო!

## ო, პოეზიავ, შენი ენით მალაპარაკე

გორადუბეში ფიცრებით და წარნაქ-წებოთი
ოდეს, პატარამ პაწაწინა ქოხი ავაგე,
მახსოვს თითებით დედამიწას ვეხვეწებოდი:
ო, პოეზიავ, შენი ენით მალაპარაკე.

ამ გატაცებას სიცოცხლეში ვეღარ შევეშვი,
რადგან მესმოდა ეძახოდა მშობელ ალაგებს
ჩემი წარსული გაზიდული დარდანელებში:
ო, პოეზიავ, შენი ენით მალაპარაკე.

თუ ენა იყო დაბორკილი, მიმოკარგული,
სული სიმღერად ინახავდა დედის არაკებს,
რომ მერმისიდან დამეძახა ჩემი ქართულით:
ო, პოეზიავ, შენი ენით მალაპარაკე.

დაპირებული იყო ღმერთი ჯენეთ-სამოთხეს,
დიოდა ჟამი და ანგრევდა წელთა ბანაკებს,
რომ საფლავივით დამუნჯებულ გულს არ აღმოხდეს:
ო, პოეზიავ, შენი ენით მალაპარაკე.

მაგრამ დღე დადგა ჭოროხზედაც, როგორც განგაში
და ისე კარგი, როგორც მტკვარზე, როგორც არაგვზე.
მაწვება მიწით აღმომხდარი ქარი ფრთაგაშლით,
ო, პოეზიავ, შენი ენით მალაპარაკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორჩი მოცეკვავეები

რამდენჯერ ვყოფილვართ მომსწრე იმისა, თუ რაოდენი აღტაცება გამოუწვევიათ სცენაზე საცეკვაოდ გამოსულ თითისხელა ბიჭუნებსა და გოგონებს! ეს მართლაც მშვენიერი სანახაობაა. თავისთავად მომხიბვლელ ქართულ ცეკვას აქ ემატება ბავშვური სიწრფელე და უშუალობა.

მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული ნიჭიერი ბავშვების გამოსვლები იყო. ამ ათიოდე წლის წინ კი ჩამოყალიბდა ნორჩ მოცეკვავეთა ანსამბლი; მასში გაერთიანდნენ თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები. ანსამბლის შედგენა თავს იდვა ქორეოგრაფმა თამაზ გოგოტიშვილმა. კონსულტანტებად მოიწვიეს სსრ კავშირის სახალხო არტისტები, ქართული ცეკვის დიდოსტატები — ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.

სულ მალე ანსამბლმა დაიწყო მეცადინეობა, ისე, რომ სკოლის პროგრამით გათვალისწინებული საგნებისათვის ხელი არ შეეშალა. კარგად აწყობილმა საქმემ და თაოსნობამ მალე მშვენიერი ნაყოფი გამოიღო; ჯერ თბილისელმა მაყურებელმა აღტაცებით მიიღო ანსამბლის კონცერტები, სულ მალე კი ქართველ მოსწავლეთა ცეკვა ნახა მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ტალინის, სვერდლოვსკის მაყურებელმა. ამის შემდეგ ანსამბლი ეწვია პოლონეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, უნგრეთს, რუმინეთს, ბულგარეთს და ყველგან ხალხი აღტაცებით ხვდებოდა პატარების ვირტუოზულ ცეკვებს.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ნორჩი ქართველი მოცეკვავენი საზღვარგარეთ გაემგზავრნენ.

ანსამბლის მიერ მოსკოვში გამართულ კონცერტებს მაღალი შეფასება მისცეს „პრავდამ“ და „ვეჩერნაია მოსკვამ“; ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ნორჩმა მოცეკვავეებმა წარმატებით ჩააბარეს დიდი გამოცდა.

ანსამბლის წარმატებებზე მეტყველებს მრავალი ჯილდო, ოქროს მედლები, რესპუბლიკურ ოლიმპიადათა ლაურეატობის წოდებები, რომლებიც არაერთგზის დაიმსახურეს ნორჩმა მოცეკვავეებმა.

ანსამბლს ხელმძღვანელობენ ქორეოგრაფი თ. გოგოტიშვილი და მისი მოადგილე ავთანდილ ცეცაძე, რომელიც ამავე კოლექტივში აღიზარდა.

ანსამბლში აღზრდილი მოცეკვავე ირინე ფალავა დღეს წარმატებით გამოდის საქართველოს ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი ხელმძღვანელობენ.

სამი ფოტოსურათი ნორჩ მოცეკვავეთა ანსამბლის კონცერტებიდან გამოქვეყნებულია ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის გარეკანის მე-4 გვერდზე.

აკაკი შანიძე

# „ვეფხის ტყაოსნის“ საკითხები

## ხელის ხდა

**ხელის ხდა**, ანუ, სწორი ორთოგრაფიით, კელის კდა, ჩვეულებრივი გამოთქმა იყო „ვეფხის ტყაოსანში“.[1] იგი გვხვდება, აგრეთვე, ვისრამიანშიც და სხვაგანაც. მისი მნიშვნელობაა სარგებლობა, გამოდგომა, გამოყენება. უფრო ჩვეულებრივია მისი ხმარება კითხვით წინადადებაში, როგორიცაა შემდეგი მაგალითები:

ა) არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ?
რა დავრჩე, ხელსა მხდი რასა? (ვეფხ. 884)

ეს ნიშნავს: თუ ცოცხალი არ ვიქნები, რაში გინდივარ? თუ დავრჩები, რა სარგებლობას ჰნახავ ჩემგან?

ბ) არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი
საუნჯესა დაფარულსა? (902)

ეს ნიშნავს: თუ არ იხმარ, რაში გამოგადგება დაფარული საუნჯე?

გ) მეფე ანუ მისნი სპანი,
ნეტარ, ხელსა რასა მხდიან? (348).

ე. ი. მეფე ან მისი ჯარები ნეტა რა სარგებლობას პოულობენ ჩემში?

მოყვანილი მაგალითები „ვეფხის ტყაოსნიდან“ ყველა მოქმედებითი გვარისაა. მაგრამ პოემაში ეს ზმნა ვნებითი გვარის ფორმითაც არის დადასტურებული:

დ) გული მას აქვს, უგულოსა
აქა ხელი რას მეხდების? (739)

ე. ი. ჩემი გული მას, ტარიელს, აქვს და ჩემგან, უგულოდ დარჩენილისაგან, აქ რა ხეირს ნახავენ?

არის მიმღეობის ფორმაც:

ე) ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული,
სიკეთესა ხელის მხდელი (72)

სიკეთესა ხელის მხდელი — ვისაც ხელი ურევია სიკეთეში, ვინც სიკეთეს შვრება, სიკეთის ჩამდენი.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში მიმღეობის ფორმას, აქამდე მხოლოდ კითხვის ფორმები იყო მოყვანილი პოემიდან. მაგრამ შიგ ესეც გვხვდება:

ვ) ხელი ჰხადეს ხრმალთა მათთა,
არა ცუდად წელთა ებნეს (1535),

სადაც უკვე კითხვა არ არის.

ხელი ჰხადეს ხრმალთა მათთა — ეს ნიშნავს: ხელი მიჰყვეს მათ ხმლებს, გამოიყენეს მათი ხმლები.

ამ სტროფის მიბაძვით არის გამოწვეული უთუოდ შემდეგი ჩანართი სტროფი:

ზ) ხმალსა ხელსა ვეღარას ვხდი,
ცუდად შიგან რას მიგია! (795).

„ვისრამიანიდან“ შემდეგი ადგილი შეგვიძლია ვუჩვენოთ, სადაც ნახმარია აღნიშნული იდიომატური გამოთქმა: „რათგან ესე ერთიცა არა მაქუს, რასაცა-რას ხელსა ვხდი, ანუ თვით სიცოცხლესა ტირილიმცა რად მეპირვებოდა!“

ხელის ხდამ, როგორც ჩანს, კარგა ხანს გასტანა ლიტერატურაში. მისი ხმარება შეგვიძლია დავადასტუროთ „შვიდ მთიებში“:

კვლაცა უბრძანა ვაზირსა:
მე დღენი დამსრულებია,
უძეოდ სოფელს რას ხელს ვჰხდი?
სიკვდილი მომსურვებია (შვ. მთ. 25)

მისი გამოძახილი „არჩილიანშიც“ არის დადასტურებული:

თუ შეგვაბამთ, შეგვაბითო,
რა ხელსა გვხდით აქა მდგომთა?
დროა დავსდგეთ ერთ რჩევაზედ,
თორემ წავალთ ჩვენ სადგომთა.

ამას ამბობენ თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრანბატონები და იესე ქსნის ერისთავი.

იმავე „ვეფხის ტყაოსნის“ დანართ ტექსტში ნახმარია ეგევე ზმნა ძველი ფორმით, მაგრამ **და** ზმნისწინით:

გამოისვენეს მაშვრალთა
აბჯრისა ტანსა ახდითა,
პურობა-სმა-სიმღერითა,
სოფლისა ხელსა დახდითა.

„ხელსა დახდითა“ ხელოვნური ფორმაა, რომელიც ავტორმა უთუოდ „ახდითა“ სიტყვის სარითმო ფორმად გააკეთა და გამოიყენა.

მაგრამ არჩილიანში საზოგადოდ სხვა ზმნაა, რომელმაც შეცვალა **ხელის ხდა** და საბოლოოდ გააძევა იგი ხმარებიდან. ეს ზმნაა **ხელის ყრა**, რომელიც მხოლოდ ზმნური ნაწილით არის განსხვავებული **ხელის ხდისაგან**. **ხელი** (კელი) იქაც არის და აქაც. **ყრა** კი სხვა ზმნაა, ორივე თანხმოვნით განსხვავებული ხდისაგან (კდისაგან). ეს შეცვლა ერთი იდიომისა მეორეთი ადრე და საკმაოდ ადვილად მომხდარა. რა იყო ამისი მიზეზი (ფონეტიკური, დიალექტიკური, თუ სხვა), ეს ამჟამად არ ჩანს.

საყურადღებო ის არის, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ ხელნაწერებშიც გაპარულა **ხელის ყრა ხელის ხდის ნაცვლად**. მაგ., ზემოთ რომ დავიმოწმეთ 739 სტროფი („გული მას აქვს“). ერთ მიმბაძველს ასე გაუკეთებია მისი მეორე ნახევარი: „...აქა ხელი რას მეყრების!“ ($R_1$)

ამას შეიძლება დავსძინოთ კიდევ, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ 464 სტროფის ბოლო ტაეპის მეორე ნახევრის სარითმო სიტყვა **ვყავ-რე** (მოვირჩევენ და მოვივლინე, რაცა მწადდა, აგრე ვყავ-რე), სამ ხელნაწერში გადაკეთებულია და ასეა წარმოდგენილი:

ამ სოფელსა ხელი ვჰყარე G
საქმეს ხელი კარგად ვჰყარე T
საქმეს ხელი კარგა ვჰყავ-რე J

„ვისრამიანში“ ისე როგორც „ვეფხის ტყაოსანში“ „ხელის ხდა“ არის მოსალოდნელი და კიდევაც გვხვდება ვისის მერვე წიგნში რამინთან: „თუალნი თუით შენისა ნახვისათუის მინდან, ენა — შენისა მოუბრობისათუის და ყურნი — შენთა სიტყუათა სმენისათუის: რადგან ესე ერთიცა არა მაქუს, რასაცა რას **ხელსა ვჰხდი** ანუ თვით სიცოცხლესა, ტირილიმცა რად მეპირვებოდა?“

მაგრამ გადამწერთა წყალობით „ხელის ყრაც“ შეპარულა შიგ: მოაბადის წინადადებაზე, რომ ვისი ცოლად გაჰყოლოდა მას, ვისმა უარი სტკიცა და, სხვათა შორის, ეს შეუთვალა: „მე ტანისამოსი, თვალი, მარგალიტი ქალაქი და ქუეყანა დია მაქვს. ღმერთსა ჩემთუის უამრავი უბოძებია, ყუელასთანა შენი არა მინდა და თუით ვირე მამისა ჩემისა ყარანისა სიკუდილი მომაგონდების, მე თუალსა მარგალიტსა და სამკაულსა ვეღარას **ხელსა ვჰყრი** და არცა რად მოვიხმარებ“.

გამოცემაში ამას ვარიანტი არა აქვს ნაჩვენები. სამაგიეროდ ჩვეულებრივია და ბუნებრივი **ხელის ყრა** „არჩილიანში“ და შემდგომი ხანის ლიტერატურაში, უფრო ადრეც:

ვერ მოიხმარა კაცობა,
შეექმნა ფერ-შეცვლილობა,
გულს უნდის, **ხელი ვერ ჰყარის**,
როგორ არ მართებს წილობა.

(ალ. გვახარია, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები. 1 (1958), 127).

ვირ დრო მქონდა, სიხარულსა
ხელი ვჰყარე, მწვერვალს ავედ
(არჩ. II, 356, 2).

რაზომნიცა დღენი გვესხნენ,
საწუთროსა ხელი ვჰყაროთ (არჩ. II 228).

ვახტანგ VI ერთ თავის ლექსში ამას ამბობს:

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა
მოივარგოს.
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბევრი
დაიბარგოს.

იგივე ვახტანგი ასე განმარტავს „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის ერთ სტროფს: „ასე გასინჯეთ, თუ ქალის მიჯნურობაზედ ეთქვას: ხანიერად ვერ იმიჯნურონ, ქალი დაბერდება და კაცი, მერმე ბერის კაცისა და დედაბრის შეყრას რა ხელი ეყრება“!

არქაიზმად მეჩვენება მე ნ. ბარათაშვილის თხზულებაში სოლომონ მსაჯულის ცოლის სიტყვები:

რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?

ე. ი. რა სარგებლობა აქვს პატივს ნაზი ბულბულისათვის, რომელიც გალიაშია დატყვევებულიო.

ახალ სალიტერატურო ქართულში **ხელის ხდა** აღარ იხმარება. გადავარდა მისი შემცვლელი **ხელის ყრის** პირიანი ფორმებიც, იხმარება მარტო მიმღეობა „ხელსაყრელი“, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია. აღსანიშნავია, რომ, რაკი „ხელსაყრელი“ ითქმის, მის გვერდით უნდა იყოს უარყოფითი „ხელ-უყრელიც“, რომელიც გვხვდება ვაჟას ნაწარმოებში და ერთ ხალხურ ლექსში. ფშაველს სოსო ბაიაშვილს ასე გაულექსებია თავისი თავი:

მართამა თქო: დაიმეხოს!
სიკვდილი სჯობს უქნელისა
მაგის საქმე არაყია,
შრომაში **ხელ-უყრელისა**.
ზომა როგორ ვერ გაიგო
მაგ გასახეთქ მუცელისა[1].

ამგვარად, **ხელის ხდა ხელის ყრამ** შეცვალა, მაგრამ მისი ხმარებაც გადავარდა და დარჩა მხოლოდ მიმღეობის ფორმა **ხელ-საყრელი**, ფშავში **ხელ-უყრელიც**.

---

[1] ამ წერილში ეს იდიომატური გამოთქმა დღევანდელი ორთოგრაფიით არის ნახმარი.

[1] აპოლონ ცანავას სადოქტორო დისერტაციიდან.





# პაპა გიორგი

ვანო კორინთელი

მოთხრობა

## I

მოხუცი პაპა თითქმის ას წელს იყო მიღწეული, მაგრამ ჯერ კიდევ იმ მთებივით ამართული იდგა, რომელთა შორისაც ცხოვრობდა. თავი თეთრი თმითა და წვერულვაშით ჰქონდა დათოვლილი, სახე მთის ფერდობებივით დაღარული და კლდესავით გარუჯული. მარცხენა წარბს ზემოთ, მაღალ შუბლზე ნაჭრილობევი გოროზი ადამიანის იერს აძლევდა, მაგრამ შეხედავდით თუ არა თვალებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყვნენ და თითქმის ახალგაზრდული შუქით უბრწყინავდნენ, დარწმუნდებოდით, რომ თქვენს წინ კეთილი კაცი იდგა.

იმ საღამოს პაპა გიორგი, მარნის კედელთან, ჩრდილში, წიფლის მორზე იჯდა, ორივე ხელით შინდის ჯოხს დაყრდნობოდა და ფიქრს მისცემოდა.

— საღამო მშვიდობისა, პაპავ, რას ჩაფიქრებულხარ?

მოხუცმა თავი ასწია და მოსულს რომ შეხედა, სახეზე ნათელი მოეფინა.

— თედო, შენა ხარ ბიჭო? — მშვიდი, გაუბზარავი ხმა ჰქონდა. მერე შეინძრა და განზე გაიწია, მოსულს ადგილი დაუთმო.

შვილიშვილებში პაპას ყველაზე ძალიან თედო უყვარდა. იქნებ იმიტომ, რომ მასავით განიერი მხარბეჭი ჰქონდა, ძვალმსხვილი იყო და მუხასავით მაგარი. ქერა თმაზე ნაბდის ქუდი ეხურა და საფეთქლებთან ორიოდე ჭაღარა ერია.

უხაროდა პაპას მისი დანახვა, მე მგავსო — ამაყად იტყოდა ხოლმე და თან დაუმატებდა — ღმერთო შეგცოდე და, მე კი ვჭობდი. ან როგორ არ ვემჯობინებოდი, როცა სუფთა ღვინოსა ვსვამდი. მაშინ შაქარი რა იყო, ისიც არ იცოდა ხალხმა, და აბა შაქრისაგან ღვინოს ვინ გააკეთებდა!

მოხუცი ახლაც სიხარულით შესცქეროდა შვილიშვილს, მერე ცალი ხელი ჯოხს მოაცილა, თედოს მხარზე დაადო და უთხრა:

— რას ჩაფიქრებულხარო, მეკითხები. ვიხსენებდი რა მაქვს-მეთქი ჩემს ცხოვრებაში ჩადენილი ისეთი, რის გახსენებასაც შეუძლია სიკვდილის წინ დამტანჯოს?! აი, შვილო, სიკვდილის წინ რომ ეწვალებიან ხოლმე, სწორედ ის ცოდვაა მიზეზი, კაცს თავის სიცოცხლეში რომ ჩაუდენია.

— მერე გაიხსენე რამე? — ჩაეკითხა შვილიშვილმა.

— რაც გავიხსენე, მთელი სიცოცხლე რომ თავიდან დამაწყებინა, ისევ ჩავიდენდი.

— ჰოდა, მაშ სიკვდილზე ნუ იფიქრებ, პაპავ. ის თვითონ ფიქრობს ჩვენზე და როცა დრო იქნება, დაუკითხავად მოვა.

— არა, შვილო, ჩემთან დაუკითხავად ვერ მოვა. მე და ის წინასწარ გავუგებთ ერთიმეორეს განაზრახს.

— შენ ესა თქვი, როგორა გრძნობ თავსა?

— აბა, რა გითხრა, არაფერი მტკივა, მაგრამ კარგად მაინც არა ვარ. ამ ბოლოს დროს სულ მიცვალებულებსა ვხედავ სიზმარში. მერედა ე კოკრიას დრეცელა ბიჭი, წელან მამას ეჩხუბებოდა და არ მესიამოვნა რომ გავიგონე. ეს ოხერი, სმენაც რო არ დამაკლდა, სულ უბრალო ჩამიჩუმიც კი მეყურება.

— რაო, რას ეჩხუბებოდა?

— სიკვდილი აღარ გეღირსაო, შეიძლება მშობელს ეს გააგონო? ახლა ისეთი გაჭირვებული ვინ არის, რომ მოხუცს ლუკმა დააყვედროს. ეგეც რომ არა, ნეტა რა უნდა გაუკეთოს ორივე თვალებით ბრმა კაცმა?

— ავდგები ახლა, მივალ, დავავლებ ხელს იმ ძაღლის ლეკვსა და ისე შემოვაწყვეტ კედელს, რომ სული აღარ შერჩეს.

მოხუცმა შვილიშვილს მხარზე ხელი დააჭირა:

— იჯექი, შვილო! აბა იმ წუნკალზე ხელი როგორ უნდა გაისვარო! ისე კი, როცა შეგხვდება, უთხარი: შვილები შენც გეზრდებიან და როგორც შენ ექცევი მამაშენს, ისე შენ მოგექცევიან-თქო.

— ვეტყვი პაპაჩემო, ისე ვეტყვი, რომ თავის დღეში არ დაავიწყდეს. ახლა ადექი, წავიდეთ, ვივახშმოთ.

— არა, შვილო, არა ვარ ვახშმის გუნებაზე, ცოტაც მომისმინე, სათქმელი მაქვს რაღაც...

— ბრძანე, პაპაჩემო!

— საღამოობით საქონელი ხომ გიძოვებია, შვილო?

— აბა გლეხიკაცი გაგონილა უმაგისოდა? — კითხვითვე უპასუხა თედომ.

— მაშინ ისიც გეცოდინება, საქონელი დილით უფრო მადიანად და ჩქარა სძოვს, თუ საღამოთი?

— საღამოთი.

— რათა მერე?

— იმიტომ რომ, მართალია, პირუტყვი კია, მაგრამ გუმანით იცის, რომ რაკი ღამდება, ბოსელში ჩაამწყვდევენ და იქ ველარაფერს მოსძოვს.

— ჰოდა, შვილო, თუ საქონელი გრძნობს ღამდებაო, ადამიანი მით უფრო... ამიტომაც არის, რომ სიბერეში ლაპარაკს უმატებს. ეშინიან სათქმელი არა დამრჩეს-რაო. იცის და გრძნობს, რომ მალე დაუბნელდება წუთისოფელი. ჰოდა, ბიჭო, ცოტაც უნდა შეგაწყინო თავი.

— ბრძანე, პაპაჩემო! შენი სიტყვა ოჯახში დაბლა როდი დაგვიშვია... ჩვენთვის კანონი იყო და კანონადვე დარჩება. აბა, სცადოს ვინმემ და ურჩობა გაგიბედოს.

მოხუცს სახე გაებადრა, ესიამოვნა შვილიშვილის პასუხი და განაგრძო:

— მოვიდა ჩემი დროცა, შვილო! მართალია, სიცოცხლით ადამიანი ვერასოდეს გაძღება, მაგრამ გარდუვალს არაფერი ეშველება...

— პაპავ, — შეეცადა თედო შეეწყვეტინებინა უსიამოვნო ლაპარაკი, მაგრამ მოხუცის თვალებს რომ წააწყდა, გაჩუმდა, უცნაურად იცქირებოდა მოხუცი, პაპა ასეთი ჯერ არ ენახა თედოს.

— დაიხსომე... ჩემი ნენეს გვერდით დამმარხეთ, უბრალო ქვა დამადეთ, როგორიც მას ადევს... დასამარხი ფული, ჩემთან კამოდის დაბლა უჯრა გამოაღე, იქ ნახავ, თავშალშია გახვეული. გაყავი შუაზე, ნახევარი სოფოს მიეცი, ნახევარი — ქელეხზე დახარჯე. რამდენი კაციც არ უნდა მოვიდეს, ის ნახევარი გეყოფათ. სახლკარი ყველას ისეთი გაქვთ, მტერს რომ შეშურდება. ამიტომ ჩემი ძველი სახლიც სოფოს მიეცით, შენს დას. სამი შვილი ჰყავს და შენახვა უნდათ. ასე, მგონი, ყველაფერი გითხარი, რაც მინდოდა...

— ყველაფერს ისე გავაკეთებ, პაპავ, როგორც შენი სურვილია. სოფოს და იმის შვილებს არაფერს დავაკლებთ. იმათი დარდი ნუ გექნება...

— ახლა წავალ და წამოვწვები, შვილო. შენ წადი და ივახშმე, თორემ თავი მოგაწყინე, — ჯოხს ორივე ხელებით დაეყრდნო, დინჯად წამოდგა და ნელი, მძიმე, მაგრამ გამართული ნაბიჯით გასწია

სახლისაკენ. ახოვანი მოხუცი იყო, წელშიაც კი არ იყო მოხრილი, და არც ჩამომხმარი, როგორც ეს ღრმად მოხუცებს ემართებათ.

## II

მოხუცს ქვრივი სოფო უვლიდა, მისივე შვილიშვილი. იმ ხანებში ის თბილისში იყო შვილთან წასული და მოხუცი მარტო იყო. ძველი ერთსართულიანი სახლი, ადრე ალბათ ეს ერთი დიდი დარბაზი იყო, ახლა სამად გაეყოთ და ყველაზე დიდი ოთახი, სადაც გარედან პირველად უნდა შესულიყავი, პაპას ეჭირა. მოხუცი შინ რომ შევიდა, სინათლე ჩართო. ძველებური ქულაჯა მხრიდან მოიხსნა და კართან დადგმულ საკიდზე ჩამოჰკიდა. მერე ოთახის კარი შიგნიდან ჩაკეტა, კამოდთან მივიდა, იქიდან სუფთა საცვლები, ჭრელი თუშური წინდები და ახალი ტანისამოსი ამოიღო, ჩამოჯდა ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე, ნახმარი ტანისამოსი და საცვლები გაიხადა, ტახტქვეშ შეყარა და უხმარი ჩაიცვა. ისე გამოეწყო, თითქოს სადღაც წვეულებაში ყოფილიყოს დაპატიჟებული. როცა ყველაფერი მოითავა, კარის საკეტი კვლავ გახსნა, დიდ სარკიან კარადასთან მივიდა და ცოტა ხანს უცქირა თავის სახეს, მერე გამოელაპარაკა კიდეც:

— არა გიშავს რა, გიორგი, არ იქნები ცუდი მიცვალებული!

ტახტზე მუთაქა გაასწორა, ხის საწოლიდან, რომელზედაც თვითონ ეძინა ხოლმე, ერთი ბალიში აიღო, მუთაქას ზევიდან დაადო, მერე დინჯად წამოწვა და რამდენიმეჯერ ისე ამოისუნთქა, როგორც ეს მძიმე შრომისაგან დაღლილმა ადამიანმა იცის. გულზე ხელები დაიკრიფა, სინათლე კი არ ჩაუქრია.

იმ ტახტის პირდაპირ, რომელზედაც პაპა იწვა, კედელთან ტელევიზორი იდგა, იმის ზემოთ, კედელზე გადიდებული ფოტოსურათი ეკიდა, მასზე ლეჩაქით თავდახურული შუახნის ქალი და თვითონ გიორგი იყვნენ გადაღებული. კარგა ხანს უყურა იმ სურათს, მერე თვალები დახუჭა და ფიქრებში წავიდა.

... სოფლის ხატობა იყო, ახალგაზრდა გიორგი, ჭრელი წინდებით, საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი, უამრავ ხალხით გარშემორტყმული იდგა წრეში და მეტოქეს ელოდებოდა. აი, ისიც შემოვიდა წრეში, გიორგიმ ყურადღებით დაათვალიერა საცხენისელი (ბიჭი იმ სოფლიდან იყო და ამ მეტსახელით იმიტომ იხსენიებდნენ); საშუალოზე მაღალი ტანისა იყო, დიდთავა და წითელთმიანი, დიდრონი ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, ფართო სახე და თითქმის დაკუთხული ნიკაპი. განიერივე მკერდი წითელი ბალნითა ჰქონდა შემოსილი. ბოძებივით მსხვილი ფეხებით გაბოტილი იდგა გიორგის წინ, ცივად და ბოროტად გამოსცქეროდა.

„მაგარი სჩანხარ, საცხენისელო, მაგრამ მაინც ვერ გადამირჩები, ვერა, ძმობილო!“ — ფიქრობდა გიორგი და ზურნა-დოლის ხმას ელოდებოდა. აი, დოლიც ააბრაგუნეს, მეტოქენი ერთმანეთს დინჯად დაუახლოვდნენ. გიორგიმ მეტოქეს წესისამებრ ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, მაგრამ საცხენისელმა ხელის ჩამორთმევის ნაცვლად ორივე ხელი გამოწვდილ მარჯვენაში ჩასტაცა და შეეცადა ზურგზე მოეგდო, მაგრამ გიორგის მორევა ასე ადვილი არ იყო. ამასთან, ცაცია იყო, მარცხენა ხელით მოასწრო კისერში სწვდომოდა და ისე დაიქნია მიწისკენ, საცხენისელი პირქვე დაემხო. რატომღაც წამოდგომას არა ჩქარობდა. გიორგი შემობრუნდა, რომ მეტოქისათვის გონს მოსვლისა და წამოდგომის საშუალება მიეცა, მოპირისპირეც ამას ელოდა, უცბად წამოხტა და ავაზასავით ზურგზე დაახტა. ხალხმა იღრიალა, ვიღაც ქალმა შეჰკივლა. ათას ხმაში გამოარჩია გიორგიმ იმ ქალის ხმა.

— ამბობდნენ და მართლა ვერაგი ყოფილხარ, საცხენისელო, მაგრამ ჩემთან არ გაგივა ეგენი! — წამოიძახა გიორგიმ და მაშინვე ცალმუხლზე დაეცა, თან მთელი ტანით წინ ისე მკვეთრად წაიხარა, რომ მეტოქემ რამდენიმე მეტრზე ზღართანი მოადინა. ახლა კი ადვილად ველარ ადგა საცხენისელი, გიორგი მივიდა, პირქვე დაგდებულ მეტოქეს ორივე ხელებით მხრებში დასწვდა და ზეზე აყენება მოუნდომა.

— წადი შენი... — საცხენისელმა ხელი ჰკრა და მოიშორა.

გიორგიმ აღარა იკადრა პასუხი გაეცა, ცივად გამობრუნდა, თაყვანისმცემლები შემოესივნენ, ულოცავდნენ და ყველა თავისაკენ ეპატიჟებოდა.

გიორგიმ გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა და ყველას უარი უთხრა. ტანისამოსი ჩაიცვა და შეუმჩნევლად იქაურობას გასცილდა.

სოფლის ბოლოს, ვიწრო ორღობეში გაჩერდა გიორგი. იცოდა, ნენეს აქეთ უნდა ამოევლო. ქალი მეზობელი სოფლიდან იყო. აგერ გამოჩნდა კიდეც, მარტო არ მოდიოდა, გვერდით ტოლი გოგოები მოსდევდნენ. გიორგი ბუჩქებს ამოეფარა. გოგოები ერთმანეთს მხიარულად რაღაცას ელაპარაკებოდნენ და ხმამაღლა კისკისებდნენ. გზის გასაყართან შეჩერდნენ და ნენეს ერთმა გადაულაპარაკა:

— სად გაიპარა შენი ბიჭი ჭიდაობის მერე, ველარსად მოვკარი თვალი.

— რა იცი, რომ ჩემია, იქნება შენია? — უპასუხა ნენემ.

— ბარემ არ იქნებოდა ცუდი, ჩემი ყოფილიყო, მაგრამ შენ არ შეგეცილები, გულითადი მეგობარი ხარ.

— იცოცხლე რომ შევეცილებოდით, მაგრამ ნენესავით ლამაზები რომ არა ვართ, — ჩაიცინა მეორემ.

— აი მეხი კი დაგეცეთ შენცა და ნენესაცა, ვითომ რითი ვარ მასზე ნაკლები, — გაეძრახა ისევ პირველი, — შავგვრემანი ვარ და ეშხიანი.

— აი შენა განხე გაციებული, — გოგოებმა გულიანად გადაიხარხარეს.

— მაინც სად დაგვეკარგა ის ბიჭი?

— გაწყვიტე ხმა, გოგო, შე მიწადასაყრელო, ყურს არავინ გვიგდებდეს, — შეუტია ნენემ.

— ჰო, სწორედ, ენდე, ბუჩქებში ზის გიორგი და გელოდება.

გიორგის ტანში გასცრა. შავგვრემანი კი კვლავ განაგრძობს:

— იმასა შენი დარდი სულაც არა აქვს... ვერა ნახე, ბიჭები შემოეხვივნენ. ახლა სადმე არხეინათა სხედან და ღვინოს შეექცევიან.

— მე უნდა წავიდე, თორემა შენ ისე ხარ მომართული, აქ დამალამებინებ, — უთხრა ნენემ და თავის ორღობეში შეუხვია, გოგოებმა კი მხიარული სიცილით გააგრძელეს გზა.

გიორგი ბუჩქებს გამოსცილდა, შემკრთალი იყო, საკუთარი გულისცემა ესმოდა. ნენეს გულგრილმა გამოხედვამ ხომ სულ დააბნია, ქალმა წინაღამ ზურგი შეაქცია და გაექცა. იმოდენა ვაჟკაცი საცოდავად შეჰყურებდა მის წინ მდგარ გოგოს და არ იცოდა რა ექნა. ნენეს მშობლები შეძლებულები იყვნენ და გოგოს კარგად ეცვა. უხდებოდა ლერწამივით ტანზე მუქი წითელი ხავერდის ქათიბი, ბაცი ლურჯი ფარჩის მთლიანი კაბა, ყვითელი აბრეშუმის სარტყელი. კუპრივით შავი თმა ჰქონდა და ორი მკლავის სიმსხო ნაწნავი, ერთი წინ, მშვენიერ მკერდზე ჰქონდა გადმოგდებული და მუხლებამდისა სწვდებოდა. შავი წარბები, ხშირი წამწამები და ოდნავ მოგრძო ცუცუნა თვალები ჰქონდა.

— არა გრცხვენიან, ამოდენა ვაჟკაცი ბუჩქს ამოფარებულხარ და გოგოების ჭორაობას უგდებ ყურსა?

— მე... ე... მე რა ვიცოდი, — მეტი ვერაფრის თქმა მოახერხა ბიჭმა. ნენემ ისევ შეუტია:

— არ იცოდი? რას გადამიღექი ე გზაზე? გამატარე თორემა!

გიორგიმ ძლივს ამოიდგა ენა:

— მინდა რამე გითხრა, გოგო!

— ვისაც რამის თქმა უნდა, განა შენსავით უსაფრდებიან და გოგოების ლაპარაკს უგდებენ ყურსა?

— მე რა ვიცოდი, თუ თქვენ გაჩერდებოდით და ჭორაობას დაიწყებდით?

ნენემ ხმამაღლა გაიცინა.

— ყველაფერი გაიგონე, რაცა ვთქვით!

— გავიგონე, აბა ყრუ ხომ არა ვარ!

— ისიც ხომ კარგა გაიგონე, რამდენი იწვება და იდაგება შენთვის.

— გავიგონე, მაშა! ჰო და, ცოტა ჭკვიანად იყავი თორემა...

— აგერ, ჯერ კიდევ შორს არ იქნებიან წასულები, გამოუდექი და აარჩიე რომელიც გინდა, ვინ გიშლის?

— შენ მიშლი.

— მე რას გიშლი ბიჭო! ხომ არ გადარეულხარ?

— გადარეული ვარ, აბა მაშ რა ვარ?

— რათა მერე?

გიორგი თანდათან გათამამდა.

— ერთი ეს მითხარი, რა გაკივლებდა. საცხენისელი რო დამახტა ზურგზე?

— მიწა დავაყარე იმასა! მეგონა დაგახრჩობდა, — გამოტყდა ნენე.

— მაშ გიყვარვარ, ჰა? — და გიორგიმ ქალს მკლავში ხელი ჩასტაცა.

— გამიშვი, ახლავე ხელი გამიშვი!

გიორგიმ ხელი გაუშვა და მოიბოდიშა:

— სიხარულისაგან ლამის გადავირიო, რას ვაკეთებ თვითონ არ ვიცი. ჰო, მართლა, დედაჩემი და მამაჩემი მოვლენ თქვენთან, ნიშანს მოიტანენ... რას იტყვი ამაზე?

— რა უნდა ვთქვა...

— მაშ მაძლევ პირობასა?

— ჰო. ღმერთო ჩემო! მეტი რა ვქნა?

— რა უნდა ჰქნა და პირობისა უნდა მაკოცო.

— არ მინდა, მაგრამ რაკი არ მეშვები, რა ვქნა აბა?

გიორგის მოჰხვია ხელები და გულზე მიეხუტა.

## III

... თედოს მოუსვენრად ეძინა, ლოგინში ტრიალებდა.

— რა ძილის საფრთხობელა შეგეყარა, რომ მთელი ღამე არ მოგასვენა, — გაუწყრა ცოლი.

— პაპაჩემი საღამოს რაღაც უგუნებოდ იყო და ვერ მოვისვენე.

— რათ დაანებე მერე თავი, დაწვებოდი იქა და მიხედავდი.

— რა ვიცი, აბა, ვერ შევბედე... არ იცი იმის ხასიათი? უნდა გავხედო თორემ, სულ ერთია ვერ დავიძინებ, — თედომ ტანთ ჩაიცვა და სახლიდან გავიდა.

პაპა გიორგის ოთახში სინათლე ენთო.

— ალბათ მართლა ცუდად არის, — გაიფიქრა თედომ. სახლთან მივიდა და კარი ფრთხილად დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა. უფრო მაგრად დააბრახუნა და რაკი კვლავ არავინ გასცა ხმა, კარებს მიაწვა. ადვილად გაიღო. პაპა გიორგი ტახტზე გულზე ხელებდაკრეფილი, თვალებდახუჭული იწვა, იღიმებოდა, სახეზე სინათლე ეფინა.

— იცის რომ მე შემოვედი და მეხუმრება, — გაიფიქრა შვილიშვილმა, მივიდა და ხელზე ფრთხილად ხელით შეეხო, შეეხო და ტანში გააჟრჟოლა.

პაპა გიორგი აღარ იყო.

# გუშინ და დღეს

## რთველი და კომბაინი

უკვე დიდი ხანია მექანიზაცია ფართოდ შეიჭრა მევენახეობაში და დიდად შეამსუბუქა ადამიანის შრომა. გარდა მწვანე ოპერაციებისა, ახლა ვენახში თითქმის ყველაფერს მანქანა აკეთებს. ერთ-ერთი დამქანცველი საქმე ვენახში — ეს ყურძნის კრეფაა. არსებობს გაერთიანება „აგრომანქანები“, რომელშიც შედიან როგორც საბჭოთა, ისე ბულგარელი და უნგრელი სპეციალისტები. მათ შექმნეს ორიგინალური კომბაინი, რომელიც თვითონ დაკრეფს ვენახს. მანქანაში გამოყენებულია პნევმატიკური მოწყობილობა. ასეთი მანქანების პირველი სერია უკვე დამზადებულ იქნა მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში. მალე მას ჩვენს ვენახებშიც დავინახავთ.

## თვითმფრინავი და ფრინველები

ხდება ხოლმე, რომ თვითმფრინავები ჰაერში შეეჯახებიან ფრინველებს, ეს კი ფრიად საშიში რამ არის. მეცნიერები უკვე კარგა ხანია ფიქრობენ, თუ რა ზომები შეიძლება იქნას მიღებული უბედურების თავიდან ასაცდენად. ვილნიუსში მუშაობს მთელი ჯგუფი სწავლულებისა, რომლებიც რადიოლოკატორების დახმარებით აზუსტებენ ფრთოსანთა თბილ ქვეყნებში გადაფრენის გზებს და თუ ეს გზა საჰაერო ტრასას ემთხვევა, ითვალისწინებენ, თუ როგორ დააფრთხონ და ჩამოიცილონ გზიდან ფრინველები. ლიტველმა ორნითოლოგებმა წამოაყენეს წინადადება მძლავრი რეპროდუქტორების საშუალებით თვითმფრინავიდან ეთერში გადაიცემოდეს მაგნიტოფონზე ჩაწერილი ხმები ქორისა და სხვა მტაცებელი ფრინველებისა, რომელიც დააფრთხობს გადამფრენ ფრინველებს.

## ვაზი იპყრობს ახალ მიწებს

ბალტიისპირეთში ვაზი არ ხარობს, იქ მას სითბო არ ჰყოფნის. იქაური სელექციონერები მაინც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა გამოიყვანონ ისეთი ჯიშები, რომლებიც შეეგუებიან ადგილობრივ პირობებს. კერძოდ ამ საქმეზე დიდი ხანია მუშაობს ლატვიელი აგრონომი პ. სუკატნიეკი. მან გამოიყვანა ასამდე ჰიბრიდი და ათამდე ჯიში, რომლებიც გამოტანილ იქნენ სასელექციო მიღწევათა გამოფენაზე. ეს გამოფენა მოაწყო რიგის საბუნებისმეტყველო მუზეუმმა. ახლად გამოყვანილმა ჯიშებმა სპეციალისტთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვიეს.

## ბაღი ერთ ხეზე

უკრაინაში, პოლტავის ოლქში ცხოვრობს კოლმეურნეობის ბრიგადირი მ. ონიშჩენკო, რომელიც მთელი სიცოცხლე ხეხილის ბაღებს აშენებს. თანასოფლელები ხშირად მიდიან მის ეზოში, რათა ინახულონ საოცარი მსხლის ხე, რომელიც 38 ჯიშის ნაყოფს იძლევა, მათ შორის არის მსხალი „ლიმონისებური“, „ბერე“, „ბერგამოტი“, მსხლისა და ვაშლის ჰიბრიდი და სხვ. ყველა ეს ჯიშები ონიშჩენკომ დაამყნო ერთი პანტის ხის ტოტებზე და ასე შექმნა მსხლის ბაღი ერთ ძირ ხეზე.

## 150 მეტრის სიღრმეზე

ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს პროექტი უზარმაზარი მიწისქვეშა ხილის საწყობისა, სადაც ნაყოფი ისე შეინახება, თითქოს ახალი მოკრეფილი იყოს. აგებენ მას ქალაქ გორის მახლობლად, იგი დაიტევს ერთდროულად 1800 ტონა ხილს. ნაყოფს, რომელიც კარგად იქნება შეფუთული, ჩაიტანენ მიწაში 150 მეტრის სიღრმეზე და იქ შეინახავენ ჰერმეტულად დახურულ საკნებში, სადაც ტემპერატურა მუდამ ნული გრადუსი იქნება.

# თბილისის ქუჩების ისტორიიდან

ქალაქის ისტორიის შესწავლისას მუდამ საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როდის და რატომ დაერქვა სახელი ამა თუ იმ ქუჩას; საინტერესოა იმიტომ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ქუჩის მონათვლა დაკავშირებულია ხალხისა და მისი კულტურის ისტორიის საინტერესო ეპიზოდებთან.

დიდი პოეტი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა მარი ბროსეს (1802-1880) მუშაობას საქართველოს ისტორიის შესწავლის სფეროში. ჩვენს ქალაქში ბროსეს ხსოვნის უკვდავსაყოფად ილია ჭავჭავაძემ 1902 წლის მარტში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით თბილისის ქალაქის გამგეობას შემდეგი შინაარსის მიმართვა გაუგზავნა:

„ქალაქის გამგეობისათვის ცნობილია ის ფასდაუდებელი ამაგი, რაც კავკასიის მცოდნეობას დასდო განსვენებულმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა მარი ბროსემ თავისი ფართო გამოკვლევებით საბერძნეთისა და განსაკუთრებით საქართველოს ისტორიულ წარსულზე. ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით ცნობილი ისტორიული ქრონიკები და ბატონიშვილი ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია მთლიანად გადათარგმნა ფრანგულ ენაზე და მნიშვნელოვანი კომენტარებიც დაურთო.

მარი ბროსეს დამსახურების გათვალისწინებით და დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად საზოგადოების გამგეობას პატივი აქვს უმორჩილესად სთხოვოს ქალაქის გამგეობას შესაძლებლად ხომ არ მიიჩნევდა იგი ქალაქის ერთ რომელიმე ქუჩას დაარქვას მარი ბროსეს სახელი.

საზოგადოების თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე
1 მარტი, 1902 წ. № 204“.

ი. ჭავჭავაძის მიმართვა გადაეცა სპეციალურ კომისიას ქალაქის გამგეობისათვის დადგენილების პროექტის წარსადგენად.

ქალაქის ქუჩების სახელწოდებათა და სახლების ნუმერაციის კომისიამ თავის 1902 წლის 11 მარტის სხდომაზე განიხილა ეს საკითხი და დადგენილება მიიღო მეთულუხჩეთა ქუჩა გადარქმეულიყო ბროსეს ქუჩად.

გამგეობამ დაამტკიცა ეს დადგენილება.

დადგენილების ასლი გამგეობამ მარი ბროსეს შვილს ლ. ბროსეს გაუგზავნა ბარსელონაში, რომლისაგანაც მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„მე მქონდა ბედნიერება მიმეღო 28 ივლისის № 2027 მომართვა, რომლითაც თქვენ მოისურვეთ გეცნობებინათ ჩემთვის იმის შესახებ, რომ თბილისის საქალაქო სათათბირომ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შუამდგომლობით დაადგინა, ყოფილ მეთულუხჩეთა ქუჩას მიეკუთვნოს აკად. ბროსეს სახელი, და რომ ეს დადგენილება დამტკიცებულ იქნა. მომართვამ ბარსელონაში ვერ მომისწრო, იქიდან სამხრეთ საფრანგეთში ვიყავი წასული, რითაც აიხსნება ჩემს მიერ პასუხის დაგვიანება.

ჩემი განსვენებული მშობლის ხსოვნის მიმართ ასეთი პატივისცემით ფრიად აღელვებული, უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, კეთილი ინებოთ და ჩემის სახელით, აგრეთვე მთელი ჩვენი ოჯახის სახელით, გადასცეთ თბილისის საბჭოს ჩვენი რწმუნება და მოკრძალებული პატივისცემა.

ბავშვობიდანვე იმის მოწმე ვიყავი, რა უსაზღვრო თავდადება წარმართავდა ჩემი პატივცემული მამის მუშაობას ქართველი ხალხის წარსულის ძეგლების შესწავლაში. მან მთელი გულით შეიყვარა საქართველო და ქართველები, რომლებთანაც მთელი ცხოვრების მანძილზე იყო დაკავშირებული თავისი გონებრივი მისწრაფებით და მეცნიერული საქმიანობით. საქართველოსადმი თანაგრძნობა მან მე მიანდერძა, და ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო მოგონებანი დაკავშირებულია პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა-განათლებას დაწაფებულ რჩეულ ქართველ ახალგაზრდებთან, მათთან თანამეგობრობასთან, ქართული ენის, ლიტერატურის, გადმოცემების და თქმულებების შესწავლასთან.

ამის შემდეგ საქართველოს არასოდეს არ დაუკარგავს ჩემთვის აღთქმული ქვეყნის სურნელება, მის შესახებ საკითხებზე მუდამ სიყვარულით ვმუშაობდი, იმ სიყვარულით როგორც მუშაობს ადამიანი, როცა რაიმეს ცოდნის და გაგების დიდი სურვილი და მისწრაფება აქვს, და არ შემიძლია სინანული არ გამოვთქვა იმის გამო, რომ ვერ შევძელი ეს მხარე მენახა, რომელსაც ახალგაზრდობაში ამდენი ზრუნვა, ფიქრი და გონებრივი შრომა მივუძღვენი.

ყოველივე ზემოთქმული იმის საწინდარია, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ თბილისის საბჭოს დადგენილება კიდევ უფრო გაალრმავებს ჩემს თანაგრძნობას კავკასიის, საქართველოს მიმართ და განამტკიცებს ჩემში აზრს ქართველი ხალხის განათლებულ მისწრაფებათა და მაღალ სულიერ თვისებათა შესახებ, რაც ადრევე ვიცოდი.

ვიმედოვნებ, კეთილ ინებებთ და გადასცემთ თბილისის საბჭოს ამ წერილის შინაარსს და დაარწმუნებთ ჩემს ღრმა პატივისცემასა და ერთგულებაში.

რუსეთის იმპერატორის გენერალური კონსული ბარსელონაში, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი — ლ. ბროსე“.

ჩვენს ქალაქში არის აგრეთვე ქუჩა, რომელსაც მიკუთვნებული აქვს გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის ლუი პასტერის (1822-1895) სახელი.

1889 წლის იანვარში თბილისში გაიხსნა პასტერის სადგური, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ცოფის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის ქუჩების სახელწოდებებსაც ჯეროვანი ყურადღება მიექცა და 1923 წელს „თბილისის საბჭოს მოამბეში“ (№ 3) გამოქვეყნდა ცალკეული ქუჩების ახალი სახელწოდებანი. მათ შორის იყო პარიზის კომუნის ქუჩა, საფრანგეთის გამოჩენილი მოღვაწეების — მაქსიმილიან რობესპიერის (1758-1794), მარსელ კაშენის (1869-1958) და ჟან ჟორესის (1859-1914) ქუჩები.

1923 წელს გამოქვეყნებული ქუჩების სახელწოდებებს შემდგომში დაემატა: ცნობილი მოგზაურის ჟან შარდენის (1643-1713) ქუჩა, რომელიც თავის მოგზაურობისას ნამყოფია 1673 წ. ჩვენ დედაქალაქში და გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის (1840-1917) სახელობის ქუჩა, რომელზეც მდებარეობს ჩვენი გამოჩენილი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი.

როგორც ცნობილია, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში იაკობ ნიკოლაძე სწავლობდა როდენთან და მუშაობდა მის სახელოსნოში. დიდმა ქართველმა მოქანდაკემ სპეციალური წიგნიც დაწერა სახელწოდებით: „ერთი წელიწადი როდენთან“.

ქუჩას ეს სახელი ეწოდა ქართველი მოქანდაკის თაოსნობით და წინადადებით.

გიორგი გეჟანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტუჩგაკვრილი კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტურ კონან დოილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

წმინდა გიორგის თეოლოგიური კოლეჯის დირექტორის, აწ გარდაცვლილი ელიას უიტნის ძმა — აიზა უიტნი ოპიუმს ბალღობიდანვე მიეჩვია. ეს მავნე ჩვევა, ჩემი აზრით, იმ სულელური ახირებისა და სიგიჟის წყალობა უნდა ყოფილიყო, რაც ჯერ კიდევ კოლეჯში ყოფნის დროს, ქუინსის[1] წიგნის წაკითხვას მოჰყვა. ამ წიგნში ოპიუმის მწეველის სიზმარეული ჩვენებები და განცდებია აღწერილი. წიგნში მოთხრობილი ეფექტის მისაღწევად აიზა უიტნი თამბაქოში ოპიუმს ურევდა და ისე ეწეოდა. როგორც ბევრ სხვასაც დამართნია, აიზა უიტნიც მიხვდა, რომ ოპიუმს მიჩვევა უფრო ადვილი იყო, ვიდრე თავის მინებება. იგი მრავალი წლის მანძილზე ეძალებოდა სხეულის დამაუძლურებელ, გამომფიტავ საწამლავს, და ნათესავ-მეგობრებს ხან შიშის ზაფრას ჰგვრიდა და ხან თავისივე საცოდაობით გულს უთუთქავდა. ახლაც თვალწინ მიდგას უიტნის გაყვითლებული, ცომივით ბლანტი სახე, ჩამომჭკნარი ქუთუთოები, ღრმად ჩაცვივნული, დაპატარავებული თვალის გუგები, სავარძელში ჩასვენებული უსიცოცხლო, დავარდნილი, ჩვარივით დაგდებული სხეული — ნამუსრევი ერთ დროს ახოვანი და წარმოსადეგი კაცისა.

ივნისის ერთ ღამეს, სწორედ იმ დროს, როცა კაცი მთქნარებას მოჰყვება ხოლმე და საათს შესცქერის, ჩემს ბინაში ზარის ხმა გაისმა. მე სავარძელშივე გავსწორდი ისე, რომ არ წამოვმდგარვარ, ცოლმა კი ხელსაქმე მუხლებზე დაიწყო და შუბლი შეიჭმუხნა.

— ალბათ ავადმყოფია, — თქვა მან, — და ამ შუაღამისას შინიდან გასვლა მოგიწევს.

მე ამოვიოხრე, ვინაიდან ის-ის იყო მომქანცველი სამუშაო მოვათავე და შინ დავბრუნდი.

გავიგონეთ რა დგრიალით გაიღო კარი, რამდენიმე ცქაფად ნათქვამი სიტყვაც შემოგვესმა და მერე კი ჩვენს სმენას ნაბიჯების ხმაურიც მოსწვდა. იმწამსვე ჩვენი ოთახის კარიც ყურთამდე გაიღო და კარის ზღურბლზე, შავ სამოსში გამოწყობილი, შავპირბადეაფარებული მანდილოსანი გამოჩნდა.

— ჩემი ასეთი დაგვიანებული ვიზიტი დიდსულოვნად უნდა მაპატიოთ, — წამოიწყო დაუპატიჟებელმა სტუმარმა, მაგრამ უეცრად თავი ველარ შეიკავა, ტირილი წასკდა, ჩემი ცოლისაკენ გაიქცა, ხელები კისერზე შემოჰხვია, თავი მის მხარს დააყრდნო და აქვითინდა.

— ოჰ, რომ იცოდეთ, რა ტანჯვაში ვარ ჩავარდნილი! — ტირილით თქვა მან, — როგორ მჭირდება შველა!

ჩემმა მეუღლემ შემოსულს პირბადე აუწია და.

— ეს ხომ კეიტ უიტნიაო, წამოიძახა. — ოჰ! როგორ შემაშინე, კეიტ! როცა ჩვენსა ასეთი დაფეთებული და აღელვებული შემოვარდი, აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს შენ იქნებოდი.

— არც ის ვიცი, რას ჩავდივარ და არც ის, რა უნდა ვიღონო. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე შენთან მოსვლა.

— ძალიანაც კარგი ჰქენი, რომ მოხვედი. აბა ერთი წყალგარეული ღვინო გადაჰკარი, კარგად მოიკალათე და ყველაფერი თავიდან ბოლომდე ჩამოაარაკე. იქნებ ის გირჩევნია, ჯეიმსი დასაძინებლად გავგზავნოთ?

— პირიქით, მე ახლა ექიმის რჩევა-დარიგება და დახმარება უფრო მინდა. აიზას ამბავმა ამაფორიაქა. უკვე ორი დღეა შინ ფეხი არ შემოუდგამს. გული საგულეს აღარა მაქვს.

ეს პირველი შემთხვევა როდი იყო, იგი თავისი ქმრის სატანჯველზე რომ მესაუბრებოდა. მე, როგორც ექიმს, რჩევა-დარიგებისათვის ძალიან ხშირად მომმართავდა ხოლმე, ხოლო ჩემს მეუღლეს კი, როგორც სკოლის ამხანაგსა და ძველ მეგობარს, ისე ეთამამებოდა; ჩვენც, ჩვენი მხრივ, რაც შეგვეძლო ტკბილ-ტკბილი სიტყვებით ვამშვიდებდით. ცოტა ვადროვე და მერე ფრთხილად შევაპარე: — თუ იცი, სად იმყოფება ამჟამად შენი ქმარი? იქნებ შესაძლებელი იყო სასწრაფოდ რამე გვეღონა და შინ მოგვეყვანა?

კეიტის სიტყვებიდან გავარკვიეთ, რომ აიზას პოვნა ძნელი ამბავი არ იყო. დანამდვილებით ვიცი, სიტის აღმოსავლეთ ნაწილში რომ ბუნაგია, ჩვეულებრივ იქ დადის და სხეულის ამ დამაუძლურებელ და გამომფიტავ საწამლავს იქ ღებულობსო; დღევანდლამდე მისი ორგიები ერთ დღეზე მეტს არ გაგრძელებულა, დაუძლურებული, დალეწილი და გამოთაყვანებული შინ მუდამ საღამოობით ბრუნდებოდა, ახლა კი, ორ დღე-ღამეზე მეტია, რაც შინ ფეხი არ შემოუდგამსო. ცხადი იყო, აიზა ეპერ სუანდემ ლეინის ქუჩაზე, „ოქროს ზოდში" უნდა გვეძებნა. მაგრამ მარტო თვითონ კეიტს რა უნდა ეღონა? ისეთი ახალგაზრდა და მორცხვი ქალი, როგორიც კეიტი გახლდათ, ქმრის გამოსაყვანად იმ ყოვლად ზნედაცემულ თავზეხელაღებულთა სამყოფელში ხომ ვერ შევიდოდა! თავში უეცრად იმ აზრმა გამიელვა, რომ მისი იქ წაყვანა სულაც არ იყო საჭირო. კეიტს აღვუთქვი, რომ, თუ მისი ქმარი მართლაც „ოქროს ზოდში" აღმოჩნდებოდა, ორ საათში ეტლით შინ გავამგზავრებდი. ასე და ამრიგად, ათ წუთში ჩემი მყუდრო სასტუმრო ოთახიდან გამოსულს ეტლი „ოქროს ზოდისაკენ" მიმაქროლებდა.

ეპერ სუანდემ ლეინი უდიდესი ვერფების უკან მდებარე ერთი ჩაბინძურებული ქუჩა გახლავთ. ძველმანების მაღაზიასა და ლუდხანას შუა მოთავსებულ ბუნაგს გამოქვაბულში შესაძრომი, პირდაბჩენილი ღრმულების მსგავსი, ბნელი ჩასასვლელი ჰქონდა. კართან ჩამოკიდებულ ნავთის სანათის მოციმციმე შუქზე საგდულს მივაგენი, გავაღე და თავი გრძელ, ტალანისებურ, დაბალჭერიან ოთახში ამოვყავი. ოპიუმის მქაჩველებს იქაურობა მოყავისფრო, სქელი, მძიმე ჰაერით გაეჟღინთათ და თვითონ კი კედლის გასწვრივ, ხის გრძელ ტახტზე მიწოლილიყვნენ. უმრავლესობა ხმაამოუღებლივ იწვა, მაგრამ მათში ისეთებიც ერივნენ, რომლებიც თავისთვის, რაღაც უაზროდ ბურტყუნებდნენ. შორეულ კუთხეში, ვიღაც ახმახი, გამხდარი მოხუცი ხის სამფეხა სკამზე მოკალათებულიყო და პატარა ტაფაზე დაყრილ ნაღვერდლებს დასცქეროდა. სახე ხელებში ჩაერგო, იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო და გარინდებული ცეცხლს ისე დაშტერებოდა.

ჩემგან მარჯვნივ რაღაც შეძახილი გაისმა და თითქოს ვიღაც შეინძრა კიდეც. თვალები დავაჭყიტე, მზერა რაც შეიძლებოდა დავძაბე და სიბნელეში ფერმიხდილი, ქანცგამოლეული, მილასლასებული და გაჩეჩილი აიზა უიტნი შევნიშნე, იგი თავის მხრივ, მე მაკვირდებოდა.

— ღმერთო ჩემო! ეს ხომ უოტსონია! — წაილაპარაკა უიტნიმ. მას მთელი სხეული უკანკალებდა, ყოველი ნერვი უთრთოდა და გასაცოდავებული და შესაბრალისი იყო.

— რომელი საათია, უოტსონ? — წყნარად მკითხა უიტნიმ.

— თერთმეტს ცოტაღა უკლია.

— დღეს რა დღეა?

— პარასკევია, ცხრამეტი ივნისი, — ვუპასუხე მე.

— ღმერთო, შენ მიშველე! მე კი ოთხშაბათი მეგონა. არა, დღეს ნამდვილად ოთხშაბათია. გამოტყდით, რომ ჩემს შესაშინებლად იხუმრეთ! — მან თავი ხელებში ჩარგო და სხეული გასამკეცებული ძალით აუცახცახდა.

— მე უკვე გითხარით, რომ დღეს პარასკევია ორი დღეა მეუღლე გელოდებათ და თქვენს შინ დაბრუნებას არა ეშველა რა. სირცხვილ-ნამუსი სულ დაკარგეთ, თუ რა ჯანდაბა მოგივიდათ!

— სირცხვილ-ნამუსი მართლაც დავკარგე, მაგრამ თქვენ რაღაც გეშლებათ, უოტსონ. ალბათ რამდენიმე საათი იქნება, რაც აქ ვიმყოფები. სულ სამი თუ ოთხი ყალიონი მოვწიე, ანგარიშიც რომ ამერია. შინ კი ნამდვილად წამოვალ, მაგრამ საწყალი კეიტის შეშინება რომ არ მინდა? ხელი მომეცით, უოტსონ! ეტლი გელოდებათ?

— დიახ, მელოდება.

— მაშინ მე ეტლში ჩავჯდები, მაგრამ ამათი ვა-

[1] თომას ქუინსი — ინგლისელი მწერალი (1785-1859), ავტორი გახმაურებული წიგნისა — „იმ ინგლისელის აღსარება, რომელიც ოპიუმს ეძალებოდა".

ლი რომ თან გამყვება? ერთი გამიგეთ, გეთაყვა. რამდენი მმართებს ამათი. ძალა სულ მთლად გამომელია. ვერც თავს მოვუხერხე რამე და ვერც ამ ოხერ ჩვეულებას დავეთხოვე.

ამ დაწყევლილი დაწესებულების მენაჯერი რომ მომენახა, ოპიუმის მწეველთა ორ მწკრივს შუა დარჩენილ ვიწრო გასასვლელს დავადექი და თან ვცდილობდი, სუნთქვისაგანაც კი თავი შემეკავებინა, რომ სხეულის დამაუძლურებელი და მომწამვლელი ჰაერისათვის, რამდენადაც ეს მომიხერხდებოდა, თავი მომერიდებინა. ხის სამფეხა სკამზე მოკალათებულ ახმახ მოხუცს რომ ჩავუარე, უცებ ვიგრძენი, ვიღაცამ ჩემი პიჯაკი მოქაჩა და იმწამსვე ჩემს სმენას ხმადაბალი ჩურჩულიც მოსწვდა: „ჩამიარე და მერე შემომხედე“. ჩურჩული ისე გარკვევით ჩამესმა, რომ არ შეიძლებოდა მომყურებოდა. დაბლა დავიხედე. ჩაჩურჩულება მხოლოდ ამ მოხუცს შეეძლო, მაგრამ იგი ისევ წინანდებურად უშფოთველად იჯდა, გამხდარი, გასაცოდავებული, წელთა სიმრავლით წელში მოხრილი და გატეხილი. ოპიუმის მოსაქაჩი ყალიონი მუხლებშუა გასჩროდა. ეტყობა, დაუძლურებული თითებით ყალიონის დაჭერაც აღარ შეეძლო. მისგან ორი ნაბიჯი გადავდგი და უკან მივიხედე. იმან, რაც დავინახე, იმდენად ამაღელვა, რომ გაოცებისაგან ლამის ხმამაღლა შევყვირე. მოხუცი ჩემსკენ მობრუნებულიყო და მისი სახის დანახვა იმწამს მხოლოდ მე შემეძლო. იგი წელში გამართულიყო, დაღარულ სახეზე ნაოჭები გაჰქრობოდა, ჩამქრალ თვალებში ცეცხლი უელავდა, და ჩემს გაოცებას უკვე მოხუცი კი არა, ჩემი მეგობარი შერლოკ ჰოლმსი დასცინოდა. ხელით მანიშნა, მომიახლოვდიო.

— ჰოლმს, — წავიჩურჩულე მე, — რომელმა ღმერთმა ან სატანამ გამოგგზავნათ ამ ჯურღმულში.

— თქვენ ხომ იცით, რომ მე ბრწყინვალე სმენა მაქვს, — მიპასუხა ჩემმა მეგობარმა, — ამიტომ, რაც შეიძლება ხმადაბლა მელაპარაკეთ, მაგრამ თუ თქვენ გამოტვინებულ მეგობარს თავიდან მალე მოიცილებთ, დიდად მოხარული ვიქნები გესაუბროთ.

— გარეთ ეტლი რომ მელოდება?

— მაშინ ეტლში ჩასვით და შინ გაგზავნეთ. მაგის დარდი ნუ გექნებათ, ისე მისუსტებული ჩანს, რომ ვეღარაფერ ხათაბალაში გაებმება. გირჩევთ მეეტლის ხელით მეუღლესაც გაუგზავნოთ პატარა ბარათი და შეატყობინოთ, რომ მე გადამეყარეთ და ჩემთან ერთად იქნებით. თუ გარეთ დამელოდებით, ხუთ წუთში მეც თქვენთან გავჩნდები.

შერლოკ ჰოლმსის თხოვნაზე უარის თქმა ძალზე საძნელო საქმე გახლდათ; რამდენიმე წუთში წერილი დავწერე, უიტნის ვალი გადავიხადე, ის საცოდავი ეტლში ჩავსვი და ისიც დავინახე, სიბნელეში როგორ გააქროლა ეტლმა. მალე ოპიუმის მწეველთა ბუნაგიდან ბეჭებში მოხრილი შერლოკ ჰოლმსი გამოვიდა და ქუჩას ნელნელა დავუყევით.

— მე მგონია, უოტსონ, — წამოიწყო ჰოლმსმა, — თქვენ გაიფიქრეთ, კოკაინის ნემსებს ახლა ამ კაცმა თუ ოპიუმის წევაც მიუმატა, მაგის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფს და რაღა უჭირსო. ალბათ რაიმე სამედიცინო მსჯავრიც გამომიტანეთ.

— გულახდილად რომ ვთქვა, თქვენ იმ ბუნაგში არასგზით არ მოგელოდით.

— მეც გულახდილად გეტყვით, რომ თქვენმა იქ შემოსვლამ ძალიან გამაოცა.

— მე იქ ჩემს მეგობარს დავეძებდი.

— მე კი ახლა ერთი ძალზე დახლართული საქმით ვარ დაინტერესებული და იმ ბუნაგში ამ საქმის გასაღებს დავეძებდი. ბევრჯერ მქონია ისეთი შემთხვევა, რომ ოპიუმის მწეველთა უაზრო ლაპარაკიდან ჩემთვის საგულისხმო დასკვნები გამომიტანია. მაგ ბუნაგის პატრონს — ლასკარს ფიცი აქვს დადებული, რომ თუ იქ შესული მნახა, სასტიკად გამისწორდეს. სწორედ ამის გამო ვფრთხილობდი არავის ვეცანი. მაგ შენობის უკან, წმიდა პავლეს ვერფთან სიახლოვეს არსებობს საიდუმლო ჩასაშვები კარი, რომელსაც მხოლოდ უმთვარო ღამეში მიადგებიან ხოლმე გასაღებად და სწორედ ის კარია ბევრი იდუმალი ამბის მომსწრე და უტყვი მოწმე.

— რაო, მაგით რა გინდა რომ სთქვა, იქიდან გვამები გააქვთ?

— დიახ, გვამები, ჩემო ძვირფასო, უოტსონ. ეს საიდუმლო ჩასასვლელი კარი რომ არის, მაგაზე უფრო ბილწი, ჭუჭყიანი, საზიზღარი და ამაზრზენი მკვლელობის ადგილი მთელს მდინარეზე მეორე არ მოიძებნება. ჩემი გუმანით, ნევილ სენტ კლერი სწორედ იმ კარში შევიდა და იქიდან უკან დაბრუნება აღარც უწერია!

შერლოკ ჰოლმსმა ორი თითი ჩაიდო პირში და ნელა დაუსტვინა. სტვენაზე, არცთუ ისე შორი მანძილიდან სტვენითვე გამოეპასუხნენ, რასაც ცხენების ფლოქვთა თქარა-თქური და ეტლის გრიალი მოჰყვა.

— აბა, უოტსონ, — წარმოთქვა ჰოლმსმა, მაშინ, როცა სიბნელეში მაღალი ეტლის ფარნებმა სინათლე მიმოაფრქვიეს, — წამოხვალთ თუ არა ჩემთან ერთად?

— თუ რამე სარგებლობას მოგიტანთ, რატომაც არა! — ვუპასუხე მე.

— სანდო ამხანაგი მუდამ საჭირო და სარგებლის მომტანია, მით უმეტეს, თუ ქრონიკების წერასაც ეტანება. კედარში, ჩემს ოთახში ორი საწოლია გაწყობილი.

— კედარში?

— დიახ, მისტერ სენტ კლერის სახლში. ვიდრე გამოძიებას არ დავამთავრებ, იქ უნდა ვიცხოვრო.

— მერედა, სადა დგას ეგ სახლი?

— კენტის საგრაფოში, ლის მახლობლად. დაახლოებით წინ შვიდი მილის მანძილი გვიძევს.

— მაგრამ მე ხომ მაგ საქმისა არა ვიცი რა.

— რაღა თქმა უნდა! ისე, ყველაფერს უცებ შეიტყობ. აბა, მალლა ამოხტი! ძალიან კარგი. ჯონ, შენ აღარ გვჭირდები. აჰა, შენ ნახევარი კრონი. ხვალ თერთმეტის ნახევარზე მოგვაკითხე. აბა, სადავეები გადმომეცი და კარგად გვენახე.

ჰოლმსმა ცხენს მათრახი გადაუჭირა და ჩვენ უკაცრიელ, ბნელ და უსასრულოდ გრძელ ქუჩებში გავფრინდით. ჰოლმსი თავჩაქინდრული, ხმაამოუღებლივ ერეკებოდა ცხენებს. ეტყობოდა ღრმა ფიქრებში იყო წასული. ამასობაში რამდენიმე მილი გავიარეთ და ქალაქგარეთ, საგარაკო ზონაშიც შევიჭერით. ჰოლმსმა თავი ასწია, მხრები გაშალა და ყალიონი იმრიგად გააბოლა, რომ აშკარად იგრძნობოდა თავისი საქციელითა და მოსაზრებებით კმაყოფილი გახლდათ.

— თქვენ კარგად იცით, უოტსონ, ძველთაგან ნათქვამი სიბრძნე, რომ დუმილი ოქროაო რჩეული. სწორედ ამიტომა ხართ თქვენ ფასდაუდებელი კომპანიონი, მაგრამ ახლა მე სწორედ ვინმესთან ლაზღანდრობით მინდა ჩემი თავიდან უსიამოვნო ფიქრები განვდევნო. ვფიქრობ და ვერ მომიგონებია, რით უნდა ვანუგეშო ჩემი მომხიბლავი და წარმტაცი დიასახლისი, როდესაც იგი თავისი სახლის ზღურბლზე შემომეგებება.

— თქვენ დაგავიწყდათ, ჰოლმს, რომ მე ამ საქმისა არა ვიცი რა.

— ვიდრე ლის მივაწევდეთ, ყოველივეს დაწვრილებით მოგითხრობთ. ერთი შეხედვით საქმე ძალზე უბრალო და მარტივია, მაგრამ რით დავიწყო და რა ვაკეთო? თავგზა ამებნა. საიდუმლოების ამოხსნის რამდენიმე გზა არსებობს, თუმცა ჯერჯერობით ვერ გადავწყვიტე რომელ მათგანს მივყვე. ახლა მე საქმის ყოველ წვრილმანს უაღრესი სიზუსტით გადმოგცემთ და იქნებ თქვენ მაინც შეიტანოთ ამ ბნელით მოცულ ამბავში სინათლის სხივი.

— მაშ მიამბეთ.

— რამდენიმე წლის წინათ, ლიში ჩამოვიდა ერთი ჯენტლმენი, სახელად ნევილ სენტ კლერი. ჩამოსულს ეტყობოდა ფული ჩეჩქივით ჰქონდა. იგი ერთ უზარმაზარ ვილაში დადგა. შემოგარენში ჩინებული ბაღი გააშენა და ცხოვრება, როგორც მდიდარ კაცს შეჰფერის, სწორედ ისე დაიწყო. მალე დაქორწინდა კიდეც ლუდის გამომხდელის ქალიშვილზე, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა. რაიმე პროფესიულ საქმიანობას არ მისდევს, რამდენიმე კერძო კომპანიის წევრია და ქალაქში ყოველ დილით მიდის ხოლმე, საიდანაც ჩვეულებრივ 5 საათსა და 14 წუთზე ბრუნდება. მისტერ სენტ კლერი ამჟამად ოცდაჩვიდმეტი წლისაა, თავდაჭერილი, ზომიერი კაცია კარგი მეუღლე, საუცხოო მეოჯახე და ყველა, ვინც კი მას იცნობს, კარგად ახასიათებს. ამ დახასიათებას, ჩემი მხრიდან შემიძლია დავუმატო, რომ, როგორც გამოირკვა, ვალი 88 ფუნტი სტერლინგის მეტი არა აქვს, მაშინ, როცა მის ანგარიშზე ბანკში 220 ფუნტი სტერლინგია. ასე და ამრიგად, მისი გონება არ შეიძლება მძიმე ეკონომიურ პირობებს აერია.

წარსულ ორშაბათს, დილით მისტერ ნევი სენტ კლერი სახლიდან ჩვეულებრივზე ადრე გასულა. წასვლისას უთქვამს ორი მეტად მნიშვნელოვანი საქმე მაქვს მოსაგვარებელიო და ბიჭისათვის სათამაშო აღუთქვამს. სწორედ იმ დღეს, მისტერ სენტ კლერის ქალაქში წასვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, მის ცოლს დიდი ხნის ნალოდინარი ძვირფასი ამანათის თავის სახელზე გამოგზავნის უწყება მიუღია. თუ თქვენს მშობლიურ ლონდონს კარგად იცნობთ, მაშინ ისიც მოგეხსენებათ, რომ აბერდინის სახაზო გემების საზოგადოება, საიდანაც სენტ კლერის მეუღლემ ამანათის გამოგზავნის ცნობა მიიღო, ფრესნოს ქუჩაზეა მოთავსებული. ეს ქუჩა. უკანა მხრით, სუანდემ ლეინს ებჯინება. სწორედ იმ ადგილზე შემხვდით, ჩემო ძვირფასო, უოტსონ, თქვენ დღეს საღამოს. მისის სენტ კლერი საუზმის შემდეგ სიტიში გაემგზავრა, რაღაც-რაღაცეები იყიდა. საზოგადოებაში მივიდა, ამანათიც გამოიტანა და 4 საათსა და 35 წუთზე სუანდემ ლეინის გავლით სადგურისაკენ გაემართა. ჯერ ხომ ყველაფერს გასაგებად გიყვებით?

— ყოველივე დღესავით ნათელია.

— თუ გახსოვთ, უოტსონ, ორშაბათი ძალიან ცხელი დღე იყო. მისის სენტ კლერი ნელა მიაბიჯებდა ქუჩაში, იმ იმედით, რომ იქნებ თავისუფალ კებს გადავაწყდეო. კების დაჭერა კიდევ იმიტომაც უნდოდა, რომ ლონდონის ის უბანი, სადაც იგი ამანათის გამო აღმოჩნდა, ძალიან არ მოეწონა. როცა იგი სუანდემ ლეინიდან დაბლა ეშვებოდა, ჰაერი უეცრად შემაზრზენმა ყვირილმა გაჰკვეთა. ქალს შიშისაგან ჭირის ოფლმა დაასხა, როცა იმ სახლის მეორე სართულის ფანჯარაში, საიდანაც ყვირილი მოისმა, თავის ქმარს მოჰკრა თვალი. გამოღებულ სარკმელში მან კარგად გაარჩია თავისი ქმრის სახე, ისიც კი შენიშნა, რომ მისტერ სენტ კლერი ძალიან აღელვებული ჩანდა. მისის სენტ კლერს ისიც კი მოეჩვენა, რომ ქმარი საშველად უხმობდა და ხელებწინგამოწვდილი ხიფათისაგან დახსნას შესთხოვდა. მისი აზრით, ხელებგაწვდილი, ხიფათისაგან დახსნის მავედრებელი, ვიღაცამ ძალით მოაცილა სარკმელს. ერთიც არის ამ ამბავში საგულისხმო: მისის სენტ კლერმა, როგორც ყოველმა მახვილი თვალის პატრონმა ქალმა, მოასწრო იმის დანახვა, რომ მისი ქმარი სარკმლიდან უყელსახვევოდ და, ასე გასინჯეთ, უსაყელოდ გადმოიცქირებოდა.

დარწმუნებული იმ ამბავში, რომ მისი ქმრის თავს რაღაც უბედურება დატრიალდა, აღელვებული და შიშის ზაფრისაგან გაშმაგებული ქალი შენობის კიბის საფეხურებზე ავარდა... თქვენ ალბათ უკვე მიხვდით, რომ ეს, სწორედ ის სახლი-ბუნაგი გახლავთ, რომლის დაბლა სართულშიც თვითონ მე გადამაწყდით. კიბეებზე ალმა სირბილით მიმავალ ქალს გზა იმ ლასკარმა გადაუჭრა, რომელზეც მე თქვენ უკვე გესაუბრეთ. ამ უკანასკნელმა თავისი მსახურის, ვიღაც დანიელის, დახმარებით აღელვებული მისის სენტ კლერი გარეთ, ქუჩაში გამოაგდო. ეჭვით აღვსილი და შიშით გათანგული მისის სენტ კლერი ბედად უბნის შემოვლაზე მყოფ ინს-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პექტორსა და პოლიციელებს გადააწყდა. ინსპექტორიცა და პოლიციელიც უკან გაჰყვნენ მისის სენტ კლერს და თუმცა იმ ბილწმა ლასკარმა წინააღმდეგობა გაუწიათ, სწორედ იმ ოთახში ავიდნენ, სადაც მისის სენტ კლერმა თავისი ქმარი დალანდა მისტერ სენტ კლერის იქ ყოფნის ნიშანწყალიც კი არ ჩანდა. ვიღაც მახინჯი საპყარის გარდა მთელ იმ სართულზე არავის შეხვედრიან. ლასკარიცა და ის მათხოვარიც ფიცით თავებს იხოცავდნენ, ჩვენს გარდა აქ არავინ ყოფილაო. იმათმა გულმოდგინე ფიცმა პოლიციის ინსპექტორს ეჭვი აღუძრა, თვითონ მისის სენტ კლერი ხომ არ შეცდა და სარკმლიდან მომზირალი ვიღაც კაცი თავისი ქმარი ხომ არ ეგონაო. სწორედ ამ დროს გაისმა მისის სენტ კლერის გულშემზარავი კივილი. ქალი თვალის დახამხამებაში მაგიდაზე დადგმულ ყუთთან მიიჭრა და სახურავი აჰხადა. ყუთიდან ბავშვების სათამაშო კუბები გადმოცვივდა. სენტ კლერსაც ხომ თავისი ბიჭისათვის სწორედ სათამაშო კუბების მიტანა აღუთქვამს.

კუბების აღმოჩენამ და იმ მათხოჯი საპყარის წუთიერმა დაბნევამ პოლიციის ინსპექტორი სერიოზულად შეაფიქრიანა. ოთახების გულდასმით გაჩხრეკის შემდეგ კი მარტო ინსპექტორს კი არა, პოლიციელებსაც აღარ ეპარებოდათ ეჭვი, რომ იქ რაღაც საშინელი დანაშაული იყო ჩადენილი. წინა ოთახი, მართალია, ცუდად, მაგრამ სასტუმროსავით მოეწყოთ. მის გვერდით მომცრო საწოლი ოთახი გახლდათ, რომლის ფანჯრები სახლის უკანა მხარეს ვერფებს გადაჰყურებდა. ვერფსა და საწოლი ოთახის სარკმელს შუა ჩადიოდა ვიწრო არხი, რომელშიც წყალი, მოქცევის დროს, ოთხი-ოთხნახევარი ფუტის სიმაღლეზე ადიოდა, ხოლო მიქცევისას სრულიად შრებოდა. საწოლი ოთახის სარკმელი საკმაოდ განიერი იყო და ქვევიდან ზევით იღებოდა. სარკმლის ახლომახლო ადგილების გულმოდგინე დათვალიერების შემდეგ, ფანჯრის რაფაზე, სისხლის ლაქები აღმოაჩინეს. ასეთივე სისხლის ლაქები იატაკსაც აჩნდა. წინა ოთახში, ფარდის უკან იპოვნეს მისტერ სენტ კლერის ტანსაცმელი, ოღონდ პიჯაკი არსად ჩანდა. ფეხსაცმელი, წინდები, ქუდი, საათი, ერთი სიტყვით, მისტერ სენტ კლერის მთელი მორთულობა აქ იყო, მაგრამ მათ ძალადობის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა. რაც მთავარი იყო, თვითონ მისტერ სენტ კლერის ასავალ-დასავალი უკვალოდ გამქრალიყო. თავის შველა კი მას მხოლოდ ფანჯრიდან გადახტომით შეეძლო, თუმცა სარკმლის რაფაზე დარჩენილი ავბედითი სისხლის ლაქები აშკარად მოწმობდნენ მისტერ სენტ კლერი სამშვიდობოს ცურვით ვერ გააღწევდა, მით უმეტეს, რომ მისი დაღუპვის დროს სწორედ მოქცევა ყოფილა და ალბათ წყლის დონე ოთხნახევარ ფუტს აღწევდა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილებზე კი უნდა გითხრათ, რომ, მართალია, ლასკარს ბნელით მოცული წარსული აქვს, მაგრამ თვითონ მისის სენტ კლერი აცხადებს, როგორც კი ჩემი ქმარი თვალს მიეფარა, იგი რამდენიმე წამის განმავლობაში, დაბლა, ჩემს გვერდით გაჩნდაო, ამ განცხადების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას ჩადენილ მკვლელობაში თანამონაწილეზე მეტ როლს ვერ მივაკუთვნებთ. თვითონ ყოველივეზე ცივი უარი განაცხადა და ისიც დასძინა — რა საქმიანობას ეწევა ჩემი მდგმური ჰიუჯ ბუნი, ამისიც არა ვიცი რაო. ვერც იმას მოუძებნა რაიმე გამართლება, თუ რა გზით გაჩნდა უგზოუკვლოდ დაკარგული ჯენტლმენის ტანსაცმელი მის სახლში.

საკმარისია რაც სახლის გამგებელ ლასკარზე ვიცით. ახლა კი იმ ბოროტ სულსა და სახიჩარზე უნდა გიამბოთ, ოპიუმის მწეველთა ზემოთ, მეორე სართულზე რომ ცხოვრობს, ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელთაგან სწორედ ეს იყო უკანასკნელი კაცი, ვისმა თვალებმაც უკანასკნელად იხილა ნევილ სენტ კლერი. მისი სახელი და გვარი ჰიუჯ ბუნია, და მის ამაზრზენ სახეს იცნობს და თვალს არიდებს ყოველი გამვლელი, ვისაც სიტიში უხდება ხოლმე ყოფნა. იგი პროფესიული მათხოვარი გახლავთ, თუმცა პოლიციის თვალის ასახვევად ისე იქცევა, ვითომდა ცვილის სანთებლებით ვაჭრობდეს. ალბათ გეხსომებათ, თრედნიიდლ სტრიტს დაბლა რომ დაუყვებით, მარცხენა მხარეს, შიგ კედელში ერთი პატარა კუნჭული ა გამოჭრილი. სწორედ იმ კუნჭულში, ფეხმორთხმული ზის თურმე ამაზრზენი შესახედაობის საპყარი, წინ ცვილის სანთებლები უწყვია და მისი საცოდაობით გულდამწვარ გამვლელთაგან წინ დაგდებულ ჭუჭყიან ტყავის ქუდში მოწყალება მადლიან წვიმასავით ჩაედინება. არ მეგონა, თუ ოდესმე იმ მათხოვარს ჩემი პროფესია შემახვედრებდა, მაგრამ ბევრჯერ დავკვირვებივარ და მუდამ გაოცებული დავრჩენილვარ იმით, რომ იგი, საოცრად მოკლე ხანში, უამრავ მოწყალებას აგროვებდა. თუმცა ისეთი შესახედაობის პატრონია, რომ არ შეიძლება თვალი მოჰკრა და ყურადღება არ მიაქციო: მყვირალა ყვითელი ფერის თმა, საოცრად ფერმკრთალი სახე, ზედ საშინელი ნაჭრილობევი, რომელიც ზედა ტუჩს ორად უყოფდა, ბულდოგისებური ქვედა ყბა, ავად მომზირალი, სულში ჩამწვდომი, გამგმირავი შავი თვალები, რომელთა კუნაპეტი ფერი თმის ფერთან აშკარა კონტრასტს ჰქმნიდა და ამ მათხოვარს თავისი ხელობის ხალხისაგან გამორჩეულად განასხვავებდა და განაცალკევებდა...

დაკვირვების შედეგად შევნიშნე აგრეთვე, რომ იგი ძალზე ჰკუამახვილი ვინმე გახლდათ. თუ გამვლელთაგან ვინმე დასცინებდა, მოსწრებული ავი სიტყვა აბუჩად ამგდების გასაკილავად მუდამ მზად ჰქონდა. ასეთი ადამიანი გახლავთ ოპიუმის მწეველთა ბუნაგის მაღლა მცხოვრები მათხოვარი და ის არის, როგორც გითხარით, ჩვენგან ძებნილი ნევილ სენტ კლერის უკანასკნელად მხილველი.

— მაგრამ საპყარი და სახიჩარი, — ვთქვი მე, — როგორ დაიმორჩილებდა ახალგაზრდა ჯანღონით აღსავსე ვაჟკაცს.

— მართალია, კოჭლობს, მაგრამ ძალიან ღონიერი და ჯანიანი კაცი უნდა იყოს. თქვენ, როგორც ექიმს, ალბათ კარგად მოგეხსენებათ, რომ ადამიანის ორგანოთა ერთი ნაწილის სისუსტეს ხშირად თან სდევს სხვა ორგანოთა მოჭარბებული ძლიერება.

— გთხოვთ ამბის თხრობა განაგრძოთ.

— სარკმლის რაფაზე სისხლის დანახვისას მისის სენტ კლერს გულს შემოეყარა და პოლიციელის თანხლებით შინ გაისტუმრეს, მით უმეტეს, რომ მისი იქ ყოფნა ძიებას ვერაფერს დაეხმარებოდა. ინსპექტორმა ბარტონმა, რომელმაც ამ საქმის ძიება ითავა, მთელი სახლი გულმოდგინედ გაჩხრიკა, მაგრამ საქმე წინ ერთი ნაბიჯითაც ვეღარ წასწია. ძიების სწორ მსვლელობას ხელი თავიდანვე დაშვებულმა საბედისწერო შეცდომამ შეუშალა. ბუნი იმწამსვე უნდა დაეპატიმრებინათ და არავისთან გამოლაპარაკების საშუალება არ უნდა მიეცათ. ბარტონმა კი ბუნი იმწამსვე არ დააპატიმრა და ამ უკანასკნელს საშუალება მიეცა თავის ძმაკაცს — ლასკარს გამოლაპარაკებოდა. მართალია, ბარტონი გონს მალე მოეგო, ბუნი იქვე დაიჭირეს და გაჩხრიკეს, მაგრამ ძიებას ამ ჩხრეკამ არავითარი შედეგი არ მისცა. ძიებამ ყურადღება მიაქცია ბუნის ხალათის მარჯვენა სახელოზე არსებულ სისხლის ლაქებსაც, მაგრამ მათხოვარმა თავი იმით იმართლა, რომ ბარტონს არათითზე, ფრჩხილთან სრულიად ახალი განაკაწრი უჩვენა. საიდანაც სისხლი დასდენოდა, ბუნმა ძიებას განუცხადა: რამდენიმე წუთის წინ სარკმელში გავიხედე და ალბათ ფანჯრის რაფაზე არსებული სისხლის ლაქებიც ჩემეულიაო. მან შეუვალად განუცხადა ძიებას, მისტერ სენტ კლერს არ ვიცნობ და არასოდეს თვალითაც არ მინახავსო. რაც შეეხება მის ოთახში სენტ კლერის ტანსაცმელის აღმოჩენას, ამაზე უთქვამს, ეს ისეთივე გამოცანა და თავსატეხი ამბავია, ჩემთვის, როგორც თქვენთვისო. მისის სენტ კლერის მტკიცებას, სარკმელში ჩემი ქმრის სახე დავლანდეო, ხომ სულ ცივი წყალი გადაასხა: მაგას ან რაღაც ეჩვენება, ანდა ცოტა უნდა მოისულელებდესო. ბუნმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელებს, მაგრამ საპოლიციო უბნისაკენ სულ კინწისკვრით წაახუსხუსეს. ბარტონი კი დანაშაულთა მამხილებელი ახალი საბუთების აღმოსაჩენად წყლის მიქცევას დაელოდა და ადგილზე დარჩა.

წყლის მიქცევისას, არხში მამხილებელი საბუთი მართლაც აღმოაჩინეს, თუმცა ეს ის საბუთი როდი იყო, რის აღმოჩენასაც თან სურდათ და თანაც აგრერიგად უფრთხოდნენ. დიახ, ეს მისტერ სენტ კლერის გვამი კი არ იყო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მისი პიჯაკი. და რა გგონიათ რა იპოვნეს პიჯაკის ჯიბეების გადმოტრიალებისას?

— ვერაფერი ვერ მომიფიქრებია.

— ვერასოდეს ვერც მოიფიქრებთ, ძალიან დიდხანსაც რომ იფიქროთ. ყველა ჯიბე ლითონის ფულით იყო სავსე. დათვლისას ოთხას ოცდაერთი ცალი პენიანი და ორასსამოცდაათი ნახევარპენიანი აღმოჩნდა. ამის მერე არც ის არის გასაკვირი, როგორ არ წაიღო წყალმა მისტერ სენტ კლერის პიჯაკი. გვამი კი, ეტყობა, სულ სხვა კანონებს ემორჩილება. სახლსა და ვერფს შუა არხში დინება ძალიან ძლიერია. ჩანს, ლითონის ფულით დამძიმებული პიჯაკი ადგილზე დარჩა. ატივტივებული გვამი კი დინებამ მდინარისაკენ წაიღო.

— თქვენი ლაპარაკიდან მე ისე გავიგე, რომ პიჯაკის გარდა სხვა ტანსაცმელი ბუნის ოთახში იპოვნეს. ნუთუ სენტ კლერს სარკმლიდან გადაგდების დროს მარტო პიჯაკი ეცვა?

— რა თქმა უნდა, არა. თუ შესაძლებლად მივიჩნევთ, რომ ბუნმა ნევილ სენტ კლერი ფანჯრიდან გადააგდო (რაც არავის დაუნახავს), რას მოიმოქმედებდა იგი შემდგომში? იმწამსვე ეცდებოდა თავიდან მოეცილებინა ნევილ სენტ კლერის ტანსაცმელი. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ დაფეთებული ბუნი პიჯაკს ეცა და არხში გადასროლა მოუნდომა, მაგრამ იმწამსვე მოისაზრა, რომ პიჯაკი წყალში არ ჩაიძირებოდა. ის ხომ ამ დროს ძალიან ჩქარობდა, დაბლა სართულიდან უკვე მოისმოდა სენტ კლერის გაკაპასებული ცოლის კივილი. მაღლა ჩემს ქმართან გამიშვითო, შეიძლება ლასკარმა ამ დროისათვის უკვე მოასწრო კიდეც მისი გაფრთხილება. ქუჩის მხრიდან, პოლიცია გვიახლოვდებაო. დრო აღარ ითმენდა. იგი იმ კუთხეს ეცა, სადაც მათხოვრობით მოგროვილი ლითონის ფული ეგულებოდა, პიჯაკის ჯიბეები იმ ფულებით აავსო და დარწმუნებულმა იმაში, პიჯაკი ახლა კი ჩაიძირებაო, არხში გადაუძახა. მერე სხვა რამეების გადაყრაც მოინდომა, მაგრამ კიბეებზე პოლიციელთა ფეხის ხმის გაგონებისას, სარკმლის დახურვის გარდა, სხვა ვერაფერი მოასწრო.

— ეს ვერსია ჭეშმარიტებასავით ჟღერს.

— ვინაიდან უკეთესი ვერსიის შეთხზვის საშუალებას ჩვენს ხელთ არსებული საბუთები არ იძლევა, ისევ ამ ვერსიას უნდა მივყვეთ. ბუნი, როგორც უკვე გითხარით, დააპატიმრეს და საპოლიციო უბანში გაამგზავრეს, თუმცა ადრე ცუდ საქციელში შემჩნეული არ ყოფილა. ეს საპყარი და სახიჩარი კაცი მათხოვრობის გარდა სხვა საქმიანობას არაფერს მისდევდა და მამა აბრამის ბატკანივით უცოდველის სახელი ჰქონდა გავარდნილი. აი, ძიების რა სტადიაზეა ამჟამად ეს საქმე. ახლა კი, პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს რა ესაქმებოდა ნევილ სენტ კლერს ლასკარის ამ ბინძურ ბუნაგში? სად არის იგი ამჟამად? და რა როლი შეასრულა ჰიუჯ ბუნმა ნევილ სენტ კლერის გაუჩინარებაში? ეს კითხვები კი ახლაც ისევე უპასუხოდაა დარჩენილი, როგორც ძიების დასაწყისში გახლდათ. გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ჩემს პრაქტიკაში თითქოსდა ასეთი ერთი შეხედვით, უბრალო საქმე, სინამდვილეში კი ძალიან რთულად გადასაწყვეტი ჯერაც არა მქონია.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ინგლისურიდან თარგმნა
ელგუჯა მაღრაძემ

# საახალწლო ტორტი

იუმორესკა

— დედა, ისეთი ტორტის გამოცხობა ვისწავლე, რომ საკონდიტრო ნაწარმის გამოფენასაც კი დაამშვენებს, — წამოიძახა ლამარამ, — ერთს კიდევ გამოვაცხობ და ჩემს უფროსს მივართმევ. ხომ იცი, რა პატივი მცა — სამუშაოზე მომაწყო, მაფასებს.

— ჰოდა, შვილო, უნდა შეიშნო ეგ პატივისცემა და დაფასება. გაუგზავნე, შენს სიმარჯვესაც გამოაჩენ და ახალ წელსაც მიულოცავ.

აიდგვიფა მრავალი კვერცხის გული...

ამზილეს... ამაფუმფულეს, მომათავსეს დიდ ჰურჰელში და თავი მიკრეს ლუმელში.

კარგად რომ გამოვცხვი, ჰურჰლიდან წამომაფეთეს და...

ლამარას გაღიმებულმა სახემ შემომანათა, მან ნაზად დამადო ხელი, სილბო შემიმოწმა. ტიტველი და თოთო ვიჯექი მაგიდაზე და მოუთმენლად ველოდი შემკობას. თვალი გამირბოდა ფერად-ფერადი კრემებისაკენ.

ბოლოს, მომრთეს და მომკაზმეს.

— ალალია, შვილო, შენი უფროსისათვის, ღვთისნიერი კაცია, უფულოდ მოგაწყო სამუშაოზე, — უთხრა დედამ ლამარას და დიდ ფანერზე გადამაბრძანა. შუბლი გამიგრილდა თუ არა, ნუგბარით დამაწერეს: „გილოცავთ, ახალ წელს!“

მალე ქალალაია გადამაფარეს და, ჰერი!.. გამაქროლეს უცხო ოჯახისკენ.

აი, მივედით კიდეც. ზარი რეკავს. კარები გაიღო და გამოჩნდა მანდილოსანი. ჩემი პატრონი ვერ იცნო, მაგრამ მიცნო მე და გამიღიმა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — სიხარულით შეგვიპატიჟა.

— ქალბატონო ქეთინო! ეს შევძელ თქვენს საპატივსაცემოდ, მეტი ვერა.

— უი, რას ბრძანებთ, შესანიშნავია, დიდი და ლამაზი! ნეტავ, რა ხელმა მოკაზმა?!

— მე გამოვაცხე, თქვენმა მეუღლემ ისეთი სიკეთე დამდო, რომ ეს რა არის, მეტი იყო საჭირო!

მეუღლის ქებით, ისე დაიბნა ჩემი ახალი პატრონი, რომ ტკბილეულით გამასპინძლება მაშინ გაახსენდა, როცა ლამარამ წასვლა დააპირა...

როგორც იყო, მე და ჩემი ახალი დიასახლისი მარტონი დავრჩით. ჯერ დიდხანს მათვალიერა, მერე გაირინდა.

უცებ, ზარის ხმამ შეაკრთო. ჯერ ტელეფონის ზარი ეგონა, ყურმილი აიღო, ზარის განმეორებით რეკვამ მიახვედრა, რომ შეცდა და კარის გასაღებად გაეშურა.

— რა მოგივიდა, ქალო, გძინავს?! — შემოსვლისთანავე მოაგება კაცმა. ხალხი საახალწლო მზადებაშია და შენ მგონი ჯერ ხელიც არ გაგინძრევია...

— ისეთი ტორტი გამოგიცხე, შენი მოწონებული!

— აუჰ! რა არის, ქალო, ვინ მოიტანა? — გაოცებით შემომხედა კაცმა.

— მე გამოვაცხე, არა გჯერა?

— საიდან?! არ იტყვი?

— შენ მოგართვეს, ლამარა ვარო, — გამოტყდა ქეთინო.

— ჰოო, ახალი თანამშრომელია.

— მე გამოვაცხეო...

— იფ, რა ხელი ჰქონია, მაგ მამაძაღლს!

— ჰო, თან მოგართვას, თან ლანძღე!..

— რა იყო, ქალო, ქართული ალერსი ლანძღვააო, არ გაგიგონია? ჰო, რაღაცის თქმას აპირებ, რა გინდა?

— რა მინდა და... მე რომ სამუშაოზე მიმიღო, ჩემს გამგეს რაღა პატივი ვეცით?

— რა პატივი უნდა სცე, რა ვქნა, ზევიდან დაურეკეს და ისე მიაღებინეს შენი თავი.

— რა ვუყოთ მერე, მაინც მისი თანამშრომელი ვარ, პატივი უნდა ვცეთ! — თავისას გაიძახოდა ქეთინო.

— რა გინდა, ქალო, ჩემგან? აგერ სახლი და, აგერ — კარი! თუ რამე გეგულება, ეცი პატივი, ვინ დაგიშალა?! მაგრამ ტორტის გამოცხობა შენ არ იცი და!... — ჩაუანკესა კაცმა.

— მაშინ იცი რას გეტყვი? — მოლბა ქალი, — ეს ტორტი უნდა მივართვა, ცოდოც კია ამისი გაჭრა. ჰო, ჰო, რას მიყურებ? ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერც მოვახერხებთ. ჰა, რას იტყვი?

— წაუღე, ქალო, შენი საქმისა შენ იცი! ისე, პირის გემო დაკარგული გაქვს-მეთქი, რომ გეუბნები ხოლმე, არა გჯერა... მაგას კაცი გასაჩუქებლად გაიმეტებს?

ცოტა ხნის შემდეგ, ისევ გამოვედი ქუჩაში, ცივ ჰაერზე.

კარი გაიღო და...

ჩასუქებულმა ქალბატონმა დიდი ამბით მიგვიღო.

— შემოდი, ქეთინო, შენ დაგენაცვლე! რა ძვირფასი სტუმარი მოგვივიდა გაიოზ, კაცო, გამოდი ერთი!

— მოგილოცავთ ახალ წელს, ქალბატონო ფეფუშა!

— აგერ დატოვე, გენაცვალე, შიგნით მობრძანდით! გენაცვათ, რა ძვირფასი, რა ლამაზი, რა უშველებელი ტორტია?! — ენაჰიკჰიკებს დიასახლისი. მერე ქეთინო აჩქარდა.

— მე წავალ, ხომ იცით... რამდენი საქმე აქვს ადამიანს ასეთ დროს!

— აჰ, აჰ, ასე დაულოცველს არ გაგიშვებ!

ქეთინომაც აღარ ალოდინა, აიღო კონიაკით სავსე, სათითესავით სასმისი, დალოცა და დაბოლოვა — ასე ხელდამშვენებული სტუმარი არ გამოგლეოდეთო.

— ყველას გაფიცებ, მითხარი, ვინ გამოაცხო ეს ტორტი? — შეევედრა ფეფუშა.

— თქვენ ხილი იხილეთ, მებაღეს რად კითხულობ?

— შე ეშმაკო, შენა, ერთი-ორჯერ გამოგაცხობინებ, მეტჯერ კი არა.

ქეთინოს ელდა ეცა, კარისაკენ გაეშურა.

ჩემი ახალი პატრონი დაბრუნდა და ქმარს სიცილით უთხრა:

— რა გადასარევი ტორტია, არა გაიოზ?

— თუ გადაირევი, რად მინდა... თუმცა, ჰო, დიდებულია! — ჩაიღიმა ქმარმა და ცოლს შეჰპარვით გაუმხილა, — ისე, მაგ ტორტით თავმჯდომარეს მოვიმადლიერებდი.

— მართალი ხარ, ეს კი ღირს მიტანად აი, თინას გაატანე...

— მოიცა, კაცო, ვუყუროთ პატარა ხანს.

— მერე იქნება აღარც გაიმეტო!

— ოღონდაც, არ მემეტება, მაგრამ... ერთი აღარ გეღირსა დაწინაურება!

— დაწინაურებას ერთი ტორტი უშველის, შე ქალო!

— გაატანე, გაატანე...

ისევ გადამაფარეს ქალალაია და... ისევ მოგზაურობა, ისევ ზარის ხმა. კარები გაიღო და კვლავ აღფრთოვანება, სიხარული.

— ვინ გამოგატანა?

— გაიოზ პეტროვიჩმა გამოგიგზავნათ.

კარგად იყო შებინდებული, რომ ყველანი ჩემს ირგვლივ მოგროვდნენ.

— რა კარგი სასაჩუქროა, ცოდოა ამის გაჭრა,— თქვა ერთმა.

— ცოდო, რა, სისხლი კი არ გამოუვა! — დაასკვნა მეორემ.

— იცით, რას გეტყვით, — დაიწყო დიასახლისმა, — იმ ქალიშვილს, გოგო რომ მოგვიმზადა უფასოდ, მგონი, ლამარა ჰქვია, არა? მოდი, ეს ტორტი იმას გავუგზავნოთ!

— კარგად კი მოამზადა?

— მაშ, უმაღლესში რომ აბარებდეს, იქაც არ გაუჭირდებაო! ცირა! წაიღე ეს ტორტი და მათემატიკის მასწავლებელს მიართვი!

— დედა, უხერხულია, მე არა რა!

— უფასოდ რომ გამეცადინებდა, მაშინ არ იყო უხერხული? აბა, მოკიდე ხელი!

ჩემს მოგზაურობას ბოლო არ უჩანს.

დაირეკა ზარი. გაიღო კარები და ჰოი, საკვირველებავ! ეს ვინ გამოვიდა? — ისევ ჩემი ლამარას გაბადრულმა და გაოცებულმა სახემ შემომანათა.

— პატივცემულო მასწავლებელო! ეს დედამ გამოაცხო და გამოგიგზავნათ.

— შემოდი სახლში, გენაცვალე!

— არა, მეჩქარება!

— დიდი მადლობა, რაზე შეწუხდით?

ლამარამ შემომხედა და... სახე მოეღუშა, დაიბნა, უხერხულად დაემშვიდობა ცირას.

— რაო, შვილო, დაგიწუნეს და უკან დაგიბრუნეს? — ჰკითხა დედამ ლამარას.

— არა, ეს ცირამ მომიტანა... მე რომ ვამზადებდი... მაგრამ ეს ის ტორტი ხომ არ არის, მე რომ... — ლამარას ხმა ჩაუწყდა.

— რას ამბობ, გოგო, გადაირიე?

— ის არის, ის...

— ის როგორ იქნება? შეიშალე?

მე კი ვყვიროდი — ისა ვარ-მეთქი, მაგრამ ვის ესმოდა ჩემი ხმა! დედა-შვილი გაოცებულნი შემომცქეროდნენ და უკვე მეათედ კითხულობდნენ ჩემს შუბლზე ნუგბარით წარწერილს: „გილოცავთ ახალ წელს!“

**ლ. ფენაშვილი**

# მოზაიკა

## ხელოვნების სიახლენი

ამას წინათ იტალიის ქალაქ ვარა სუპერიორში მოეწყო თხების კიკინის მოყვარულთა ფესტივალი სახელწოდებით — „მომღერალი თხა — 72“. ფესტივალზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა სამი ათასმა კაცმა მოიყარა თავი. მათ თან ჩამოყვანილი ჰყავდათ თავიანთი თხები, რომლებიც ვოკალის ხელოვნებაში უნდა გაჯიბრებოდნენ ერთიმეორეს.

ფესტივალის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ერთმა ლამაზმა ბეკეკამ, რომელსაც სახელად „იტტის“ ეძახდნენ. პატრონმა ძლივს აიყვანა იგი სცენაზე და, როგორც ეტყობა შიშისაგან, ხალხის წინაშე იტტიმ ისეთი კიკინი ატეხა, რომ ობიექტურმა ჟიურიმ მას ერთხმად მიანიჭა ფესტივალის ლაურეატის დიპლომი და ფასიანი პრიზი. ბეკეკას პორტრეტი გაზეთებში თვალსაჩინო ადგილას იყო გამოქვეყნებული.



## დემონსტრაცია, რომელსაც თავს არავინ დასხმია

სამხრეთ ჰოლანდიის ადმინისტრაციულ ცენტრში, ჰააგაში, მთავრობის რეზიდენციის წინ, არც თუ ისე ჩვეულებრივი დემონსტრაცია გაიმართა — უცნაური აქ ის იყო, რომ დემონსტრანტებს არავინ დასხმია თავს, მათთვის ხელი არავის შეუშლია, გზად არავინ გადაღობებია, პოლიცია არავის გამოუძახნია. როგორ გამოიძახებდნენ, როცა თვით პოლიცია იყო გაფიცული. ქუჩაზე მოდიოდა სრულ საპარადო ფორმაში გამოწყობილი სამი ათასი პოლიციელი. აქვე იყვნენ მათი ოჯახის წევრები. დემონსტრანტები ხელფასის მომატებას თხოულობდნენ. „ჭამა ჩვენც გვინდა“ — წარწერილი იყო ტრანსპარანტებზე, რომელიც მათ მოჰქონდათ.

ასე, რომ ძალიანაც მოენდომებინათ, დემონსტრაციას ვერ გარეკავდნენ. ეგ კი არა, ერთმა პოლიციელმა, რომელიც ამ დროს პოსტზე იდგა, თავის კოლეგებთან სოლიდარობის ნიშნად, ქუჩაში მოძრაობა შეაჩერა, მანქანები დემონსტრაციას ხელს უშლიანო.







## უველაზე გრძელი სურათი

ამერიკელი მხატვარი ჯონ ბენვარი სპეციალურად გაემგზავრა იტალიაში, რათა ორიგინალებში ენახა ლეონარდო და-ვინჩის, რაფაელის, ტიციანის ბრწყინვალე ქმნილებები. როცა ყველაფერი ეს მოინახულა, გადაწყვიტა გაეკეთებინა ისეთი რამ, რაც ამ დიდოსტატებს ფიქრადაც არ მოსვლიათ და ამ გზით დაეჩრდილა ისინი. ბევრი ფიქრის შემდეგ ბენვარმა გადაწყვიტა დაეხატა მსოფლიოში ყველაზე გრძელი სურათი; მის მიერ შექმნილი ტილოს „მისისიპის პანორამის“ სიგრძე სამი მილია (მილი — დაახლოებით ერთნახევარი კილომეტრია). სურათზე აღბეჭდილია მდინარე მისისიპის სანაპიროები სათავიდან შესართავამდე.

მხატვარს 400 დღე დასჭირდა, რომ მდინარის სანაპიროები თავიდან ბოლომდე ფეხით გაევლო და საჭირო ესკიზები ჩაეხატა; თვით სურათის დაწერას ჯონ ბენვარმა ექვსი წელი მოანდომა.



## რა ღირს პატარა ამერიკელი?

ფილადელფიის (აშშ) სადაზღვევო აგენტმა ლეონარდ გუდფარმა დავალება მიიღო უფროსებისაგან, განესაზღვრა თუ რა თანხაზე შეიძლება დააზღვიონ ამერიკელი ბავშვი, რომელიც ჯერ არ დაბადებულა. აგენტი საქმეს შეუდგა.

გუდფარმა გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, სადაც თავი უშვილო ქალის ქმრად გამოაცხადა. იგი დიდ თანხას ჰპირდებოდა იმ ქალს, რომელიც შვილს გაუჩენდა მას. პირობა ასეთი იყო: დაბადებული ბავშვი მაშინვე უნდა ეშვილა განმცხადებელის ცოლს.

აგენტმა 200 წინადადება მიიღო. საშუალო თანხა, რომელსაც ითხოვდნენ ქალები, 10 ათასი დოლარი იყო.

„აი სწორედ ამდენი ღირს პატარა ამერიკელი“, — დაასკვნა აგენტმა. სადაზღვევო კომპანია შემდგომში ზუსტად ასეთი თანხით დააზღვევს ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვებს.

## ადამიანი და კობრა

ეს ამბავი სამხრეთ აფრიკაში, ქალაქ კრანსკოპში მოხდა. ერთ დღეს ავტომოყვარულმა ჯონ ვან არნიმმა თავისი გარაჟის კარი გააღო და ისის იყო მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო, რომ მისკენ ელვის სისწრაფით გამოქანდა უზარმაზარი კობრა. არნიმმა შეშინებაც ვერ მოასწრო, რომ გველმა ორჯერ უკბინა ფეხზე. მოხდა იშვიათი შემთხვევა: ადამიანი უვნებელი დარჩა, კობრამ კი მაშინვე განუტევა სული.

საქმე ის იყო, რომ არნიმს მარჯვენა ფეხის ნაცვლად თურმე ლითონის პროტეზი ჰქონდა გაკეთებული, გამაგებულმა კობრამ კბენის დროს კბილები ჩაიმტვრია და გაიგუდა.



გარეკანის პირველ გვერდზე: დიდი და პატარა გივი წითლიძეები. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: ნორჩი მოცეკვავეები. ფოტო გ. კიკვაძისა.


მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/XII-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XII-72 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 3,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 4027. უე 02089.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ტურისტის ფოტოალბომიდან



## იტალია

ქ. პიზა. კოშკი, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, აშენებულია 1174 წელს. კოშკმა აშენების დღიდანვე დაიწყო გადახრა. დანგრევის თავიდან ასაცილებლად შექმნილია ექსპერტთა კომისია, რომელსაც დიდი ფულადი პრემია აქვს გამოყოფილი იმ პირთათვის, ვინც კოშკის გადარჩენის საშუალებას გამონახავს.

რომი. ცნობილი ესპანეთის კიბე. რანაირ ხალხს არ გადაეყრებით აქ — მოდიან მოხეტიალე მხატვრები, ჰიპები, უცხოელი ტურისტები და ა. შ. რომში აურებელი ავტომანქანებია, მაგრამ ქუჩაში ხშირად ფაეტონსაც გადააწყდებით. მათ უმთავრესად ყველაზე მდიდარი ტურისტები ქირაობენ.

მილანი. ღია ბაზარი პირდაპირ ქუჩაშია გახსნილი, ჰყიდიან საბავშვო სათამაშოებს.

ზურაბ რუსია.

ფოტო ავტორისა

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო გ. კიკვაძისა.



# ნორჩი მოცეკვავეები

